1533

1533
4

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ.ჯავახიშვილის სახ.ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ლალი გივის ასული მიქელაძე

XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული საზოგადოებრივი აზროვნება - ქვეყნის ეკონომიკური (სამრეწველო) განვითარების შესახებ

სპეციალობა 07.00.01 - საქართველოს ისტორია

დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი - ედ.ხოშტარია-ბროსე

თ ბ ი ლ ი ს ი
1998

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი I

ლიტერატურისა და წყაროების მიმოხილვა

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოს ისტორიის ახალი ხანის - მისი ბურჟუაზიული განვითარების ხანის დასაწყისია.

საქართველო შედარებით გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე შექმნილი არახელსაყრელი საგარეო და საშინაო პირობები დიდხანს ბოჭავდნენ საწარმოო ძალთა განვითარებას, საზოგადოებრივ პროგრესს. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ქვეყნის სამეურნეო განვითარებისათვის შექმნილი მშვიდობიანი პირობების წყალობით და რუსეთთან ერთად საქართველოს მსოფლიო სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობებში ჩაბმის შედეგად ხდება იმ წანამძღვრების შედარებით სწრაფი განვითარება, რომელნიც ფეოდალიზმის მაღალ საფეხურზე შემდგარი საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი და ახალი ურთიერთობის ჩასახვის საწინდარს წარმოადგენდნენ.

როგორც ცნობილია, XIX ს. პირველი ნახევარი არის ეპოქა კაპიტალისტური სისტემის განმტკიცებისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეროვნული ჩარჩოებისა და საზღვრების გადალახვა. ცხადია, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ამა თუ იმ ქვეყანაში კაპიტალისტური სისტემის გავლენა ერთნაირი არ იქნებოდა. მაგრამ იქ, სადაც ფეოდალურმა ურთიერთობებმა მიაღწიეს მაღალ საფეხურს და მწიფდება პირობები მათი რღვევისათვის ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების ნიადაგზე, ახალ ვითარებაში საზოგადოებრივი განვითარება არ შეიძლებოდა დაჩქარებული ტემპით არ წასულიყო წინ.

XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა ერთი მხრივ ქვეყანა ებმება მსოფლიო ბაზარში, მეორე მხრივ კი ბატონყმობა იყო სერიოზული დაბრკოლება ქვეყნის განვითარების გზაზე.[1]

---

1 ე.ხოშტარია - მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში, წიგნი II, თბილისი - 1966 წ., გვ.54

ამასთან ერთად ცარიზმი განიხილავდა რა საქართველოს, როგორც კოლონიას, ცდილობდა გადაექცია იგი ნედლეულის ბაზად და საქონლის გასაღების ბაზრად, ხელს უწყობდა აქ სოფლის მეურნეობის და მხოლოდ ნაწილობრივ მრეწველობის განვითარებას, და ამდენადვე - საწარმოო ძალთა წინსვლას, მაგრამ საბოლოო ანგარიშში რუსეთის მრეწველობის ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეულ ჩარჩოებში აყენებდა საერთოდ ქვეყნის სამრეწველო განვითარებას.

აღნიშნული წინააღმდეგობრივი ფაქტორებით იყო გაპირობებული ის, რომ რეფორმის წინადროინდელ საქართველოში ერთმანეთთან იყო გადახლართული წარმოების შედარებით ჩამორჩენილი და ახალი დროის შესაბამისი ფორმები.

რეფორმის მომდევნო ხანაში ბევრად უკეთესი პირობები შეიქმნა სოციალ-ეკონომიური განვითარებისათვის, მიუხედავად ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა გადმონაშთების საგრძნობი მასშტაბით არსებობისა. მოიხსნა საწარმოო ძალების წინსვლა-განვითარების მრავალი დამაბრკოლებელი ფაქტორი და ქვეყანა მტკიცედ დაადგა საერთო აღმავლობის გზას. (ამას დიდად შეუწყო ხელი რკინიგზის გაყვანამ 70-90-იან წლებში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მიმოსვლის ამ ახალი საშუალების დანერგვამ ნამდვილი გადატრიალება მოახდინა ქართველი ხალხის სამეურნეო (და არა მარტო სამეურნეო) ცხოვრების ყველა დარგში. მან ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონი, აამოძრავა მოსახლეობა, ხალხმა სოფლიდან ქალაქს მიაშურა და იქ სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობა გაშალა. ბოლო მოელო კარჩაკეტილობას. საერთო ეკონომიურმა აღმავლობამ თავისი გამოხატულება პოვა მრეწველობის შემდგომ განვითარებაში, სახალხო მეურნეობის ამ დარგში ადგილი ჰქონდა არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი ხასიათის ცვლილებებს. საქმე ისაა, რომ მრეწველობაში მსხვილმა კაპიტალისტურმა წარმოებამ, მიუხედავად რიცხობრივი სიმცირისა თანდათანობით უკან მოიტოვა წვრილი კაპიტალისტური და მანუფაქტურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოება და გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა, თუმცა წვრილი წარმოებაც უდავოდ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარება უპირველესად ქალაქების ცხოვრებაში აისახება და ასე მოხდა თბილისშიც. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების საქმეში და მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად იქცა. საკმაოდ სწრაფი იყო საფაბრიკო-საქარხნო წარმოების განვითარების ტემპი. რაღაც 3,5 ათეული წლის (1865-1900 წწ.) განმავლობაში ამ ტიპის საწარმოთა რაოდენობა 16-ჯერ გადიდდა, 4-დან 64-მდე, ხოლო მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება - 20-ჯერ და მეტად (80 ათასი მანეთიდან 16513 ათას მანეთამდე). მკაფიოდ ჩანს, რომ უკვე გასული საუკუნის მიწურულისათვის მანქანურ წარმოებას დამმუშავებელ მრეწველობაში წამყვანი ადგილი ეკავა. მან მრეწველობის ხსენებული დარგიდან ძირითადად გამოდევნა ხელით შრომა და ტონის მიმცემი თვითონ გახდა, ანუ მოხდა სამრეწველო რევოლუცია (გადატრიალება) ეს პროცესები ძირითადად შეეხო: საფეიქრო, ტყავის, ლითონდამმუშავებელ, თამბაქოს, საპნის წარმოებას. ასევე მოიცვა რკინიგზის მთავარი სახელოსნოების, ბათუმის ნავთის ბილონების ქარხნები. რაც შეეხება სამთამადნო მრეწველობას, იქაც იგივე პროცესები მიმდინარეობდა, იმ განსხვავებით, რომ იქ სიახლე უფრო მოგვიანებით და შედარებით ნელი ტემპით იკაფავდა გზას.

მრეწველობის პროგრესს თან სდევდა ვაჭრობის, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარება, ახალი სავაჭრო-სამრეწველო დაბების გაჩენა. ამ პროცესის ერთ-ერთი მაჩვენებელია ქალაქის მოსახლეობის შეუნელებელი ზრდა რეფორმის მომდევნო ხანაში.

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი - 1970 წ. ტ. V, გვ. 6,12;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალიზმის განვითარების საფუძველზე წარმოშობილმა საზოგადოებრივმა მოთხოვნილებებმა ახალი იერი მისცა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, აზროვნებას და კულტურას და შეუწყო ხელი მის ბურჟუაზიულ ერად ფორმირებაში.

საკითხი საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებისა და მისი თავისებურებების შესახებ პირველად დაისვა ალ.წულუკიძისა და ფ.მახარაძის წერილებში, რომელნიც ამ საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნდა პრესის ფურცლებზე. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში, ფ.მახარაძის აზრით, XIX ს. II ნახ-ში ხდება, თუმცა მას მხედველობიდან არ გამორჩენია არც მე-19 ს. პირველი ნახევრის კაპიტალისტური სამრეწველო წამოწყებები. მრეწველობის განვითარების წანამძღვრებში ფ.მახარაძე ასახელებს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს, ფულადი კაპიტალის დაგროვებას ადგილობრივი ვაჭრების ხელში, საქონლის მიმოქცევის ზრდას, რუსული და უცხოური კაპიტალის შემოტანის ცდებს. კაპიტალიზმის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობებად იგი მიიჩნევდა ბატონყმობის გაუქმებასა და რკინიგზების მშენებლობას. იგი ეხება მრეწველობის ახალი დარგების წარმოქმნას, საქართველოში მრეწველობის განვითარების თავისებურებებსაც, აღნიშნავს მის ცალმხრივ ხასიათს, კერძოდ მსუბუქი მრეწველობის და ზოგიერთი სხვა დარგის უპირატეს განვითარებას. ავტორი ასევე ეხება ახალი; ბურჟუაზიული საზოგადოების კლასების - პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ფორმირების საკითხს.[1]

საქართველოსა და ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების შესწავლა გახდა პროფ. პ.გუგუშვილის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი ძირითადი საგანი. წლების მანძილზე მის მიერ ჩატარებული დიდი შრომის შედეგია მისი ვრცელი მონოგრაფიული შრომები. XIX-XX საუკუნეების საქართველოს ეკონომიკური განვითარების შესახებ არ დარჩენილა თითქმის არც ერთი საკითხი, რომელიც პროფ. პ.გუგუშვილს მეტ-ნაკლებად შესწავლილი

---

1 ფ.მახარაძე - "საქართველო XIX საუკუნეში", თბილისი, 1933 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ჰქონდეს. მკვლევარმა წამოაყენა დებულება, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობა ჩაისახა ფეოდალიზმის წიაღში XIX ს-ის პირველ ნახევარში, რომ კაპიტალისტურმა მრეწველობამ საქართველოში გაიარა ყველა სტადია პირველიდან უმაღლეს ფორმამდე. ახალი საარქივო მასალების ფართოდ გამოყენების საფუძველზე პირველად მოგვცა მრეწველობის განვითარების სურათი ცალკეული ფორმების (ხელოსნობა, შინამრეწველობა, მანუფაქტურა, ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება), თუ დარგების (საფეიქრო წარმოება, მინის წარმოება, თამბაქოს, ტყავის, აბრეშუმის დამუშავება, მეტალურგიული წარმოება, სამთამადნო წარმოება) მიხედვით. რამდენიმე საწარმოს შესწავლის საფუძველზე პ.გუგუშვილი ასკვნიდა, რომ რეფორმამდელ საქართველოში უკვე სახეზეა კაპიტალისტური მრეწველობის მანუფაქტურული სტადია.

მანუფაქტურიდან ფაბრიკულ წარმოებაზე გადასვლისა, ე.ი. სამრეწველო გადატრიალების დასაწყისს, პ.გუგუშვილი საგლეხო რეფორმის გატარებისა და რკინიგზების მშენებლობის პერიოდს უკავშირებს. მაგრამ აქვე დასძენს, რომ ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკა და ბატონყმობის ძლიერი გადმონაშთები აფერხებდნენ მსხვილი მრეწველობის განვითარებას, ზღუდავდნენ მას. ამიტომ მრეწველობის ზოგიერთ დარგში სამრეწველო გადატრიალება ვერ იქნა ბოლომდე მიყვანილი 90-იან წლებშიაც კი.[1]

პროფ. შ.ჩხეტიას ნაშრომებში დახასიათებულია კაპიტალიზმის გენეზისი საქართველოში, ასევე XIX საუკუნის თბილისის სამრეწველო ცხოვრება. მკვლევარი სპეციალურ თავებში იხილავს ხელოსნობასა და ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებას თბილისში.[2] იგი მიზნად ისახავს ფეოდალური თბილისის ბურჟუაზიულ ქალაქად გარდაქმნის პროცესის ჩვენებას.

ბურჟუაზიული ხანის საქართველოს სამრეწველო ცხოვრებას გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ა.კიკვიძის ნაშრომებში: "საქართველოს ისტო-

---

1 პ.გუგუშვილი - "საქართველოსა და ა/კ-ის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., წიგნი I. თბილისი - 1965 წ.

2 შ.ჩხეტია - "Тбилиси в XIX столетии", Тбилиси, 1959 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია - XIX საუკუნე", "მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში 1870-1901 წწ." ავტორის აზრით, საქართველოს მრეწველობის მანუფაქტურული სტადია არ გაუვლია ამის მიზეზად იგი ქვეყნის კოლონიურ მდგომარეობას ასახელებს. კაპიტალიზმის განვითარების ძირითად ფაქტორებად იგი საგლეხო რეფორმის გატარებას და აგრეთვე რკინიგზების მშენებლობას მიიჩნევს.

თბილისის მრეწველობის განვითარება გასული საუკუნის რეფორმების მომდევნო პერიოდში საფუძვლიანადაა შესწავლილი ნ.როლნაიას ნაშრომში "თბილისის მრეწველობა XIX ს.II ნახევარში". ავტორი ძირითადად ემყარება სტ.გულიშამბაროვის ნაშრომებს: " Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии" და " Обзор фабрик и заводов Закавказского края". ნ.როლნაიამ შეისწავლა მრეწველობის ისეთი დარგები,როგორიცაა: საპნის, სტეარინისა და სანთლის წარმოება, ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა, ლუდის სპირტისა და ხელოვნური მინერალური წყლების წარმოება და სხვა დარგებიც. აღნიშნულ ნაშრომში მკვლევარი საგანგებოდ ეხება ორთქლის ძრავების გაჩენას თბილისის მრეწველობაში, მანქანურ წარმოებაზე გადასვლას და თბილისის მრეწველობის შემდგომ ზრდას.[1]

საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის აღმოცენება და განვითარება XIX საუკუნეში მონოგრაფიულად შეისწავლა გ.ბაქრაძემ. მრავალფეროვანი, ადრე მეტწილად უცნობი საარქივო და სხვა წყაროების მონაცემების განხილვით, ერთმანეთისაგან გამოყო მრეწველობის სხვადასხვა ფორმები, დაახასიათა მათი თანაარსებობა. მისი დიდი დამსახურებაა ცალკეული მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების შესწავლა "უწყისების" მიხედვით, რაც მანამდე არ გაკეთებულა. ავტორი ეხება იმ ფაქტორებს, რომელთაც განსაზღვრავს მანუფაქტურის სუსტი განვითარება საქართველოში.

---

1 ნ.როლნაია - თბილისის მრეწველობა XIX ს. II ნახევარში, თბილისი, 1961 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის მიზეზად იგი პირველ რიგში ასახელებს ფეოდალი კაპიტალისა და მუშახელის ნაკლებობას.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა დ.გოგოლაძემ - "კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში". ავტორმა კაპიტალისტური მრეწველობის პირველ წამოწყებებიდან შეისწავლა აბრეშუმის, შაქრის, მინის, საპნის, ტყავის, ბამბის, მაუდისა და სხვა საწარმოები. ზოგიერთი მსხვილი საწარმო - კასტელას აბრეშუმსახვევი და საბახავი "ფაბრიკა", ზუბალაშვილის და სხვების შაქრის "ქარხანა" ერისთავების მინის "ქარხანა" და სხვა.[1]

საქართველოს მრეწველობის განვითარება XIX საუკუნის რეფორმების შემდგომ პერიოდში და XX საუკუნის რევოლუციამდელ ხანაში მიმოხილულია ნ.ტყეშელაშვილის ნაშრომში "ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან". განსაკუთრებით საყურადღებოა საქალაქო ცხოვრების ბურჟუაზიული ევოლუციის ავტორისეული დახასიათება. მკვლევარი განიხილავს მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობა, მანგანუმის მრეწველობა, ნავთობის პროდუქტების ტარის წარმოება. ცალკე თავად არის განხილული საქართველოს მრეწველობა დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, სააქციო საზოგადოებათა ჩამოყალიბება მარგანეცის მრეწველობაში. ნაშრომში გვხვდება აშკარად მცდარი მონაცემები და დებულებებიც. ავტორის აზრით, "90-იანი წლების ბოლოს ქ.თბილისში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ა/კ-ის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებს, უპირატესად იყო წვრილი სამრეწველო საწარმოები".[2]

---

1 დ.გოგოლაძე - სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი; თბილისი - 1966წ.

2 ნ.ტყეშელაშვილი - ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან; თბილისი - 1958 წ.

მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს-ის საქართველოში ვრცლადაა განხილული ე.ხოშტარიას გამოკვლევებში. კაპიტალიზმის განვითარების საკვანძო საკითხებია განხილული წიგნში "მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, ამავე პრობლემას ეხება მისი სტატია "დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს. 30-60-იან წლებში".[1]

ავტორი დიდძალ, მეტწილად უცნობ წყაროებზე დაყრდნობით აანალიზებს და იკვლევს საქართველოს სამრეწველო განვითარებას XIX საუკუნეში, დაკვირვებას აწარმოებს დაქირავებული შრომის გამოყენების მასშტაბის ზრდაზე. მკვლევარი დამმუშავებელი მრეწველობის დარგებს მათი განვითარების სტადიებისდა მიხედვით იკვლევს, გვიჩვენებს დაბალი სტადიებიდან მაღალზე გადასვლას, აღგენს მრეწველობის სხვადასხვა ფორმის თანაფარდობაში მომხდარ ცვლილებებს, საინტერესოდ და დამაჯერებლად ასახავს სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბებას და მუშათა მოძრაობის პირველ ნაბიჯებს საქართველოში. ასევე დიდ ადგილს უთმობს კაპიტალისტური მრეწველობის გენეზისს, წვრილი წარმოების ბურჟუაზიულ ევოლუციას, საქალაქო ცხოვრების განვითარებას და სხვა საკითხებს.

საყურადღებოა გ.მეგრელიშვილის გამოკვლევა "Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX в.", სადაც ვრცლად არის დახასიათებული საქართველოს კაპიტალისტური განვითარება, პოლიტიკური პარტიების იდეური ბრძოლა ბურჟუაზიული ურთიერთობების განმტკიცების პერიოდში.

აგრეთვე საყურადღებო და აღსანიშნავია მთელ რიგ სხვა ისტორიკოს მკვლევარია მონოგრაფიული ნაშრომები კაპიტალისტური ურთიერთობების

---

1 ე.ხოშტარია - მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს-ის საქართველოში, ტ. 1, ტ.2; თბილისი, 1966 წ.;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩასახვისა და განვითარების შესახებ მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. ეს ისტორიკოსებია: გრ.მარგიანი, დ.ცინცაძე, მ.მირიანაშვილი, ალ.კოჭლავაშვილი, ალ.ბენდიანიშვილი, ე.ორჯონიკიძე და სხვები.

რაც შეეხება წყაროთმცოდნეობით ბაზას, აქ უპირველეს ყოვლისა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანია სტეფანე გულიშამბაროვის ნაშრომები საქართველოსა და ამიერკავკასიაში არსებული ფაბრიკა-ქარხნების შესახებ.[1]

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების დონის დასადგენად უდაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს 1897 წლის საყოველთაო აღწერის მასალას, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს დამქირავებელთა და დაქირავებულთა რაოდენობის შესახებ. აქციონერული საზოგადოებების შესწავლისას უმთავრეს საისტორიო წყაროს წარმოადგენს 1905 წელს ვ.ა.დმიტრიევ-მამონტოვის რედაქციით გამოცემული "იმპერიაში მოქმედ სააქციო საწარმოთა და სავაჭრო სახლთა საძიებლის" ორი ტომი.[2] მასში შესულია თითქმის მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით (პოლონეთისა და ამურისპირეთის საგენერალ-გუბერნატოროს გარდა) მოქმედი სააქციო კომპანიების მეტ-ნაკლებად სრული მონაცემები, ანგარიშებისა და ბალანსების ჩათვლით.

"საძიებელს" დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მრეწველობაში მოქმედი უცხოური, რუსული და ადგილობრივი სააქციო კომპანიების ისტორიის შესასწავლად. როგორც ცნობილია ადგილობრივი და რუსული კაპიტალის შედარებითი სისუსტე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საქართველოს მრეწველობაში უცხოური კაპიტალის დასანერგავად.

I Ст.Гулишамбаров. Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887 г.

2 Указатель действующих в империи акционерных предприятий и торговых домов, под общ.ред.В.А.Дмитриева-Мамонтова, т.I-II, С.-Петербург, 1905.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი აზროვნება საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ არაერთგვაროვანი იყო. პრესის მასალების, ისტორიკოს-მკვლევართა ნაშრომების შესწავლა-განხილვისას ჩვენთვის ნათელი ხდება თუ საზოგადოების რომელი კლასის წარმომადგენელი რა პოზიციას და რა დამოკიდებულებას ავლენს აღნიშნული საკითხისადმი. ფორმირების პროცესში მყოფ ქართულ ეროვნულ ბურჟუაზიას და საერთოდ ქვეყნის კაპიტალისტური გზით განვითარების მომხრეებს განსაკუთრებით სოციალ-ფედერალისტები ესარჩლებოდნენ. ფედერალისტებს მიაჩნდათ, რომ ქართველი ერის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში ჰეგემონის როლი ბურჟუაზიას უნდა შეესრულებინა, მას უნდა გაედევნა უცხო ელემენტი საქართველოს ეკონომიური ცხოვრებიდან, თვით დაპატრონებოდა ვაჭრობა-მრეწველობას.

რაც შეეხება საზოგადოებრივ აზროვნებას საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ, აღნიშნული საკითხი ძირითადად განხილული აქვთ პროფ. აკ.სურგულაძეს, მ.გაფრინდაშვილს, პრ.რატიანს, ვახ.გურულს, ლ.ჩიქოვანს, ა.კიკვიძეს, ა.იოსელიანს თავიანთ ნაშრომებში.

პროფ. აკ.სურგულაძე თავის ნაშრომში - "ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში" საინტერესოდ გადმოგვცემს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სინამდვილეს. კრიტიკულად არის შეფასებული რუსეთის იმპერიული ზრახვები საქართველოში, ცარისტული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, თერგდალეულთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა და თითოეული დასის დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე რთულ სოციალ-ეკონომიკურ პრობლემებისადმი: ცალკე განხილულია თერგდალეულთა ეროვნული პროგრამა, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა 70-80-იან წლებში, დასების საკითხი, პრესის მასალები - ძირითადი პუბლიკაციები "დროებისა" და "კრებულის" ფურცლებზე და თერგდალეულთა იდეური შეხედულებანი საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებისა და ბრძოლა კონსერვატორების წინააღმდეგ.[1]

---

1 ა.სურგულაძე - "ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში", თბილისი; 1973 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. მ.გაფრინდაშვილმა თავის წიგნში - "ქართული განმანათლებლობა" ძირითადი ყურადღება გაამახვილა XIX ს. 60-70 წლების მოღვაწეების ქართულ განმანათლებლობასთან კავშირზე. მათ შეხედულებებზე - ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ გარდამავალ საქართველოს საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების, ბატონყმობის კრიზისისა და კაპიტალიზმის განვითარების შესახებ.

"60-70-იანი წლების ქართულ განმანათლებლობაში შეინიშნება ჰუმანისტურ-დემოკრატიული (ი.ჭავჭავაძე, აკ.წერეთელი; ი.გოგებაშვილი), რადიკალურ-დემოკრატიული (გ.წერეთელი, ნ.ნიკოლაძე, ს.მესხი) და ბუნტარულ-დემოკრატიული (ხალხოსნები) იდეური მიმდინარეობანი. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში შეინიშნება გვიანდელი განმანათლებლობაც, რომელიც სამოციანელ განმანათლებელთა პირდაპირი მემკვიდრე იყო (ა.ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა)".[1]

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის პროფ. პრ.რატიანს, რომელმაც პირველი ნარკვევი ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების შესახებ 1965 წ. გამოაქვეყნა.[2]

მკვლევარმა უარყო თვით ცნებები პირველი და მეორე დასებისა. თერგდალეულთა ერთობლივი ბრძოლის დაყოფა - სამ ეტაპად (1861-1863; 1866-1870; 1871-1877 წლები), და წამოაყენა თავისი ახალი მოსაზრება, რომლის მიხედვით "თავისი სოციალური შინაარსით თერგდალეულთა იდეოლოგია ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული (გლეხური) იდეოლოგიის გამოხატულებას წარმოადგენდა", თანაც ბურჟუაზიის იდეოლოგები გ.წერეთელი და

---

1 მ.გაფრინდაშვილი, ქართული განმანათლებლობა, თბილისი, 1966 წ., გვ. 5-6

2 პრ.რატიანი, ილია ჭავჭავაძე, 1965 წ., გვ.135

ნ.ნიკოლაძე იყვნენ, გლეხობისა - უწინარეს ყოვლისა ილია ჭავჭავაძე.[1]

ისტორიულ ნაშრომთაგან პრ.რატიანის მონოგრაფიის გარდა ერთ-ერთი პირველი ნაშრომი იყო ავთანდილ იოსელიანის წიგნი, რომელშიც გამოკვლეულია ილია ჭავჭავაძის ისტორიული შეხედულებანი, აგრეთვე მისი სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციის ეროვნული და კლასობრივი საფუძვლები. ამასთან "ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ქვაკუთხედი, - ამბობს, ა.იოსელიანი, - ეროვნული საკითხია - ილიას ღრმა რწმენით, რაკი ერი არის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი სოციალური კატეგორია, ამიტომ ძირითადი სოციალური პრობლემები ეროვნული თვალსაზრისით უნდა განიხილებოდეს და წყდებოდეს.[2] მ.გაფრინდაშვილის თვალსაზრისი კი ილია ჭავჭავაძეს, "გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა ფეოდალურ და ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებზე". ილია ობიექტურად კაპიტალიზმის განვითარების პროგრესიულ გზას იზიარებს, სუბიექტურად კი ებრძვის კაპიტალიზმის განვითარების შედეგად უკვე გამოვლინებულ სოციალ-ეკონომიურ ყველა მახინჯ მოვლენებს საერთოდ. ილია თავგამოდებით იცავს მესაკუთრე გლეხობას, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ძალას და ქვეყნის მარჩენალს, მოუწოდებს თავადაზნაურობას "სამრეწველო ურმის თავში შეებას" და, ამრიგად, იძლევა "ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების თავისებურ პროგრამას", რომელიც განსხვავდება "დროება-კრებულის", "რადიკალურ-წვრილ-ბურჟუაზიული" პროგრამისაგან.[3]

---

1 პრ.რატიანი, ილია ჭავჭავაძე, 1965 წ., გვ.465-466

2 ა.იოსელიანი - ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები (ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან), 1951, გვ.477

3 მიხ. გაფრინდაშვილი - ეროვნული და კლასობრივი ილია ჭავჭავაძის განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ მსოფლმხედველობაში". "მეცნიერება", თბილისი, 1987 წ., გვ.70

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიკოსი-მკვლევარი აბელ კიკვიძე იმ აზრს იცავს, რომ როგორც პირველი, ისე მეორე დასის იდეოლოგების მოქმედებისა და ბრძოლის გზა რეფორმისტული იყო. ორივე დასი იბრძოდა ბატონყმობის წინააღმდეგ ერისა და ხალხის სახელით, ორივე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეებს ქადაგებდა და კაპიტალისტური პროგრესისაკენ მიუთითებდა ქართველ ხალხს, მაგრამ ისინი სცილდებოდნენ ერთმანეთს ეროვნული წამყვანი ძალების გაგების საკითხში, პირველდასელი ჰუმანისტი "ილია ჭავჭავაძე ქადაგებდა აგრარულ კაპიტალიზმს, მემამულეობის შეზრდას - კაპიტალიზმში", "შესაძლებლად მიაჩნდა თავადაზნაურობის მრეწველებად" და ერის განათლებულ მეთაურად გადაქცევა.

მეორედასელი რადიკალი გ.წერეთელი ა.კიკვიძის აზრით "ბურჟუაზიული საზოგადოების მოსარჩლე" იყო, "უარყოფდა თავადაზნაურობის მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მესამე წოდებას" - მაგრამ, ამ თეორიული განსხვავების მიუხედავად, "პირველი და მეორე დასი არ წარმოადგენდნენ ორგანიზაციულად ერთი მეორეზე დაპირისპირებულ საზოგადოებრივ ჯგუფებს", რამდენადაც "მათ მიერ წამოყენებული თავისუფლებისა და თანასწორობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეების ემსახურებოდა ახლად წარმოქმნილი ბურჟუაზიული საზოგადოების მოთხოვნას, ახალგაზრდა ბურჟუაზიული კლასის ინტერესებს და წარმოადგენდა ამ კლასის მოქმედების იდეოლოგიურ გამოხატულებას". ამიტომ, დაასკვნის ა.კიკვიძე, - "არავითარი დაშლა თერგდალეულთა საზოგადოებისა არ მომხდარა და ილია ჭავჭავაძის წვრილ-ბურჟუაზიის იდეოლოგად გამოცხადება ხომ სავსებით არასწორად უნდა იქნას მიჩნეული. სხვა არა იყოს რა, წვრილბურჟუაზიული მიმართულება საზოგადოებრივ მოძრაობაში კაპიტალიზმის აღმავლობის ხანაში რეაქციას წარმოადგენდა და რომ ილია ჭავჭავაძე წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი ყოფილიყო, ის ვერავითარ პროგრესულ როლს ვერ შეასრულებდა ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში".[1]

---

1 ა.კიკვიძე - XIX საუკუნის ქართული ისტორიული აზროვნება. წიგნში "მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ.29, 1951) გვ.70; 75;

გარდა ზემოთაღნიშნული გამოკვლევისა, ბ-ნ აბელ კიკვიძის ისტორიულ ნაშრომებს მიეკუთვნება, წიგნი - "გაზეთი "კვალი", რომელშიც ავტორი მოგვითხრობს გაზეთი "კვალის" ისტორიას, დღიდან მისი გამოსვლისა, ასევე ეხება ცნობილ პიროვნებათა პუბლიკაციებს - პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებზე.[1]

საინტერესო მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნა ისტორიკოსმა ლ.ჩიქოვანმა თავისი ნაშრომი, რომელიც ეძღვნება ნიკო ნიკოლაძესა და XIX ს-ის 70-80-იანი წლების დემოკრატიულ პრესას.[2] ნაშრომიდან ჩანს, თუ როგორი პატრიოტული პოზიციით უდგებოდა ნიკო ნიკოლაძე საქართველოში უცხოელი მონოპოლისტების მოძალებას, მის კამათს მსოფლიოში ცნობილ ნავთობის მრეწველ ლუდვიგ ნობელთან და ბევრ სხვა საინტერესო დეტალებს ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის შესახებ.

პროფ. ვ.გურულის ნაშრომი "ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან", გაზეთი "კვალი" 1898-1904 წწ. გვამცნობს - გაზეთ "კვალში" მოღვაწე ქართველთა იდეურ-პოლიტიკურ შეხედულებებს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების შესახებ "კვალის" საპოლემიკო სტატიებს "ივერიასთან" და მის იდეურ მსგავსებას რუსეთში გამომავალ სოციალ-დემოკრატიულ პრესასთან.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ, საკითხის შესასწავლად უმთავრეს საისტორიო წყაროდ გვევლინება გაზეთების "დროების", "ივერიის" "კვალის" ფურცლებზე დაბეჭდილი სხვადასხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც გადმოგვცემენ თუ რა ვითარება

---

1 ა.კიკვიძე - გაზეთი "კვალი" 1893-1904 წწ.; თბილისი - 1969 წ.

2 Л.Ф.Чиковани. Нико Николадзе и демократическая печать Грузии 70-80-х годов XIX века. Тбилиси, 1989, стр.172.

3 ვახ.გურული - ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. გაზეთი "კვალი" - 1898-1904 წწ. ჟურნალი "პოლიტიკა" - 1994 წ. № 4-5; გვ.16

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყო იმ პერიოდის საქართველოში, რა დამოკიდებულებას იჩენდა ქართველები ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების მიმართ, ასევე მოყვანილია ევროპის განვითარებული ქვეყნების მაგალითები, გამოცდილებები, რომლებიც უნდა გამხდარიყო სახელმძღვანელოდ ახლადფეხადგმული ქართული ბურჟუაზიისათვის.

თ ა ვ ი II

ეპოქის დახასიათება (სოციალურ-ეკონომიკური თვალთახედვით)

მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა XIX საუკუნეში თანდათანობით არღვევდა სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ჩარჩოებს და რუსეთთან ერთად თავის გავლენის სფეროში ითრევდა ამიერკავკასიას, ნაწილობრივ საქართველოსაც. ამ დროისათვის საქართველომ ხანგრძლივი ისტორიული განვითარების ეტაპები განვლო და მიუხედავად მძიმე საშინაო ვითარებისა ამ პერიოდში, (მოძველებული ფეოდალურ-ბატონყმური წყობა) რუსეთის გავლენამ მის ეკონომიკურ სფეროებზე ძლიერი ბიძგი მისცა ქვეყნის შემდგომ სოციალ-ეკონომიურ განვითარებას და ხელი შეუწყო კაპიტალიზმის, როგორც გაბატონებული ფორმაციის დამკვიდრებას.

ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვა და მისი შემდგომი განვითარება საქართველოში დაემთხვა ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას რუსეთის წყალობით. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნიდან იშლება საქართველოსთვის მეტად საინტერესო ახალი ისტორიის ფურცელი - თუ წინა საუკუნეებში საქართველოს ისტორია ძირითადად წარმოადგენდა ქართველი ხალხის ბრძოლას თავისი სამშობლოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, ფიზიკური არსებობის და რელიგიური მრწამსის შენარჩუნებისათვის, ფეოდალიზმის ეკონომიური და საზოგადო-პოლიტიკური სისტემის განმტკიცებისათვის, XIX საუკუნეში ცხოვრების ახალ პირობებში სახალხო-განმანთავისუფლებელი ბრძოლა ავიდა გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე - ეს იყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, დაკავშირებული სოციალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ რთულმა და საინტერესო ეპოქამ საქართველოს მისცა ქართული კულტურისა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ბრწყინვალე პლეადა, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეი-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანა ქვეყნის შემდგომი პროგრესისა და ისტორიის განვითარების საკითხში.

XIX საუკუნის დამდეგისათვის საქართველო ეკონომიკურად დასუსტებულ ქვეყანას წარმოადგენდა. ცხოვრების ყველა დარგში იგრძნობოდა წინა საუკუნეთა მანძილზე მტერთა გამაჩანაგებელი შემოსევების, მოსახლეობის ნაწილის ამოწყვეტის, ან ტყვეებად წაყვანის, ხარკის, ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლუატაციის მძიმე შედეგები. მდგომარება უკეთესობისაკენ თავიდან არ შეუცვლია რუსთა ბატონობის დამყარებას. კავკასიის პოლიტიკური დაპყრობისათვის გაჩაღებული ომების ეკონომიკური ხარჯები ცარიზმმა ძირითადად აღგილობრივ მოსახლეობას დააკისრა. ქართველობა მეფის არმიის მომსახურებით იყო დაკავებული და მოკლებული იყო საკუთარი მეურნეობის წარმართვის შესაძლებლობას - ცარიზმს, მართალია საქართველოში დამკვიდრებისთანავე გაუჩნდა სურვილი მისი ეკონომიკური ათვისებისა, მაგრამ ომის ვითარებაში ეს არ შეეძლო და უპირატესად დაზვერვითი ხასიათის ლონისძიებებით კმაყოფილდებოდა, ამასთან ადგენდა გეგმებს მისი შემდგომი კოლონიური ათვისებისათვის.[1]

30-40-იან წლებში ვითარება შეიცვალა, კავკასიის დაპყრობისათვის საომარი ოპერაციები ძირითადად დასრულდა და მყუდროება დამყარდა.

მშვიდობიან ვითარებაში შესამჩნევი გახდა მოსახლეობის ზრდა და მისი სამეურნეო საქმიანობის დაწინაურება. გადიდდა ნათესების ფართობი, გაიზარდა მოყვანილი მარცვლეულის რაოდენობა დაწინაურდა მევენახეობა მებაღეობა-მებახჩეობა და ინტენსიური მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოება, მებამბეობა და სხვა ჭარბი პროდუქციის ვითარებაში გაცხოველდა საბაზრო-ფულადი ურთიერთობანი. სოფლის მეურნეობის ნაწარმი ამ დროიდან რუსეთში და საზღვარგარეთაც გაქონდათ-განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა ქართული ღვინო, რომელიც მეტი და მეტი რაოდენობით გადიოდა რუსეთში.

---

1 ა.სურგულაძე, პ.სურგულაძე - საქართველოს ისტორია, თბილისი, 1991 წ., გვ.50;

ქვეყნის სამეურნეო წინსვლას თან ახლდა ქალაქების დაწინაურება, მათი სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის გაცხოველება. იგი პირველყოვლისა დაეტყო თბილისს, რომლის მოსახლეობამ შესამჩნევად იმატა თბილისთან ერთად, იზრდებოდნენ სამაზრო ქალაქები - თელავი, სიღნაღი, გორი. თანდათან წინაურდებოდა ქუთაისის და დასავლეთ საქართველოს სამაზრო ქალაქები. სწრაფად ვითარდებოდა ხელოსნური წარმოებანი; ჩნდებოდა კაპიტალისტური ხასიათის მანუფაქტურები, აბრეშუმის, შაქრის, მინის, ტყავის, საპნის, აგურის წარმოებანი 1852 წლისათვის თბილისის გუბერნიაში 154 საწარმო არსებობდა, ხოლო 10 წლის შემდეგ მათ რაოდენობამ 400-ს გადააჭარბა.[1] ასე რომ, XIX ს-ნის 30-50-იან წლებში საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ძვრებსა და ცვლილებებს, რაც გამოიხატა: სასაქონლო წარმოების განვითარებაში, ბურჟუაზიულ პრინციპებზე დამყარებული ფერმებისა და სამრეწველო საწარმოთა შექმნაში, განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და დაქირავებული შრომის შედარებით ფართოდ გამოყენებაში, საშინაო და საგარეო ვაჭრობის ზრდაში, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების დაწინაურებაში, გლეხებისა და მემამულეების კლასობრივი დიფერენციაციის მიმდინარეობაში, ფეოდალური საკუთრების თანდათანობით მოშლაში.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქმიანობის აღმავლობას თან მოჰყვა ვაჭრობის ზრდა. 30-იანი წლებისათვის საქართველოს სამრეწველო განვითარებისათვის, ისევე როგორც საერთოდ ქვეყნის სამეურნეო წინსვლისათვის, როგორც აღვნიშნეთ, შედარებით ხელსაყრელი პირობები იქმნება ქვეყანაში მშვიდობიანობა მყარდება და რუსული მმართველობის სისტემა აქ თავისი პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ, ზრუნვას იწყებს მეურნეობის გარკვეული დარგების ინტენსიურ განვითარებაზე, კერძოდ ისეთი

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1970 წ., ტ.V, გვ.119

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარგებისა, რომლებიც მის კოლონიურ მიზნებს ემსახურებოდა.[1] რუსეთთან ეკონომიური კავშირის გაძლიერება ხელს უწყობდა საქართველოში რუსი და, რუსეთის გზით, უცხოელი საქმოსნების მოზიდვას. 20-იან წლებში, ე.წ. "შელავათიანი ტრანზიტის" მოქმედების პერიოდში, ადგილობრივ ვაჭართა ხელში დაგროვდა მნიშვნელოვანი ფულადი კაპიტალი, რომლის ნაწილი მრეწველობაში მიემართებოდა. უცხოეთიდან და რუსეთიდან მოძალებულ ხელოსნებს სიახლე შემოჰქონდათ საქალაქო ცხოვრებაში. ჩნდება ამქრისგარეშე ხელოსნობა, რომელიც თანდათან ძირს უთხრიდა ტრადიციულ ამქრულ წყობილებას.[2] სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა უფრო და უფრო იჭრება სოფლადაც და შესაბამის გავლენას ახდენს გლეხის საოჯახო მრეწველობაზე.

უდაოა რომ, ქვეყანაში ახალი ურთიერთობის განვითარებას ხელი შეუწყო რუსეთთან ერთად საქართველოს ჩართვამ მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში, რომელსაც ახასიათებს გაფართოების, ეროვნული ჩარჩოების რღვევის ტენდენცია.

ვაჭრობის განვითარებას თან მოჰყვა თბილისელი ვაჭრების მომრავლება ევროპის ბაზრებზე. იქედან შემოტანილი საქონლის ნაწილი საქართველოში საღდებოდა, ნაწილი ირანში გაქონდათ. თბილისში წარმოიშვა კომერციული სახლები. აღმოცენდა იარმარკები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. თბილისელი ვაჭრები მომრავლნენ ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე-რუსეთიდან უპირატესად შემოჰქონდათ ბამბის, სელის, შალის და აბრეშუმის ქსოვილები, რკინისა და ფაიფურის ნაწარმი, შაქარი, პურის ფქვილი და სხვა. ევროპის ქვეყნებიდან - ძვირფასი ღვინოები, ყავა, საღებავები, სანელებლები, შაქარი, ფოლადი, ტყვია და სხვ. ირანიდან - აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, გამოყვანილი ტყავი, ხმელი ხილი და სხვა აზიური საქონელი. თბილისელ ვაჭრებს ნაირ-ნაირი საქონელი გაქონ-

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი 1970 წ., ტ.V,გვ.67

2 ნ.ტყეშელაშვილი - ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბილისი, 1958 წ., გვ.23;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ რუსეთში და საზღვარგარეთ, ნოვგოროდის იარმარკაზე 1850 წელს თბილისელ ვაჭრებს ჩაუტანიათ 1. 195.019 მანეთის საქონელი. დასავლეთ საქართველოდან სიმინდის დიდი რაოდენობა გაქონდათ ინგლისში და ირლანდიაშიც კი.[1]

ისტორიული დოკუმენტებიდან ცნობილია, რომ, თბილისი მე-18 საუკუნის დამლევიდან 1921 წლის დამდეგამდე ითვლებოდა კავკასიაში მთავარ სავაჭრო ქალაქად, სადაც ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენლებს ეკავათ ხელმძღვანელი თანამდებობები ქალაქის საზოგადოებრივ მმართველობაში.

შემონახულია 1796 წლით დათარიღებული დოკუმენტი, რომელშიც შეხვდებით ცნობას იმის თაობაზე, რომ ერეკლე მეორემ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის 70-იან წლებში იოანე თაკუაშვილსა და მის მამას დართო ნება აეშენებინათ თბილისში "დენთის ქარხანა"[2]. მეფის ბრძანებით ქალაქში არავის ჰქონდა უფლება დაემზადებინა და გაეყიდა დენთი. დენთის ქარხანა მუშაობდა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე ანუ 1795 წლამდე და აღადგინეს 1796 წელს. ილია თაკუაშვილი, როგორც ირკვევა დიდი ვაჭარი და საპატიო მოქალაქეც ყოფილა. 1793 წლით დათარიღებულ დოკუმენტში ვხვდებით ცნობას როგორც აღმოსავლეთის, ისე სხვა ქალაქებში ქართველ ვაჭართა მოღვაწეობის შესახებ. ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ქართველმა ვაჭრებმა გასაყიდად გაგზავნეს შვიდნახევარი ურემი ანუ 370 ბათმანი სპილენძი შემახაში, სადაც უნდა შეეძინათ აბრეშუმი, ისინი აპირებდნენ შემახაშის აბრეშუმი "ზღვითა და ხმელეთით" გადაეტანათ ასტრახანში, საიდანაც თბილისელ ვაჭარ ნაზარ იესაშვილს იგი ნიჟნი ნოვგოროდში უნდა გაეგზავნა.

---

1 ა.სურგულაძე, პ.სურგულაძე - საქართველოს ისტორია, თბილისი, 1991 წ., გვ.51

2 გაზეთი "დროება" - 1872 წ., IX № 32; "ზოგი რამ ვაჭრობის ისტორიიდან"; (უცნობი ავტორი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-18 საუკუნის დამლევისათვის თბილისში ამსტერდამიდან ჩამოდიოდა მაუდი და შაქარი, ინდოეთიდან და ვენეციიდან - აბრეშუმის ქსოვილები, ირანიდან და თურქეთიდან - სურსათი, რუსეთიდან კი - ლითონი, მარცვლეული, კარაქი.

შუა აზიის, ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქალაქებში დადიოდნენ ქართველ ვაჭართა მთელი ქარავნები. მათ შორის იყვნენ იმ დროისათვის ცნობილი ვაჭრები: ოთარ ამილახვარი, ზურაბ და ზაალ ბარათაშვილები, ალია პიტუაშვილი, სანდრო ლაფერაშვილი და სხვები.[1]

შემონახულია მე-19 საუკუნის დამლევისა და მე-20 საუკუნის დამდეგის პირველი და მეორე გილდიის თბილისელ ვაჭართა სია,[2] რომელთა შორის ვხვდებით ქართველი ეროვნების მრავალ "გამოჩენილ ადამიანს"-აი, ზოგი მათგანი: ვასილ ონიკაძე, ერასტი ჭავჭანიძე, პავლე გურგენაძე, ლევან ჯავახიშვილი, ძმები სერგი და ივანე კვეზერელი-კოპაძეები, გერასიმე შაკიაშვილი და სხვ.

შემონახულია აგრეთვე იმ პირთა სიებიც, რომლებიც ერთდროულად ვაჭრებიც იყვნენ და სავაჭრო სამრეწველო საწარმოთა მფლობელებიც - ესენი არიან ელისაბედ მხეიძე (საქართველოში პირველი და ერთადერთი ვაჭარი ქალი), პავლე არონიშიძე, დავით მახათაძე, დავით ზაალიშვილი, რაჟდენ კერვალიშვილი, ზაქარია თოიძე, სიმონ გვარჯალაძე და სხვები. ისინი ყველანი გაერთიანებულნი იყვნენ თბილისის ვაჭართა საგუბერნიო საზოგადოებაში, რომელიც შედიოდა გუბერნიის წინამძღოლ თავადაზნაურობაში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში გიორგი ბაგრატიონი, რომ მეთაურობდა. ამ საზოგადოებამ თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკთან ერთად, რომლის თავმჯდომარე იყო ბრწყინვალე თავადი მიხეილ გრუზინსკი, წევრები კი - თავადები: ლევან ჯანდიერი, დიმიტრი ფავლენიშვილი და სიმონ ვახვახიშვილი, ბევრი რამ გააკეთა თბილისში და მთლიანად საქართველოში მეწარმეობის, ვაჭრობისა და კულტურის განვითარებისათვის.

---

1 გაზეთი "დროება" - 1872 წ.; IX № 33; "ზოგი რამ ქართველ ვაჭართა ისტორიიდან";

2 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შექმნეს მრავალი სავაჭრო სახლი. ქართველი ვაჭრები რეგულარულად მართავდნენ სავაჭრო-სამრეწველო ყრილობებს, გამოფენებს, ბაზრობებს - 1893 წელს გამართულ ყრილობაზე მიიღეს ვაჭართა წესდება და რეზოლუციები მუშათა საკითხის გამოკვლევის არტელების უფლებათა განსაზღვრის, პეტერბურგში, მოსკოვსა და ნიჟნი ნოვგოროდში საქართველოს სავაჭრო წარმომადგენლობათა დაარსების შესახებ და ა.შ.

დაამტკიცეს აგრეთვე ახალი დებულებები და "თბილისის წარჩინებულ მოქალაქეთა" სიგელები, 1785 წელს შემოღებული სიგელების ნაცვლად.

"წარჩინებულად" შეიძლებოდა აერჩიათ მხოლოდ ის, ვინც ორჯერ იყო არჩეული ქალაქის მაღალ თანამდებობაზე. ვაჭრები, რომლებსაც ჰქონდათ 100-120 ათასი მანეთი, ბითუმად მოვაჭრეები და გემთმფლობელები, რომლებიც "ზღვის გადაღმა გზავნიდნენ თავიანთ გემებს".[1]

"წარჩინებულებს" უფლება ჰქონდათ ეტარებინათ სპეციალურად შეკერილი სათავადაზნაურო მუნდირები, ევლოთ ქალაქში ოთხცხენშებმული ეტლებით - თბილისის პირველ წარჩინებულ მოქალაქედ აირჩიეს გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, თავადი გიორგი ბაგრატიონი.

უცხოეთთან თავისუფალი ვაჭრობა არ უპასუხებდა რუსეთის კოლონიურ ინტერესებს, მაგრამ ცარიზმი იძულებული იყო დაეშვა იგი დროებით მაინც, რადგან ომის ვითარებაში თვითონ ვერ აუღიოდა ქვეყნის უზრუნველყოფას საჭირო პროდუქციით. ირანთან და თურქეთთან ომები რომ წარმატებით დაამთავრა, ცარიზმი გადავიდა ამიერკავკასიის ეკონომიკური ათვისების ლონისძიებებზე - მან შეღავათიანი ტრანზიტი 1836 წელს შეცვალა "ამკრძალავი ტარიფით", რითაც გზა გადაუკეტა უცხოეთის ქვეყნებთან თავისუფალ ვაჭრობას და გზა გაუხსნა რუს ვაჭრებს თავის კოლონიაში. ამ დროიდან ცარიზმმა გამოკვეთა საქართველოს, როგორც კოლონიის მიმართ თავისი პოზიცია. საქართველოს ეკისრებოდა რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებისათვის ნედლეუ-

---

1 გაზეთი "დროება" - 1872 წ., IX, № 34; "ზოგი რამ ქართველ ვაჭართა ისტორიიდან" (უცნობი ავტორი)

ლის მიწოდება, სამაგიეროდ რუსეთი იქ იმკვიდრებდა ბაზარს თავისი პროდუქციის გასაღებისათვის.[1]

ფეოდალ სასაქონლო ურთიერთობათა განვითარებამ ქართველი თავად-აზნაურობა, ყოველ შემთხვევაში მისი ერთი ნაწილი, აიძულა, ეფიქრა მეურნეობის გარდაქმნა-გადახალისებაზე დროის მოთხოვნილების შესაბამისად. ამას კი, ე.ი. მემამულური მეურნეობის ბურჟუაზიულ ევოლუციას, ხელს უშლიდნენ იმდროინდელ საქართველოში გაბატონებული ფეოდალური საკუთრების ფორმა (საგვარეულო მფლობელობა) და ამ თავად-აზნაურთა მიწების გაუმიჯვნა. მაგრამ, მიუხედავად ამისა ფეოდალური კლასის გარკვეულმა ნაწილმა მაინც მოახერხა თავისი მეურნეობის რაციონალურ საფუძვლებზე გარდაქმნა. მისი მთავარი მიზანი ამიერიდან იყო საბაზრო პროდუქციის, გაცვლითი ღირებულების წარმოება. მემამულე-რაციონალიზატორები იყვნენ - სოლომონ გურგენიძე, დიმიტრი აფხაზი, ალ.ჭავჭავაძე, სოლომონ ანდრონიკაშვილი, სიმონ შალიკაშვილი, ივანე მუხრან-ბატონი და სხვ. ისინი აწარმოებდნენ- -საბაზრო პროდუქციას და იძულებითი შრომის გვერდით იყენებდნენ თავისუფალ დაქირავებულ შრომასაც.

ძალიან ძნელია მეთაოსნე მემამულეთა საერთო რიცხვის დადგენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში. მიახლოებითი გამოთვლით კი მათი რაოდენობა თბილისის გუბერნიაში გასული საუკუნის 50-იან წლებში 35-ს ან თავად-აზნაურთა ოჯახების საერთო რიცხვის[2] 2,3%-ს უდრიდა. რუსეთში კი ასეთების ხვედრითი წონა დაახლოებით 3% იყო.[3]

კაპიტალიზმის დამკვიდრება საქართველოში მოითხოვდა წარმოების სფეროში აუცილებელი პირობების არსებობას, ამათგან უპირველესია დაქირავებული მუშახელის არსებობა - ბურჟუაზიული ურთიერთობა გულისხმობს

---

1 ა.სურგულაძე, პ.სურგულაძე - საქართველოს ისტორია, თბილისი, 1991 წ. გვ.51

2 რეფორმის წინ თბილისის გუბერნიაში თავად-აზნაურთა 1751 ოჯახი ითვლებოდა

3 История СССР с древнейших времен до наших дней, т.IУ, М., I967, с.238.

არა მარტო შრომის შედეგის, არამედ სამუშაო ძალის გაყიდვასაც.

საინტერესო მოსაზრებანი გააჩნია ამ პერიოდის საქართველოს აგრარულ-სამრეწველო განვითარების შესახებ ცნობილ მწერალს გიორგი ერისთავს, რომლის შეხედულებათა მიხედვით, აუცილებელია ქვეყანაში ვაჭრობის განვითარება.[1] ვაჭრობა, სავაჭრო გაცვლა და ამ გზით სიმდიდრის შემენა ახალ ვითარებაში გარდატვალია, ოღონდ აუცილებელია, რომ ვაჭრობა შეუერთდეს სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს და მრეწველობას, აგრარულ-სამრეწველო კაპიტალი-სავაჭრო-საფინანსო კაპიტალს, მიწა-ფულს, გაღარიბებული, მაგრამ განათლებული თავადაზნაურობა და მდაბიო ხალხი-ფულის მქონე ვაჭრებს და მევახშეებს. გიორგი ერისთავის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი ყოველმხრივ ასახავენ გასული საუკუნის 30-50-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებას.

პირველი წვრილი კაპიტალისტური საწარმოები XIX საუკუნის პირველ ნახევარში აღმოცენდნენ ძირითადად ისეთ დარგებში, სადაც არ არსებობდა ხელოსნური წარმოება (მაგალითად, საპნის, კრამიტის, ზეთსახდელი, არყისსახდელი წარმოება და სხვ.) სადაც ხელოსნური პროდუქცია ვერ აკმაყოფილებდა ბაზრის მოთხოვნილებას (აგურის, ტყავის და სხვ.).

XIX საუკუნის შუა ხანებისათვის საქართველოში დაახლოებით იყო 460-მდე წვრილი კაპიტალისტური საწარმო (ლითონდამმუშავებელი - სამჭედლო, საზეინკლო, სახარატო, ხის დამმუშავებელი, ლუდის სახდელი, სამღებროები, საპნის და სხვ.)

საქართველოში დაარსებულ პირველსავე შედარებით მსხვილ საწარმოებში ვხვდებით უცხოეთიდან თუ რუსეთიდან შემოტანილ მანქანა-იარაღებს (დაზგებს, ღუმელებს, ქვაბებს და სხვ.), მაგრამ ტექნიკური სიახლე-

---

1 მიხ.გაფრინდაშვილი - ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, III ტ., თბილისი, 1988 წ., გვ.123

ნი მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავდნენ წარმოებას. ასევე ადგილობრივი კადრების არ არსებობის გამო საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან სხვადასხვა დანადგარებთან ერთად იწერდნენ კვალიფიცირებულ ოსტატებს და მუშებსაც. მანქანური ტექნიკის დანერგვის გზაზე არსებული დაბრკოლებანი (დანადგარის შემოტანის დიდი ხარჯები და აგრეთვე სათანადო ენერგეტიკული ბაზის არ არსებობა) განაპირობებდა ახალით შრომის ბატონობას - მთელ რიგ საწარმოებში ხელით მოჰყავდათ მოძრაობაში დაზგებიც კი, თუმცა ამ მიზნით გამოიყენებოდა ცხოველების და წყლის ენერგიაც. ორთქლის ძრავას არსებობა რეფორმამდელ ხანაში თუმცა დადასტურებულია რამდენიმე საწარმოში, მაგრამ მაინც იშვიათობას წარმოადგენდა.

XIX ს-ის 40-50-იან წლებში საქართველოში, კერძოდ თბილისში მრეწველობის თითქმის ყველა დარგში - ლითონისა და ხე-ტყის დამმუშავებელ წარმოებაში, კვების მრეწველობაში-არსებობდა შედარებით მსხვილი საწარმოები, სადაც ძირითად სამუშაოებს ასრულებდნენ დაქირავებული მუშები - აღნიშნულ საწარმოთა უმრავლესობა ემსახურებოდა საკმაოდ ფართო ბაზარს აბრეშუმის ნაწარმი გადიოდა საზღვარგარეთ და რუსეთში - ტყავის, საპნის, მინის, თამბაქოს საწარმოთა პროდუქცია საღდებოდა მთელ ამიერკავკასიაში და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიაშიც. განხილულ საწარმოთა უმრავლესობა წარმოადგენდა მთლიანად ხელით შრომაზე დამყარებულ ტიპიურ მანუფაქტურას,[1] ზოგიერთი მათგანი კი უფრო რთულ ხასიათს ატარებდა. სხვადასხვა ტექნიკურ გაუმჯობესებათა, უცხოეთიდან შემოტანილი დაზგებისა და სხვა დანადგარების დანერგვა, განსაკუთრებით ცხოველებისა და წყლის ენერგიის გამოყენება და ზოგიერთ შემთხვევაში ორთქლის ძრავის არსებობა საფუძველს იძლევა ტექნიკური თვალსაზრისით ეს საწარმოები განვიხილოთ, როგორც მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გარდამავალი საფეხური, მაგრამ, მეორე მხრივ, პირადი დამოკიდებულების და პატრიარქალური ურთიერთობის ნაშთების არსებობისა და კადრის მუშათა უქონ-

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1970 წ., ტ.V, გვ.79

ლობის გამო, რომელთა კონტინგენტი მხოლოდ ეხლა იქმნებოდა, მთლიანობაში აღნიშნულ საწარმოებს უპირატესად მანუფაქტურულ წარმოებას აკუთვნებენ.

მანუფაქტურულ საწარმოთა აღმოცენება მანქანური ტექნიკის ჩანასახებით, კაპიტალისტურ ურთიერთობათა შეჭრა სამთამადნო წარმოებაში, დაქირავებული შრომის სისტემატური გამოყენება როგორც წვრილ, ასევე შედარებით მსხვილ წარმოებაში, საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ მოცემული პერიოდის საქართველოში არსებობდა კაპიტალისტური წყობა.[1]

სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა გაფართოებამ საქართველოს ქალაქსაც სახე შეუცვალა. გაძლიერდა ვაჭრული ფენა, რომელიც ეკონომიკურ ცხოვრებაში თანდათან მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. ქალაქების მოსახლეობის რიცხობრივმა ზრდამ მომსახურე პერსონალის გადიდება გამოიწვია-თანდათანობით მრავლდებოდა წვრილბურჟუაზიული ე.წ. "შუალედური" ფენები. წვრილბურჟუაზიული მოსახლეობა არ წარმოადგენდა კომპაქტურ სოციალურ ერთეულს. მასში ვაჭრებისა და ხელოსნების გარდა შედიოდნენ დღიური მუშები, რომლებიც ლუკმა-პურის მოსაპოვებლად უმძიმეს შრომას ეწეოდნენ. საქართველოს ქალაქური წვრილბურჟუაზიული ფენა თანდათან მრავლდებოდა, ამასთან იგი ძირითადი ძალა იყო ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა რღვევის პროცესში.[2]

იმის გამო, რომ წვრილი საქონლური წარმოება საკმაო მასშტაბისა იყო, საქართველოში მნიშვნელოვანწილად სპეკულაციაზე დამყარებული ვაჭრობა კაპიტალიზმის გამარჯვების შემდეგაც შემორჩა - სავაჭრო და სავახშო კაპიტალის ქსელში ებმებოდა არა მარტო წვრილი გლეხობა, არამედ თავად-აზნაურთა უმეტესობაც რაციონალიზატორი მემამულეები ზოგჯერ თვით გამოდიოდნენ ვაჭრობის ორგანიზატორებად. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში მსხვილი სავაჭრო ფირმები ჰქონდათ ჯორჯაძეს, მუხრან-ბა-

---

1 ა.სურგულაძე, პ.სურგულაძე - საქართველოს ისტორია, თბილისი, 1991 წ. გვ.52

2 ე.ორჯონიკიძე - ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში, თბილისი, 1974 წ., გვ.41

ტონს, ი.ვაჩნაძეს, ანდრონიკაშვილს, შერემეტიევს, საუფლისწულო უწყებას, ანანოვს და სხვ.[1]

საქართველოში საგლეხო რეფორმა (ბატონყმობის გაუქმება) ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში (1864 წ. ნოემბერში), შემდეგ იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში (1865-1866 წწ.), ხოლო სულ უკანასკნელად აფხაზეთსა და სვანეთში (1870-1871 წწ.) ჩატარდა. აგრარულმა რეფორმამ, მიუხედავად ჯერ კიდევ დარჩენილი ბატონყმური ნაშთების სიჭარბისა, გზა გაუხსნა სამრეწველო კაპიტალისტურ განვითარებას საქართველოში. ქართველი გლეხობა გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთის გლეხობა. საქართველოში გლეხს მიეცა "ნადელის" მიღების უფლება. "ნადელი" და საკარმიდამო მიწა გლეხს უნდა გამოესყიდა ორმაგ ფასად, რის შედეგად იგი ჩაითვლებოდა "თავდახსნილად", მანამდე კი ითვლებოდა "დროებით ვალდებულად". რასაკვირველია, ბატონყმობის გადავარდნა პროგრესული მოვლენა იყო, ყმური, იძულებითი შრომის გაუქმებით გზა გაეხსნა ახალ, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას, მეტი გასაქანი მიეცა ფაბრიკა-ქარხნების მოწყობას, ვაჭრობა-აღებმიცემობას. ფეოდალის ყოვლისშემძლებელი ბალა 70-იან წლებს დასაწყისში უკვე აპირობებდა საქონლურ-ფულად მეურნეობის გარდაქმნას სამრეწველო-კაპიტალისტურ მეურნეობად.

ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების წინსვლას დიდად შეუწყო ხელი რკინიგზების მშენებლობამ. 1871 წელს გაყვანილი იქნა ფოთი-ყვირილას რკინიგზის ხაზი. 1872 წლის ოქტომბერში გაიხსნა ფოთი-თბილისის რკინიგზის მაგისტრალი. მომდევნო წლებში ამოქმედდა სხვადასხვა სარკინიგზო ხაზებიც. რკინიგზებმა მოიზიდა საქართველოსა და ამიერკავკასიის დაინტერესებული რუსი და უცხოელი საქმოსნები, რომლებმაც დაიწყეს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა საბადოების შესწავლა-დამუშავება. უცხოური კაპი-

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1970 წ., ტ.V.თავი VI. გვ.339

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალის შემოსვლა დაეტყო თბილისის მრეწველობას, სადაც 70-იან წლებში იხსნება მსხვილი ფაბრიკული ტიპის საწარმოები.

1871 წელს თბილისში მირზოევმა გახსნა ბამბის საქსოვი ფაბრიკა, მან საზღვარგარეთიდან გამოიწერა ფაბრიკის მთელი მოწყობილობა და ოსტატი ფეიქრები. ფაბრიკამ თავი მოუყარა 500-მდე მუშას ორივე სქესისა, მათ შორის 200 შეგირდი-არასრულწლოვანი ბავშვები იყვნენ.

მირზოევის მაგალითს მიბაძა ადელხანოვმა, რომელმაც 1875 წელს თბილისში გახსნა ტყავის ქარხანა. ამ პერიოდში თბილისში გაიხსნა იტალიელი ფარინოს მაკარონის ფაბრიკა. 1879 წელს თბილისში ამუშავდა ხიმშიაშვილის პირველი მსხვილი აგურის ქარხანა, რომელშიც ნამდვილი საქარხნო წესით ხდებოდა აგურის გამოწვა.

როგორც ავღნიშნეთ, კაპიტალისტური მოგება იტაცებდა მმართველ თავადაზნაურულ წრეებსაც. ამიტომ ისინიც იწყებენ სამრეწველო საწარმოების გახსნას. 1869 წელს გარდაბანში ამოქმედდა ელისაბედ ორბელიანი-ბარიატინსკაიას დიდი არყის სახდელი ქარხანა, რომლის წარმოებამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია 70-იან წლებში.

საქართველოს სამრეწველო განვითარება მაინც ნელა მიმდინარეობდა. ცარიზმის კოლონიური ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველო კვლავ რჩებოდა მომხმარებელ და არამწარმოებლურ ქვეყნად-მომრავლებული საწარმოები უპირატესად ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებისათვის იყო გამიზნული. სამრეწველო პროდუქციის დიდი ნაწილი საქართველოში რუსეთიდან შემოდიოდა. საქართველოს მრეწველობაში გაბატონებული მდგომარეობა უცხო კაპიტალს ეკავა, განსაკუთრებით მძლავრად იყო ფეხმოკიდებული სომხური კაპიტალი, რომელიც ერთგვარად აბრკოლებდა ქართული ბურჟუაზიის წარმოქმნას. ქართველი მრეწველების ეროვნული სახე შედარებით გამოიკვეთა XIX ს-ის მიწურულში.

ქართველ მრეწველთაგან ერთეულები თუ ახერხებდნენ დაწინაურებას. ფართო მასშტაბის მრეწველი გახდა დავით სარაჯიშვილი. 1888 წელს

თბილისში მოაწყო კონიაკის ქარხანა, რომელიც სამამულო ნედლეულზე მუშაობდა. ასევე ბაქოს ნავთობის მრეწველობაში თავი გამოიჩინეს ზუბალაშვილებმა, აკაკი ხოშტარიამ და სხვებმა, რომლებიც მეცენატობდნენ ქართულ კულტურას.[1]

ამრიგად, XIX საუკუნის მანძილზე საქართველოში ადგილი ჰქონდა მრეწველობის სხვადასხვა ფორმების ერთმანეთში გადახლართვას. დაწყებული მარტივი საოჯახო მეურნეობიდან, შედარებით მსხვილ მანუფაქტურული ტიპის საწარმომდე, სადაც უკვე გამოიყენებოდა წარმოების მექანიზაცია. ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში მაინც უპირატესი მნიშვნელობა ეკავათ სავაჭრო საწარმოებს.

თავის მხრივ, ბატონყმობის გადმონაშთების არსებობა, ცარიზმის ეკონომიკური პოლიტიკის გვერდით, რომელიც საქართველოს განიხილავდა როგორც თავის კოლონიას, წარმოადგენდა სერიოზულ დაბრკოლებას ქვეყნის ახალი გზით განვითარების საქმეში.

სწორედ, ეს ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორები განაპირობებდნენ საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებულ სირთულეს, კერძოდ წარმოების რამოდენიმე განსხვავებული ფორმის თანაარსებობას. მრეწველობის პრიმიტიული ფორმების (საოჯახო მრეწველობა, ხელოსნობა) ბატონობის გვერდით, განუხრელად იზრდება სასაქონლო წარმოება, როგორც სოფლად, ასევე ქალაქად.

იმ დროს მთავარ ისტორიულ წყაროებში - გუბერნატორთა ანგარიშებსა და უწყებებში, რომლებიც მოიცავს ხელოსნობასა და კუსტარულ წარმოებას, მანუფაქტურები და ფაბრიკები წარმოდგენილია არასრული სახით; ეს წყაროები ვერ გვიქმნის რეალურ სურათს მრეწველობის სხვადასხვა ფორმების დასახასიათებლად. არა მარტო გუბერნატორების ანგარიშების,

---

1 ა.სურგულაძე, პ.სურგულაძე - საქართველოს ისტორია, თბილისი, 1991წ. გვ. 78

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ იმ დროინდელი სტატისტიკური აღწერილობანიც არ გვიქმნის სწორ შეხედულებას და წარმოდგენას ფაბრიკაზე, რადგან ისინი ფაბრიკა-ქარხნებს უთანაბრებენ წვრილ წარმოებებთან და ამით ქმნიდნენ ციფრობრივი მაჩვენებლების უზუსტობას. წვრილ საოჯახო ხრეწველობასაც კი ფაბრიკასთან ერთად აღრიცხავდნენ.

რეფორმამდელ საქართველოში სხვადასხვა დროს, არსებობდა წვრილ-კაპიტალისტური ტიპის საწარმოები, სადაც დასაქმებული იყო 10-11 დაქირავებული მუშა. ესენი წარმოადგენდნენ ე.წ. "წვრილ კაპიტალისტურ" საწარმოებს, რომლებიც მსხვილი კაპიტალისტებივით ქირაობდნენ მუშებს და მათ სამუშაო ძალას ექსპლუატაციას უწევდნენ.[1]

ასეთი საწარმოები რეფორმამდელ საქართველოში დამყარებული იყო თავისუფალ დაქირავებულ შრომაზე. ვინაიდან, ამ საწარმოებში აღრიცხულია დაქირავებული მუშების საკმაო რაოდენობა (1 კაცი და მეტიც ერთ საწარმოზე) და ადგილი ქონდა შრომის განათლებას, ამიტომ ეს საწარმოები კაპიტალისტური მანუფაქტურის ტიპიური ნიმუშებია. რეფორმამდელ საქართველოში ასეთი ტიპის საწარმოთა რაოდენობა 17-მდეა, რომელთაგანაც ზოგიერთმა ან ვერ მოახერხა ფაბრიკულ საწარმოდ ჩამოყალიბება, ხოლო ნაწილმა მთლიანად შეწყვიტა არსებობა.[2]

როგორც ქუთაისის საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტის" 1866 წლის 21 მაისის ოქმის ჩანაწერებიდან ირკვევა, ფაბრიკებსა და ქარხნებს აკუთვნებდნენ იმ საოჯახო მეურნეობებსა და სამრეწველო-ტექნიკურ საწარმოებს, სადაც დასაქმებული იყო არა ნაკლებ 5 კაცისა (მუშა)[3] ამით

---

1 Г.К.Бакрадзе. Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке. Тб., 1958, с.28-29.

2 Там же, с.28-29.

3 ЦГИАЛ, ф.1377, оп.1, д.№ 23, 1830, с.30.

აიხსნება ის ფაქტი, რომ უწყისებში "ფაბრიკებად" და "ქარხნებად" მოიხსენიებოდა ასობით და ათასობით წვრილი საწარმოები. ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა საქართველოში მეტად დაბალ დონეზე იყო. განსაკუთრებით ცუდად არის შედგენილი 60-70-იანი წლების როგორც ქუთაისის, ასევე თბილისის გუბერნიის უწყისები. მათში ძალიან ბევრი შეცდომა და უზუსტობაა.[1]

გლეხის ოჯახში პირადი მოხმარების საგნების დამზადებას საქართველოში მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე ვხვდებით. ადგილი ჰქონდა ასეთი ნაწარმის, განსაკუთრებით შალისა და აბრეშუმის ქსოვილების გასაყიდად გამოტანასაც. თანამედროვეთა დაკვირვებით, სოფლური ნაწარმის დამზადება ძირითადად ხდებოდა "საკუთარ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად". მართალია, ასეთი ნაწარმის გარკვეული ნაწილი (განსაკუთრებით კი შალის ქსოვილები) მზადდებოდა გასაყიდადაც და ხშირად საქართველოს ფარგლებს გარეთაც გადიოდა, მაგრამ მათი დამზადების წესი მეტად პრიმიტიული იყო. ამ წარმოებას "არ ჰქონდა არც გარკვეული სახე და არც გარკვეული ორგანიზაცია". და, ამდენად, პროფესიას არ წარმოადგენდა სიტყვის ნამდვილი გაგებით. მაშინაც კი, როცა პროდუქცია მზადდებოდა გასაყიდად, შემენილი ნედლეულისაგან, როგორც წესი, წარმოების მიზანი იყო არა მოგების მიღება, არამედ გლეხის ოჯახის საარსებო წყაროს შევსება, ე.ი. არა საცვლელი, არამედ სახმარი ღირებულების შექმნა.[2] 80-იანი წლების შუა ხანების მონაცემებით, საქართველოს ქალაქებში სულ 4.000-ზე მეტი სახელოსნო იყო, აქედან ნახევარზე მეტი (2175) თბილისზე მოდიოდა.[3] მართალია, წვრილი საწარმოები დიდ უმრავლესობას

---

1 ЦГИА Груз.ССР, ф.10, д.№ 3465, 1867, л.81.

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1970 წ., ტ.V, გვ.376

3 ი ქ ვ ე, გვ.377

შეადგენდნენ, მაგრამ "ხელოსნურ" წარმოებაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ძვრები-ხელოსნები სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ბაზარს, ე.ი. ხდებოდნენ საქონელმწარმოებლებად. აღწერილობაში წვრილ მეწარმეთა უმრავლესობის შესახებ პირდაპირ არის მითითებული "მისდევს ხელოსნობას და ვაჭრობას საკუთარი ნაწარმით თავისივე დუქანში". ამის საფუძველზე აღნიშნული საწარმოები შეიძლება მივაკუთვნოთ დაქსაქსულ წვრილ საქონლურ წარმოებას, ხოლო მათი პატრონები წვრილბურჟუაზიულ ფენას.[1]

რეფორმის მომდევნო ხანაში, მიუხედავად უცხოური და რუსული საქონლის შემოზიდვის ზრდისა და აგრეთვე ადგილობრივ მსხვილ საწარმოთა აღმოცენებისა (ტყავის, საპნისა და ზეთსახდელი წარმოება, ლითონის დამუშავება, სახერხი წარმოება, არყის დამზადება და სხვ.), წვრილი საწარმოები კი არ წყვეტენ არსებობას, არამედ რიცხობრივად იზრდებიან კიდეც. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ შინაური ბაზრის გაფართოებისა და სამრეწველო პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდის პირობებში, წვრილი მწარმოებლები მაინც პოულობდნენ მომხმარებელს. 80-იანი წლების შუახანებისათვის საქართველოში იყო 360-მდე წვრილი კაპიტალისტური საწარმო.[2] ზოგ შემთხვევაში საწარმოს მეპატრონეები, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ კიდეც სათანადო კაპიტალი, არ ახდენდნენ წარმოების კონცენტრაციას, კვლავ ინარჩუნებდნენ წვრილ საწარმოებს პრიმიტიული ტექნიკითა და წარმოების ჩამორჩენილი საშუალებებით.

შინაური ბაზრის ზრდისა და საქართველოს საერთო რუსულ და მსოფლიო ბაზარში ჩართვის შედეგად, რეფორმის შემდგომ ბაზაში, განსაკუთრებით კი 80-90-იან წლებში, მანქანური წარმოება თანდათან მოიცავს საქართველოს მრეწველობის თითქმის ყველა წამყვან დარგს, რის შედეგადაც ხდება

---

1 პ.გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ.V, თბ., 1962, გვ.331-332

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970 წ., ტ.V, გვ.380

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანუფაქტურისა და წვრილი კაპიტალისტური წარმოების ხვედრითი წონის დაცემა.

ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება საქართველოში ვითარდება ნაწილობრივ რეფორმამდე არსებულ საწარმოთა შემდგომი გამსხვილების, ამ საწარმოებში მანქანური ტექნიკის დანერგვის გზით, ხოლო უმეტეს შემთხვევაში ახალი ფაბრიკული საწარმოების დაარსებით.

ლითონდამმუშავებელ მრეწველობაში ადრე არსებული ზოგიერთი სახელოსნოს გაფართოებასთან ერთად საფუძველი ეყრება მთელ რიგ ახალ საწარმოებს, 80-იანი წლების დასაწყისში დაარსდა მაგ: რენკვისტის თუჯსასხმელი საწარმო, ხოლო 80-იანი წლების მიწურულიდან, ერთ-ერთი წვრილი მექანიკური სახელოსნოს ბაზაზე, იქმნება პოპოვიჩის მსხვილი ლითონდამმუშავებელი ქარხანა.

ლითონდამმუშავებელი ქარხნების დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო თბილისში. აქ 90-იანი წლების მიწურულისა და 900-იანი წლების დასაწყისში გამოირჩეოდნენ იარალოვის, კარაპეტოვის, ბერეჟანოვის, ანანოვის, პოპოვიჩის და რუქსის მექანიკური და თუჯსასხმელი ქარხნები. მუშათა რაოდენობა ამ საწარმოებში 300-ს აღემატებოდა. მექანიკური საწარმოები იყო ამ დროს ბათუმშიც.

თუ 80-იანი წლების შუახანებში ს.გულიშამბაროვს საფუძველი ჰქონდა ეთქვა, რომ ამ დროს თბილისში არსებითად არ იყო მექანიკური ქარხნები (რადგან ჯერ ამ მზადდებოდა არც ორთქლის ქვაბები და არც რამდენადმე რთული კონსტრუქციის მანქანები[1]). 90-იან წლებში ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯი იქნა გადადგმული - ნაწილი ორთქლის ქვაბებისა, 90-იანი წლების შუახანებიდან თბილისის ზოგიერთ საწარმოში რომ დაიდგა, დამზადებული იყო პოპოვიჩის ან სხვა თბილისელ კაპიტალისტების ქარხნებში.

---

1 ნ.რობინაია, - თბილისის მრეწველობა მეცხრამეტე საუკუნის II ნახევარში; თბილისი - 1961 წ., გვ.86-87

900-იანი წლების დასაწყისისათვის თბილისის ლითონდამმუშავებელი ქარხნები ფართო ასორტიმენტის პროდუქციას იძლეოდა. აქ უკვე ხდებოდა სხვადასხვა მანქანის, ლითონისა და ხის დამმუშავებელი დაზგების, ორთქლის ქვაბების, ტურბინების და წყლის ძრავების დამზადება, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის - ზეთსახდელი თუ სხვა მანქანების წარმოება.[1]

თბილისის უმსხვილესი საწარმო იყო 1883 წელს დაარსებული ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, სადაც 90-იან წლებში ხდება წარმოების ძირითადი პროცესების მექანიზაცია.

ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების განვითარების მასშტაბებით ყურადღებას იქცევს ბათუმის მრეწველობა, რომელსაც საფუძველი ეყრება 80-იანი წლებიდან ბაქოს ნავთის ექსპორტის ორგანიზაციასთან დაკავშირებით.

ჯერ კიდევ 1883 წ. ინჟინრებმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ დააარსეს "კასპია - შავი ზღვის ნავთის დამმუშავებელი და სავაჭრო საზოგადოება", რომელიც 1886 წლიდან გადავიდა როტშილდის პარიზის ფირმის ხელში. 1885 წელს გაიხსნა კიდევ ორი ქარხანა - სიდერიდისისა და რიხნერის. 1887 წ. დაარსდა ხაჩატურიანცის, მანთაშევის, ძმები ცოვიანოვების ქარხნები და რამდენიმე წვრილი სხვა საწარმო. 1889 წლიდან რიხნერის ქარხანა გადავიდა მანთაშევის ხელში. 90-იან წლებში ბათუმის ყველა მნიშვნელოვანი საწარმო მექანიზებული იყო.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება ორთქლის ძრავას ფართო გამოყენება ხე-ტყის სახერხ წარმოებაში. 70-იანი წლების მეორე ნახევარში დაარსდა თბილისის 5 უმსხვილესი სახერხი ქარხანა, ხოლო 80-იანი წლების შუახანებში კიდევ 2 ქარხანა.[2]

თბილისის გუბერნიის საწარმოებიდან ამ დროისათვის აღსანიშნავია საუფლისწულო უწყების ქარხანა ბორჯომის მამულში და ზეზემანის ქარხანა

---

1 ЦГИА СССР, ф.22, оп.2, д.2927.

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი - 1970 წ., ტ.V, გვ.385-387;

ატენში.

90-იანი წლების განმავლობაში წარმოების ფაბრიკული ფორმა ფეხს იკიდებს აგურის წარმოებაშიც. ამ დროისათვის თბილისში იყო აგურის 4 მსხვილი ქარხანა, სადაც არსებობდა გოფმანის სისტემის უწყვეტადმოქმედი ღუმელი.

90-იან წლებში ამოქმედდა ბერგმანების მინის ქარხანა ბორჯომში. მინის მეორე ქარხანა მოქმედებდა ბორჩალოს მაზრაში, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისიდან ეკუთვნოდა კუჩენბახს.

70-იანი წლების დასაწყისში ამოქმედდა ერთ-ერთი მსხვილი საწარმო საქართველოში - გ.მირზოევის საფეიქრო ფაბრიკა თბილისში.

ტყავის ფაბრიკული დამუშავება ფართო მასშტაბით იწყება 1875 წლიდან თბილისში გრ.ადელხანოვის მიერ დაარსებულ ქარხანაში, სადაც ძირითადი საწარმოო პროცესები თავიდანვე მექანიზებული იყო. 90-იანი წლების შუახანებში ადელხანოვის მიერ დაარსებული აქციონერული საზოგადოება აერთიანებდა ტყავის ქარხანას, ქუჩის წარმოებას და ფეხსაცმლის ფაბრიკას.

თამბაქოს გადამმუშავებელი წარმოება ეს ისეთი დარგია, სადაც შედარებით გვიან ინერგება ფართო მასშტაბით მანქანური ტექნიკა. თავდაპირველად აქ შემოდის თამბაქოს საჭრელი მექანიკური დაზგები, ხოლო უფრო გვიან, 90-იანი წლების მიწურულისათვის, პაპიროსის მკეთებელი მანქანებიც. 1900 წლისათვის საქართველოში 7 შედარებით მსხვილი თამბაქოს ფაბრიკა იყო, აქედან ოთხი თბილისში (ა.ენფიანჯიანცის, ნ.ბოზარჯიანცის, აქციონერული საზოგადოება "მირ"-ის და გ.საფაროვის მემკვიდრეებისა).[1]

სპირტისა და სპირტიანი სასმელების ფაბრიკული წარმოება მყარ საფუძველზე დგება 1884-1885 წლებში თბილისში ლ.სარაჯიშვილის მიერ

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი - 1970 წ., ტ.V, გვ.383

ეროვნული ბიბლიოთეკა

არყის სახდელი ქარხნის დაარსებით. 90-იან წლებში სარაჯიშვილის წარმოების გვერდით თბილისში ჩნდება სოლომონოვისა და ხუბლაროვის სპირტიანი სასმელების ქარხნები.

მრეწველობის კონცენტრაციის მაგალითს წარმოადგენს საპნის, სანთლისა და ზეთსახდელი წარმოება. თბილისში ადრევე (1872 წლიდან) არსებული ტოლეს საპნის და სანთლის საწარმო 1900 წელს ერთიანდება ტაიროვის და ალიხანოვის ასეთსავე საწარმოსთან. მათ ბაზაზე იქმნება ერთი აქციონერული საზოგადოება.[1] ფაბრიკული წარმოების დანერგვა ხდება ლუდის დამზადებაშიც.

90-იანი წლებიდან ხდება პოლიგრაფიული წარმოების სრული მექანიზაცია, გარდა ამისა, საქართველოში იყო ცალკე სხვა მსხვილი საწარმოებიც. მაგ.; ასანთის ქარხანა, ცხენის რკინიგზა თავისი სახელოსნოებით და სხვ.[2]

როგორც ცხრილიდან ჩანს, 80-იანი წლების შუახანებისათვის 60-იანი წლების შუახანებთან შედარებით არსებითად შეიცვალა წვრილი და შედარებით მსხვილი წარმოების თანაფარდობის სურათი - წვრილი წარმოების ხვედრითი წონა, საწარმოთა სიჭარბის მიუხედავად, მნიშვნელოვნად შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ მუშათა რაოდენობის მხრივ უპირატესობა მანუფაქტურულ წარმოებას აქვს. თუმცა პროდუქციის მოცულობის თვალსაზრისით უკვე მანქანური წარმოებაა წასული წინ. ორივე ერთად (ე.ი. მანუფაქტურული და მანქანური) მუშათა რაოდენობის მხრივ 2-ჯერ, ხოლო პროდუქციის მოცულობით 6-ჯერ აღემატებოდა წვრილ წარმოებას, მარტო მანქანური წარმოება კი, მართალია, მუშათა რიცხვით ბევრად ვერ ჭარბობდა, მაგრამ პროდუქციის მოცულობით თითქმის 4-ჯერ აღემატებოდა წვრილ წარმოებას. როგორც ჩანს, 80-იანი წლების შუახანები წარმოადგენდა ტეხილს ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებაზე გადასვლის, ანუ სამრეწველო გადატრიალების

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი - 1970 წ., ტ.V,გვ.389
2 იქვე, გვ. 390

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი [1]

მრეწველობის ფორმები	1885-88 წ.			1900 წ.		
	საწარმოთა რიცხვი	მუშათა რაოდენობა	პროდუქცია (ათ. მან.)	საწარმოთა რიცხვ.	მუშათა რ-ბა	პროდუქც. (ათ. მან.)
1. წვრილი კაპიტალისტური წარმოება	359	1554	1237,2	1482	7046	3386,0
2. მანუფაქტურა	29	2187	2475,8	41	984	1200,0
3. ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება	28	1712	4567,2	64	9004	16513,0
	416	5153	8280,2	1587	17034	21099,0

თვალსაზრისით. ფაბრიკული ნაწარმი ამ დროისათვის შეადგენდა მთელი სამრეწველო პროდუქციის 55%-ს.

წვრილი კაპიტალისტური საწარმოების თვალსაჩინო ზრდა წინა წლებთან შედარებით უნდა აიხსნას იმით, რომ საქალაქო ცხოვრების აღმავლობის და საერთოდ შინაური ბაზრის ზრდის პირობებში, ადგილი ჰქონდა საქონლური წარმოების კაპიტალისტურ წარმოებად გადაქცევას. 1900 წლისათვის ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების პროდუქციის მოცულობა უკვე 5-ჯერ აღემატებოდა წვრილი წარმოების პროდუქციას.

დასკვნის სახით შემდეგი უნდა აღინიშნოს:

XIX საუკუნის ბოლო ათწლეული და XX საუკუნის პირველი მეოთხედი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი და რთული ეპოქაა. მთლიანობაში რუსეთის იმპერია და მასში შემავალი საქართველო, აშკარად აღმავლობას განიცდიდა, როგორც სულიერი კულტურის სფეროში, ისე ჩამორჩენილი-არქაული გადმონაშთების დაძლევაში და თავისუფალ საბაზრო წარმოების, ეკონომიკის დამკვიდრებაში. საქართველო ნელი ტემპით, მაგრამ თანდათან მსოფლიო ეკონომიკურ განვითარების ფერხულში

---

1 ე.ხოშტარია, "მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს-ის საქართველოში (დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება), თბ., 1966, გვ.213-215

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებმება, სადაც ორმაგი პრობლემა დგას: ერთის მხრივ, საერთო - ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და მეორე მხრივ - ეკონომიური სრულყოფის პრობლემა. ეკონომიკაში ძირითადი პრობლემაა მარტივი, წვრილი სასაქონლო წარმოებიდან ფაბრიკულ-ქარხნული წარმოებაზე გადასულია და ეროვნული ეკონომიკის განვითარება, რომელიც საკმაოდ ჩამორჩენილია და კონკურენციასაც ვერ უწევს უცხოურ კაპიტალს, განსაკუთრებით კი საკმაოდ მომძლავრებულ სომხურ ბურჟუაზიას საქართველოში ტრადიციულად ქართველები მსახურობდნენ ადმინისტრაციულ და სამხედრო უწყებებში, ამდენად მათი ზედაპირული და უარყოფითი დამოკიდებულება სავაჭრო საქმეებისადმი მკვეთრად გამოვლინდა ამ პერიოდში.

ძირითადად თუ შევაჯამებთ ეპოქისათვის დამახასიათებელ ეკონომიურ მდგომარეობას, აღინიშნება ნელი ტემპით სამრეწველო დაწინაურება, აქ მხედველობაში გვაქვს მთელი მრეწველობის სხვადასხვა ფორმების თანაარსებობაც და წარმოების კონცენტრაცია, სააქციო საზოგადოებათა აღმოცენება და უცხოელი ინვესტორებისა და მათი კაპიტალის მოძალება.

საქართველოს მრეწველობაში მოქმედი სააქციო საზოგადოებანი

საქართველოში მრეწველობის სხვადასხვა ფორმის (წვრილი სასაქონლო წარმოება, მანუფაქტურა, ფაბრიკა) თანაარსებობა, რომელიც მთელი XIX საუკუნის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარების ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა, არ გამორიცხავდა კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციას მრეწველობის წამყვან დარგში. ამ პროცესის პირდაპირი შედეგი კი პირველ რიგში სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბება იყო.

აღნიშნულ საკითხზე უმთავრეს ისტორიულ წყაროს წარმოადგენს 1905 წელს ვ.ა.დმიტრიევ-მამონტოვის რედაქციით გამოცემული "იმპერიაში მოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ სააქციო საწარმოთა და სავაჭრო სახლთა საძიებლის" ორი ტომი. მასში შესულია თითქმის მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით (პოლონეთისა და ამურისპირეთის საგენერალ-გუბერნატორის გარდა) მოქმედი სააქციო კომპანიების მეტ-ნაკლებად სრული მონაცემები, ანგარიშებისა და ბალანსების ჩათვლით. ისეთი კომპანიებიც კი, რომელთა დაარსება განზრახვად დარჩა, - არაა გამორჩენილი. "საძიებელს" დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მრეწველობაში მოქმედი უცხოური, რუსული და ადგილობრივი სააქციო კომპანიების ისტორიის შესასწავლად. როგორც ცნობილია, ადგილობრივი და რუსული კაპიტალის შედარებით სისუსტე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საქართველოს მრეწველობაში უცხოური კაპიტალის დასანერგავად. საქართველოში აქციონერულმა საზოგადოებებმა XIX ს-ის 70-80-იან წლებში დაიწყეს წარმოქმნა, ხოლო ფართო გაქანება მოიპოვეს 90-იანი წლების დასასრულს. კავკასიის ადმინისტრაცია დაინტერესებული იყო უცხოელთა მოზიდვით, მხარის ეკონომიკური ცხოვრების გაძლიერებით.[1]

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენში უცხოური კაპიტალის შემოჭრას ობიექტური პირობები შეუქმნა სააქციო საზოგადოებათა დაწესებულებებისა და მათი საქმიანობის ზედამხედველობის ახალმა "სისტემამ", რაც ცარიზმის ბიუროკრატიულ აპარატს საშუალებას აძლევდა კონტროლი გაეწია და საჭიროებისამებრ წარემართა სააქციო საზოგადოებათა და ფირმათა საქმიანობა. ფინანსთა მინისტრი ვიტე თვითმპყრობელობის რეჟიმის ძირითადი ინტერესების გათვალისწინებით აჭარებდა ბურჟუაზიული გარდაქმნების პროგრამას, რომელიც პირველ რიგში უცხოური კაპიტალისტისათვის კარის ფართოდ გაღებას მოითხოვდა, როგორც რუსეთსა, ისე იმპერიის განაპირა მხარეებში.

საქართველოში სარკინიგზო მშენებლობა თავისთავად იწვევდა მრეწველობის მთელი დარგების აღმოცენებას და ზოგიერთი მათგანის შემდგომ გაფართოებასაც და აგრეთვე, რაც მთავარია, რკინიგზის გაყვანამ ხელი

---

1 Э.В.Хоштария. Очерки социально-экономической истории Грузии, Тб., 1974, с.148.

შეუწყო ტექნიკურ პროგრესს მრეწველობაში. შედარებით გაადვილდა უცხოეთიდან და რუსეთიდან მანქანების შემოტანა, გაცხოველდა სხვადასხვა ქვეყნებთან ვაჭრობა, საქონელბრუნვა, ყოველივე ამან საქართველო დააკავშირა მსოფლიო ბაზარს. ტექნიკური პროგრესის შედეგად აღმოცენდა ახალი სამრეწველო ცენტრები.

საქართველოში აქციონერულმა საზოგადოებებმა, როგორც ითქვა, ფართო გაქანება მოიპოვეს 90-იანი წლების დასასრულს. მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა წარმოების შემდგომი გაფართოების მიზნით მრეწველობის უკვე არსებულ დარგებში კაპიტალის კონცენტრაცია, ან ახალი დარგების განვითარება.

ერთ-ერთი პირველი მსხვილი აქციონერული საზოგადოება შეიქმნა 1895-1898 წლებში ადელხანოვის ტყავის წარმოების ბაზაზე. ტყავის დამუშავებას საქართველოში ჯერ კიდევ რეფორმამდელ ხანაში მისდევდნენ, მაგრამ ეს მანუფაქტურულ დონეზე იყო. თბილისის ტყავის წარმოებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა კომერციის კანდიდატის ადელხანოვის და კომპანიის ტყავის ქარხანას, რომელიც გაიხსნა 1875 წელს. 90-იანი წლებისათვის გრ.ადელხანოვმა წარმოება კიდევ უფრო გააფართოვა და ტექნიკური სიახლენიც შეიტანა.

"გ.გ.ადელხანოვის ტყავისა და ქეჩის წარმოების სააქციო საზოგადოება კავკასიაში" დაარსდა 1898 წ. 1 იანვარს. საზოგადოების ადგილსამყოფელი იყო თბილისში, ვორონცოვზე - საკუთარ სახლში.[1]

სააქციო საზოგადოების დამაარსებელნი და წევრები იყვნენ: თავმჯდომარე გრიგოლ გრიგოლის ძე ადელხანოვი, დირექტორები: პეტრე ივანეს ძე ალიბეკოვი და იოსებ ნიკოლოზის ძე მარკოზოვი; წევრები იყვნენ ადგილობრივი მსხვილი კაპიტალისტები: წარმომავლობით საპატიო მოქალაქე ა.ა. ანანოვი, ვაჭარი ბ.დ.ყანდაროვი, მექარხნე ი.ა.ტაიროვი, კ.მ.ალიხანოვი,

---

1 Указатель действующих в империи акционерных предприятий и торговых домов, под общ.ред.В.А.Дмитриева-Мамонтова, т.I, с.45-67, С.-Петербург, 1905 г.

გ.ზ.იარალოვი (მექანიკური ქარხნის მფლობელი), თბილისის კომერციული ბანკის დირექტორი მ.ნ.თავაღოვი, ბაქოს I-ლი გილდიის ვაჭარი ა.ც. ცატუროვი, წარმომავლობით საპატიო მოქალაქე, ბანკირი ნ.ი.ცოვიანოვი და სხვ.

საინტერესოა, რომ აქციონერთა ასეთი შემადგენლობა დამახასიათებელი ნიშანია სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალს შორის არსებული ზღვარის თანდათანობით წაშლისა და იმისაც, რომ წარმოების მასშტაბები ვეღარ ეტევა ვიწრო ჩარჩოებში და მთელ ამიერკავკასიას მოიცავს.[1]

ადელხანოვის წარმოებას ჰქონდა ტყავის დამმუშავებელი საკუთარი ქარხანა, ნაბდისა და ფეხსაცმლის მექანიკური ფაბრიკები. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი იყო 1,5 მლნ.მანეთი, ხოლო საერთო წლიური ბრუნვა კი შეადგენდა - 1.338 ათას მანეთს. გამოშვებული ჰქონდათ - 6.000 აქცია, თითო აქცია 250 მანეთიანი კუპონებით, 10 წლის ვადით.

1875 წელს დაარსებული ტყავის ქარხანა ამუშავებდა, როგორც ადგილობრივ, ასევე რუსეთისა და უცხოურ ნედლეულს. ქარხანაში მუშაობდა 332 კაცი. ძირითადად ღებულობდნენ კავკასიის ოლქის ჯარისკაცებისათვის საჩექმე და საამუნიციო ტყავეულობის მიწოდების შეკვეთას.[2]

1889 წელს დაარსებული ნაბდის მექანიკური ფაბრიკის პროდუქცია თავისი ხარისხის, სილამაზის, სიიაფის წყალობით მომხმარებელთა ყურადღებით სარგებლობდა რუსეთში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით სამხედრო მოსამსახურეთა, რკინიგზის თანამშრომელთა, მეზღვაურთა და საერთოდ, იმ პირთა შორის, რომელთაც ღია ცის ქვეშ უხდებოდათ მუშაობა. 1902 წლისათვის ფაბრიკაში 209 კაცი მუშაობდა.[3]

---

1 ე.ხოშტარია - მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს-ის საქართველოში, თბ., 1966, გვ.222;

2 Указатель действующих в империи акционерных предприятий и торговых домов, под общ.ред.В.А.Дмитриева-Мамонтова, т.П, с.140, С.-Петербург, 1905.

3 იქვე, გვ. 150

ფეხსაცმლის შესაკერი მექანიკური ქარხანა (დაარსდა 1886 წელს), უშვებდა ჯარისკაცთა ჩექმებს და ყველა სახის ტყავისა და თბილ ფეხსაცმელს - წელიწადში 5 000 000-მდე წყვილს. ფეხსაცმელი მეტად მსუბუქი, მტკიცე და იაფი იყო და მასზე კავკასიის გარეთაც დიდი მოთხოვნილება იგრძნობოდა. რუსეთსა და ციმბირში წარმატებით საღდებოდა ნაბდის და თექის თბილი ფეხსაცმელი. 1902 წლისათვის ფაბრიკაში 566 კაცი მუშაობდა.[1]

მზა ნაწარმის მაღაზია იყო სანკტ-პეტერბურგში.

აღნიშნული სააქციო საზოგადოების წმინდა მოგება არასრული ცნობებით, შეადგენდა: 1901 წ. - 152170 მანეთს, ხოლო 1915 წ. - 171743 მანეთს.

მრეწველობის კონცენტრაციის მაგალითს წარმოადგენს 1900-1901 წლებში ორი ფირმის "ი.ტაიროვისა და კ.ალიხანოვის საპნისა და ზეთსახდელი ქარხნის" და "ძმების ვ. და მ.ტოლეების საპნის და სანთლის ქარხნების" შეერთების შედეგად ჩამოყალიბებული "ტაიროვ-ალიხანოვისა და ტოლეს საპნის, სანთლისა და ზეთსახდელი წარმოების სააქციო საზოგადოება."

საზოგადოება, რომლის ძირითადი კაპიტალი 0,5 მლნ.მანეთს შეადგენდა.[2] ფლობდა მიწებს ერევნის გზატკეცილზე (თბილისში და ირმიშლიში (ელიზავეტპოლის გუბერნიაში). საზოგადოების ადგილსამყოფელი იყო თბილისში, ერევნის გზატკეცილზე - საკუთარ სახლში.

საპნისა და სტეარინის სანთლების ნამდვილი ქარხნული წესით გადამუშავება-დამზადება ხდებოდა ტოლეს საპნისა და სტეარინის სანთლების დამამზადებელ ქარხანაში. ტოლეს ქარხნის მასშტაბი წლითიწლობით იზრდებოდა და მალე ის გადაიქცა საპნის მწარმოებელ მთავარ კერად თბილისში.

I Указатель действующих в империи акционерных предприятий и торговых домов, под общ.ред.В.А.Дмитриева-Мамонтова, С.-Петербург, 1905 г., т.П, с.36.

მისი პროდუქცია იმდენად მაღალხარისხოვანი იყო, რომ მან მოსკოვში 1882 წელს გამართულ გამოფენაზე ჯილდოც კი დაიმსახურა - ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის პატარა მედალი - 1901 წელს.

საზოგადოების დამაარსებელნი და წევრები იყვნენ თავ-რე - გრ. ალიხანოვი, დირექტორები - ჰენრიხ ავგუსტის ძე ტოლე, ნიკ.ავეტისოვი გამოშვებული ჰქონდათ 5 000 000 მანეთის აქცია, რომლებიც გაყოფილი იყო 1000 მანეთიან და 5 000 მანეთიან აქციებად 10 წლის ვადით.

საზოგადოების ძირითადი კაპიტალი იყო 5000000 მანეთი, სათადარიგო კაპიტალი - 5.455 მანეთი, განაღდებული კაპიტალი - 27.828 მანეთი. საზოგადოების საწარმოები; დამხმარე ნაგებობები ტერიტორიულად მოიცავდა 5080 კვადრატულ საჟენს.[1]

ქარხანა ორთქლის ძალით მუშაობდა და იყენებდა 4 მანქანას, ტუმბოს და 5 ქვაბს. საერთოდ აქ დასაქმებული იყო 125 კაცი: წარმოება წლიურად უშვებდა 620000 მანეთის პროდუქციას,[2] ნაწარმი - შირაბახტის, სელის, ბამბის, აბუსალათინის ზეთი, უბრალო საპონი, ტუალეტის საპონი კარგად საღებოდა ევროპულ რუსეთსა, კავკასიაში და სპარსეთში.[3]

საზოგადოებას გააჩნდა საწყობები მოსკოვში, ოდესაში, დონის როსტოვში და ვარშავაში.

XIX საუკუნის მიწურულისათვის თბილისში მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იყო თამბაქოს წარმოება. წამყვანი ადგილი ეკავა მეორე გილდიის ვაჭარ ნიკოლოზ ივანეს ძე ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკას, რომელიც 1858 წ. დაარსდა. 1900 წელს აღნიშნული ფირმა რეორგანიზებულ იქნა სავაჭრო-სამრეწველო სააქციო საზოგადოებად.

---

1 Указатель действующих в империи акционерных предприятий и торговых домов, под общ.ред.В.А.Дмитриева-Мамонтова, С.-Петербург, 1905 г., т.II, с.37.

2 ი ბ ი დ ე,

3 ი ბ ი დ ე,

1902 წელს თბილისში მუშაობას შეუდგა "ა.ენფიანჯიანცის თბილისის თამბაქოს სააქციო საზოგადოება "მირ", რომლის ძირითადი კაპიტალი 5000000 მანეთით განისაზღვრა (გამოშვებული ჰქონდა 250 მანეთიანი 2000 აქცია). ფირმამ თანდათან გააუმჯობესა ფაბრიკის ტექნიკური აღჭურვილობა. ამ საზოგადოების წესდება დაამტკიცა იმპერატორმა 1915 წლის 19 ოქტომბერს, მისი თბილისში ჩამოსვლის დროს.[1]

საზოგადოების დამაარსებელნი და წევრები იყვნენ - დირექტორები ვ.ს.ეგიაზაროვი, გ.ი.ბაიანდუროვი და რ.ი.გოკიელოვი.

საზოგადოების ყველა აქცია ნაწილდებოდა დამფუძნებელთა და მათ მიერ საზოგადოებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ პირთა შორის. წამყვანი როლი ამ სააქციო საზოგადოებაში ეკუთვნოდა ა.ენფიანჯიანცს, რომელიც საზოგადოების თავმჯდომარე იყო. 1913 წლის ბოლოსათვის ის ფლობდა 1.950 აქციას (6240-დან), ე.ი. სააქციო საზოგადოების განკარგულებაში მყოფი მთელი აქციების 31,2%-ს.იგი ფაქტიურად ფლობდა მთელი სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდების საერთო რაოდენობის 40,7%-ს. ამ უმსხვილესი აქციონერის ხელში იყო არსებითად აქციების საკონტროლო პაკეტი, რომელიც მას საშუალებას აძლევდა კონტროლი გაეწია საზოგადოების მთელი საქმიანობისათვის, ფაქტიურად ყოფილიყო მისი ბატონ-პატრონი.

ა.ენფიანჯიანცი ფაქტიურად განმკარგულებელი იყო სააქციო საზოგადოების თითქმის მთელი ქონებისა და გარკვეული მნიშვნელობით არსებითად იმორჩილებდა საზოგადოების დანარჩენ წევრებს და საკუთარი გამდიდრების ინტერესებისათვის იყენებდა მათი კაპიტალის გარკვეულ ნაწილს.

საზოგადოების ქონებას წარმოადგენდა:

1. თამბაქოს ფაბრიკა "მირ" (დაარს. 1894 წ.) თბილისში, მუშათა რიცხვი - 215 კაცი;
2. 5 თამბაქოს მაღაზია თბილისში

---

1 Указатель действующих в империи акционерных предприятий и торговых домов, под общ.ред.В.А.Дмитриева-Мамонтова, С.-Петербург, 1905 г., т.П, с.48.

თამბაქოს ფაბრიკის სააქციო საზოგადოების ბრუნვა უდრიდა: 1907 წ. - 7 000 000 მანეთს, 1912 წ. - 886 000 მანეთს, 1914 წ. - - 966545 მანეთს.

ბრუნვის გაფართოების პარალელურად იზრდებოდა საზოგადოების დამფუძნებელთა და აქციონერთა მოგებაც. საზოგადოება წლიურად ყიდდა 520 740 მანეთის მზა პროდუქციას.[1] განსაკუთრებით გაიზარდა პროდუქციის წარმოება და მოგება პირველი მსოფლიო ომის წლებში. მისი რეალიზაცია ხდებოდა კავკასიაში რუსეთსა და შორეულ აღმოსავლეთში.

XX საუკუნის დამდეგს მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა მკვეთრად შეამცირა ახალი სააქციო საზოგადოებების წარმოქმნა და მასში დაბანდებული კაპიტალის რაოდენობა. ქართული კაპიტალი ძალიან ხშირად მონაწილეობდა უცხოელთა მიერ შექმნილ სააქციო საზოგადოებაში და ყოველივე ეს მიზნად ისახავდა ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას და მრეწველობის წინსვლა-გაფართოებას.[2]

საინტერესოა თავისი საქმიანობით "ქუთაისის შაქრის ჭარხლისა და რაფინადის ქარხნის საზოგადოება", რომელიც დაარსდა 1884 წელს. დამაარსებელი და წევრები თავადი მ.ნ.მენგრელსკი და სანკტ-პეტერბურგის პირველი გილდიის ვაჭარი ინჟინერი - ს.პალაშკოვსკი, ძირითად კაპიტალს შეადგენდა 1 მლნ.მანეთი, რომელიც გაყოფილი იყო 1000 მანეთიან აქციებად. საზოგადოების ქონებაში შედიოდა შაქრის ჭარხლის გადამამუშავებელი ქარხნები: თურქესტანში, ციმბირში, ამიერკავკასიაში.[3]

სარკინიგზო მშენებლობა ჩვენში წამოიწყეს ინგლისის ქვეშევრდომებმა პარკინსმა და პაუკერმა. მათ ჯერ დააარსეს კონცესია "ფოთი-თბილისის რკინიგზის საზოგადოება" (1873 წელს), ხოლო შემდეგ - "ამიერ-

---

1 Указатель действующих в империи акционерных предприятий и торговых домов, под общ.ред.В.А.Дмитриева-Мамонтова, С.-Петербург, 1905, т.II, с.62.

2 პ.გუგუშვილი - კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ა/კ-ში, თბ., 1941, გვ.128

3 Указатель действующих в империи акционерных предприятий и торговых домов, под общ.ред.В.А.Дмитриева-Мамонтова, С.-Петербург, 1905, т.II, с.82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის რკინიგზის სააქციო საზოგადოება", რომლის შემადგენლობაში მათთან ერთად შედიოდნენ რუსი კაპიტალისტები, ინგლისელი საქმოსნები. ვინაიდან სარკინიგზო გზების მშენებლობა მოითხოვდა დიდ კაპიტალდაბანდებებს, პირველ რიგში სააქციო საზოგადოებები უნდა წარმოშობილიყო. ეს სააქციო საზოგადოებები სტიმულს აძლევდნენ მეურნეობის სხვა სფეროებში ანალოგიური კომპანიების შექმნას. კონკრეტულ შემთხვევაში კავკასიის რკინიგზის მშენებლობა დაწყებული იქნა სახელმწიფო ხაზინის რესურსებით, ხოლო მშენებლობა დასრულდა "ფოთი-თბილისის სააქციო საზოგადოების" მიერ.

აღნიშნული სააქციო საზოგადოების კაპიტალს შეადგენდა:

ა) "ფოთის უბნის" რკინიგზის ღირებულება, რაც (სააქციო "საზოგადოების" 1873 წ. 16/XI დამტკიცებული წესდებით) 20650 ათას მანეთს უდრიდა;

ბ) იმავე უბანზე არსებული დამატებითი ნაგებობებისა და მოწყობილობის ღირებულება - 7 290 ათასი მანეთი;

გ) ქუთაისის შტოს ღირებულება - 300 ათასი მანეთი;

დ) "ბაქოს უბნის" რკინიგზის ღირებულება, რაც წინასწარ 25390 ათასი მანეთით განისაზღვრა, ე.ი. ძირითადი კაპიტალის ოდენობა 56630250 მანეთს უდრიდა.

ეს კაპიტალი დგებოდა:

1) სააქციო საზოგადოების მიერ 1867 წ. დამტკიცებულ კონცესიის შესაბამისად "ფოთის უბნის" რკინიგზის ასაშენებლად გამოშვებული 706 ათასი მანეთის ოდენობის გარანტირებული აქციებისაგან;

2) მთავრობის მიერ გამოშვებული - 46570250 მანეთის ღირებულების-გარანტირებული ობლიგაციებისაგან.[1]

სავაჭრო კაპიტალის მრეწველობაში დაბანდების ტენდენციის თვალსაზრისით საინტერესოა "კავკასიის მანუფაქტურის სააქციო საზოგადოება",

---

I Указатель действующих в империи акционерных предприятий и торговых домов, под общ.ред.В.А.Дмитриева-Мамонтова, С.-Петербург, 1905 г., т.II, с.95.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც დაარსდა 1898 წელს თბილისში. მისი დამაარსებლები და წევრები იყვნენ: თბილისში I გილდიის ვაჭარი ა.ი.მანთაშევი, თუმანიანცი, გეევორქოვი და ავეტისიანი.

საზოგადოების კაპიტალი იყო - 1,5 მლნ.მანეთი, რომელიც გაყოფილი იყო 1500 1000 მანეთიან აქციებად.

ქონებას შეადგენდა სავაჭრო სახლები როგორც თბილისში, ასევე ბაქოში და ფაბრიკები.

კაპიტალის წლიური ბრუნვა უდრიდა 8 ათას მანეთს.[1]

საშენ მასალათა წარმოებაში კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი მეტად სუსტი იყო. სააქციო საზოგადოების დაარსება სცადეს ფრანგმა საქმოსნებმა - ალფონს გოფომ, ემილ მალარმა და დიოგენ მორისმა. 1901 წელს მათ ქუთაისის მახლობლად შეიძინეს მიწის ნაკვეთები, მიიღეს "აგურ-კრამიტისა და კერამიკული ნაწარმის კავკასიის საზოგადოების" დაარსების ნებართვა-წესდებით. ამ სააქციო საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 375000 მანეთით განისაზღვრება.[2] აქციონერებს მიზნად ჰქონდათ დასახული აგურ-კრამიტისა და კერამიკული ნაწარმის დიდი ქარხნის გაშენება, მაგრამ შინაგანი უთანხმოების გამო ეს საზოგადოება დაიშალა.

საქართველოს ტყის ნედლეულის სიმდიდრემ უყურადღებოდ არ დატოვა არც უცხოური კაპიტალი, რომელიც აქტიურობდა აქ რუსულ და ადგილობრივ კაპიტალთან ერთად. ამის მაგალითია "ტყის მრეწველთა ამხანაგობა", რომელიც ჩამოყალიბდა 80-იანი წლების მიწურულს. მისი დამაარსებელი და წევრები იყვნენ - ბერნარდი, გატიე და პერიკე, რომლებმაც თავად შერვაშიძისაგან მიიღეს ნებართვა საშამშიოს მიდამოებში ტყის სარგებლობისა და იქ ააგეს ტყის სახერხ-დამამუშავებელი მექანიკური ქარხანა. ქარხანასთან არსებობდა აგრეთვე პარკეტის ქარხანაც. ტყეში გაყვანილი

---

1 Указатель действующих в империи акционерных предприятий и торговых домов, под общ.ред.В.А.Дмитриева-Мамонтова, С.-Петербург, 1905 г., т.П, с.57.

2 იქვე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნა სალიანდაგო ხაზები. ქარხანა შეფასებული იქნა 23 ათას მანეთად, ამხანაგობის კაპიტალი იყო 1,5 მლნ.ფრანკი. საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა 1894 წელს.[1]

90-იანი წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა შემდეგი სააქციო საზოგადოებები და ამხანაგობები.

1896 წელს დაარსდა "ბამბის სართავი და საფეიქრო-მექანიკური ფაბრიკის სააქციო საზოგადოება კავკასიაში". მან იარსება 900-იანი წლების დასაწყისამდე. მისი დამაარსებელი იყო თბილისის პირველი გილდიის ვაჭარი ი.ა.ჩითახოვი. საზოგადოების ქონებას შეადგენდა - ბამბეულის ფაბრიკა, სახლები თბილისში (1 მლნ.მანეთის ღირებულებით). საზოგადოების წლიური კაპიტალი უდრიდა 100 ათას მანეთს.[2]

1898 წელს დაარსდა "კავკასიის საწერი ქაღალდის ფაბრიკის სააქციო საზოგადოება", რომელიც დაიხურა 1901 წელს. მისი დამაარსებელი და წევრები იყვნენ: პირველი გილდიის ვაჭრები - გ.ი.თუმაევი, ინჟინერ-მექანიკოსი ა.აკოფოვი და ტიტულოვანი მრჩეველი დ.აკოფოვი და ა.შ. საზოგადოება 15 წევრისაგან შედგებოდა, კაპიტალი - 500 ათასი მანეთი, რომელიც გაყოფილი იყო 2 ათას 250 მანეთიან აქციებად. საზოგადოების ქონებას არ წარმოადგენდა საწერი ქაღალდის ფაბრიკები, ქარხნები.[3]

1899 წელს დაარსდა "კავკასიის მინის მრეწველობის აქციონერთა საზოგადოება", რომლის დამაარსებელი იყო ძმები ბერგმანების სავაჭრო სახლი მოსკოვში. 1897 წელს აღნიშნულმა სავაჭრო სხლომა სრულ საკუთრებაში შეიძინა ინჟინერ ი.ა.ლიხაჩოვისაგან მინის ქარხანა ბორჯომში. ქარხანა თავისი ქონებით სავაჭრო სახლმა 250 თასას მანეთად შეისყიდა.

---

1 Э.В.Хоштария. Очерки социально-экономической истории Грузии, Тб., 1973, с.151.

2 Ст.Гулишамбаров. Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии. Тифлис, 1887, с.43.

3 о б з о, с.25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული სააქციო საზოგადოება ჩამოყალიბდა ბორჯომის მინის ქარხნის ტექნიკური განვითარებისა და მისი უზრუნველყოფისათვის. საზოგადოების ძირითად კაპიტალს შეადგენდა 1 მლნ.მანეთი, რომელიც გაყოფილი იყო 4 ათას 250 მანეთიან აქციებად და 2 ათას პრივილეგირებულ 500 მანეთიან აქციებად.[1]

"კავკასიის სამრეწველო საზოგადოება" დაარსდა 900-იანი წლების მიწურულს. მისი დამაარსებელი და წევრები იყვნენ მრჩეველები: ნ.ი. ფილინიევი, ბარონი ნ.ე. ფრანგელი და ნამდვილი მრჩეველი - ე.ფ. გოლუბევი. საზოგადოების კაპიტალი შეადგენდა - 4 მლნ.მანეთს, რომელიც გაყოფილი იყო 16 ათას 250 მანეთია აქციებად.[2]

1899 წელს დაარსდა "თბილისის სამშენებლო საზოგადოება". დამაარსებელი და წევრები იყვნენ: ადგილობრივი კაპიტალისტი "სავაჭრო სახლის" თავი ი.პიტოევი, საპნის ქარხნის მფლობელი ი.ტაიროვი, თავადი დოლუხანოვი, გენერალ-მაიორი - ი.რეიტერი, რომელიც თბილისის კომენდანტი იყო, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი - ნ.სტრუვე, იუსტიციის სამინისტროს კერძო პირები: რეიტერი, პახომოვი, ტატიშჩევი და სხვები. კაპიტალი - 600 ათასი მანეთი, გაყოფილი იყო 2400 250 მანეთიან აქციებად. ქონებაში შედიოდა-სახლები, მიწები, ქარხანა.[3]

900-იანიწლებში თბილისის ლითონდამმუშავებელი და სხვა სახის მანქანა-იარაღების საწარმოებიდან უმთავრესი იყო გ.იარალოვის მექანიკური და თუჯსასხმელი ქარხანა, რომელიც ამუშავდა 1882 წელს - 350 ათასი მანეთის კაპიტალით.

---

1 Указатель действующих в империи акционерных предприятий и торговых домов, под общ.ред.В.А.Дмитриева-Мамонтова, С.-Петербург, 1905, т.I, с.79.

2 ი ბ ი დ ე, с.60.

3 ი ბ ი დ ე, с.79.

1901 წ. 20 მაისს ამ საწარმოს ბაზაზე შეიქმნა "თბილისის ინჟინერ გ.წ. იარალოვის ლითონის ქარხნის, სამიწათმოქმედო მანქანებისა და იარაღების სააქციო საზოგადოება".

მისი დამაარსებელი და წევრები იყვნენ: კოლეგიის მრჩეველი გ.ზ. იარალოვი, ძმები მანთაშოვები, მ.ენფიანჯიანცი, გ.არამიანცი, მ.ანანოვი და სხვები. კაპიტალი - 350 ათასი მანეთი გაყოფილი იყო 1400 250 მანეთიან აქციებად. ქონებას შეადგენდა - ქარხნები თბილისში (მთლიანი უძრავ-მოძრავი ქონება შეფასებული იყო 223633 მანეთად).[1]

90-იანი წლების შუახანებიდან აბრეშუმის ნედლეულით ვაჭრობის ორგანიზაციაშიც გარკვეულ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი. 1895 წელს ქუთაისის მაზრის ხონის უბანში აბრეშუმის მწარმოებლების მიერ შეიქმნა "ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა" - ეს ამხანაგობაც აქციონერული საზოგადოების საფუძვლებზე იყო აგებული. იგი მიზნად ისახავდა წვრილი მწარმოებლებისაგან აბრეშუმის პარკის შესყიდვას და მის რეალიზაციას. პირველსავე წელს ამხანაგობამ შეისყიდა და რეალიზაცია უყო 9000 მანეთის აბრეშუმის პარკს. შემდეგ წლებში ამხანაგობამ გააფართოვა თავისი ოპერაციები - 1897 წელს გურიაშიც დაარსდა ასეთივე ტიპის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა "შუამავლის" სახელწოდებით. იმავე წელს ქუთაისსა და სენაკში ყალიბდება მეაბრეშუმეთა ამხანაგობები.[2]

თბილისის ტრამვაის ხაზის დიდი ნაწილი გაიყვანა ბელგიის სააქციო საზოგადოებამ, რომელიც საქმიანობას 1900 წელს შეუდგა. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი უდრიდა 8 481 800 ფრანკს, სათადარიგო კაპიტალი კი - 755 936 ფრანკს. 1913 წ. ბელგიელთა სააქციო საზოგადოების

---

1 Э.В.Хоштария. Очерки социально-экономической истории Грузии, Тб., 1974, с.161.

2 ე.ხოშტარია - მრეწველობის განვითარება, § 2, საქართველოს ისტორიის ნარკვევები - ტ.V, თავი მერვე - კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში რეფორმის შემდეგ (1865-1900 წწ.) თბილისი - 1970 წ. გვ.375

ტრამვაისა და დამხმარე საწარმოების მუშების რიცხვი 1200-ს აღემატებოდა.

თბილისის ტრამვაის ბელგიურ ანონიმურ საზოგადოებას ეკუთვნოდა ა.კ.რობის მიერ დაარსებული "თბილისის ელექტროფუნიკულიორის საზოგადოების" მთელი აქციები - აღნიშნული სააქციო საზოგადოება ჩამოყალიბდა 1903 წ. 8 ივლისს.

დამაარსებელი და წევრები იყვნენ: დირექტორები: მ.რინმიუნსკი, ს.მუხარინსკი, ს.გეიდემანი, პ.გამელრატი.

ძირითადი კაპიტალი - 300 000 მან.

აქციები - 1200 აქცია 250 მანეთიანი კუპონებით, 10 წლის ვადით.

საქართველოში გარდა სააქციო საზოგადოებებისა არსებობდა მსხვილი ფირმები, რომლებიც თავიანთი წარმოების მასშტაბით მათ ტოლს არ უდებდნენ. მაგალითად, დ.სარაჯიშვილის მიერ დაარსებული კონიაკისა და არყის წარმოების ფირმა, ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკები, მაქსიმოვისა და სერებრიაკოვის ტყის სახერხ-დამმუშავებელი ქარხნები და სხვ.

ნაწილი იმ სააქციო საზოგადოებებისა, რომლებიც ჩვენს მიერ იყო განხილული. ერთხელ კიდევ მიუთითებენ წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციაზე დამმუშავებულ მრეწველობაში. არსებული მონაცემების მიხედვით გამოიკვეთა ადგილობრივი სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო საქმიანობაში ჩართვა.

ერთ-ერთი მთავარი პირობა სააქციო საზოგადოებების და სხვადასხვა ამხანაგობების შექმნისა იყო კაპიტალის კონცენტრაცია მსხვილი საწარმოების შესაქმნელად. ადგილობრივი კაპიტალი კი უპირატესად გამოიყენებოდა დამმუშავებელ მრეწველობაში (ტყავის, თამბაქოს, არყისა და კონიაკის, ტყის დამუშავების და სხვ.). ძირითადად დამმუშავებელი მრეწველობის საწარმოები საშუალო და წვრილი სიდიდისა იყო, მაგრამ მათ შორის შეინიშნება მსხვილი ფაბრიკები და ქარხნები. აღნიშნული საწარმოები ეკუთვნოდა სომეხ, უცხოელ, ქართველ, ბერძენ, აზერბაიჯანელ მრეწველებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგრეთვე საქართველოში დასახლებულ რუს ჩინოვნიკებსა და სამხედრო პირებს.

დაახლოებით 150 მსხვილი სამრეწველო საწარმოდან (ფაბრიკები და ქარხნები; მანუფაქტურული საწარმოები და მსხვილი სახელოსნოები), 1900 წლის მონაცემებით - სომხებს ეკუთვნოდათ 44%, დაახლოებით ამდენივე პროცენტული რაოდენობით ფლობდნენ საწარმოებს რუსი და უცხოელი წარმოშობის მოქალაქენი, ხოლო ქართველ მრეწველთა წილზე მოდიოდა მხოლოდ 10%, ხოლო დანარჩენი 2% - კი ეკუთვნოდა აზერბაიჯანელებს.

თბილისში არსებული მეტნაკლებად მნიშვნელოვანი 73 სამრეწველო საწარმოდან (1900 წლის მონაცემებით) ნახევარი ეკუთვნოდა სომხებს, დანარჩენი მოდიოდა სხვა ეროვნების წარმომადგენლებზე.[1]

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის ქართველი მრეწველები, ვაჭრები, რომლებიც ქართული ეროვნული ბურჟუაზიის სათავეებთან იდგნენ. მრავალი წლის განმავლობაში გავრცელებული აზრი, თითქოს მრეწველები და ვაჭრები საქართველოში მხოლოდ ფრანგები, გერმანელები და სომხები იყვნენო, სწორი არ არის.

ჩვენ არ ვაპირებთ დავაკნინოთ მათი წვლილი ეროვნული ეკონომიკის განვითარების საქმეში, მაგრამ არც ქართველი მრეწველები უნდა დავივიწყოთ, რომლებმაც ძალზე ბევრი გააკეთეს საქართველოს, ქართველი ხალხისათვის. დავით სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილების, აკაკი ხოშტარიას, მიტროფანე ლალიძის, თავადი მინგრელსკის სახელები, მათი საქველმოქმედო მოღვაწეობა საყოველთაოდაა ცნობილი.

თუ კი XIX საუკუნეში მოღვაწე მსხვილ ქართველ მრეწველთა საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაცია გაგვაჩნია, შედარებით ნაკლები ვიცით უშუალოდ რევოლუციამდელი ხანის კომერსანტ-მრეწველთა შესახებ.

---

1 Э.В.Хоштария. Очерки социально-экономической истории Грузии. Тб., 1974, с.161.

X X
X

XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართველ მრეწველთაგან ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო აკაკი ხოშტარია, ვინაიდან იგი წარმომადგენელია იმ საზოგადოებრივი წრისა, რომელსაც უშუალოდ დაუპირისპირდა ბოლშევიკური ხელისუფლება, მისი პიროვნება უკანასკნელ დრომდე გულმოდგინედ იჩქმალებოდა. ამიტომ აკაკი ხოშტარიას შესახებ ჩვენმა საზოგადოებამ ცოტა რამ იცოდა. ჩვენს მიერ გამოვლენილმა და შეკრებილმა მასალებმა ცხადყო, თუ რამდენად დიდი მასშტაბის მრეწველი და კომერსანტი იყო იგი და რაოდენ მნიშვნელოვან საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა.

ვინაიდან ცნობები აკაკი ხოშტარიას საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს წარმოდგენას საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაზე XX ს. პირველ მეოთხედში, ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ დაწვრილებით შევჩერდეთ მასზე.

როგორც ცნობილია, საქართველოში თავისუფალი საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება მეტ-ნაკლებად სწრაფად მიმდინარეობს ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ, უფრო XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში. ამ პერიოდის საქართველო მაინც რჩება, რუსეთთან და მითუმეტეს ევროპის მოწინავე ქვეყნებთან შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნად. აქ ეკონომიკისა და ვაჭრობის სადავეები უცხო ტომის წარმომადგენლებს (სომხები, დას. ევროპელები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები და ა.შ.) უპყრიათ, ხოლო ქართული ეროვნული ბურჟუაზია რაოდენობრივად მეტად მცირეა. სულ რამოდენიმე პიროვნება შეგვიძლია დავასახელოთ, რომლებიც მეტ-ნაკლებად მასშტაბურნი იყვნენ თავიანთ მოღვაწეობაში: ძმ. ზუბალაშვილები, დ.სარაჯიშვილი, მ.ლალიძე და აკაკი ხოშტარია.

აკაკი ხოშტარიას ბიოგრაფიას, ძირითადად მისი ახლობლების გადმოცემებიდან ვგებულობთ. იგი დაიბადა 1873 წელს სამეგრელოში, აბაშსთან - სოფელ სუჯუნაში - ტახტის აზნაურის ოჯახში, რომელთაგან ბევრი სამღვდელო პირი იყო თაობების მანძილზე. სუჯუნელ ხოშტარიებს ტრადიციულად ეკუთვნოდათ ეკლესია, რომელშიც წლების მანძილზე ინახებოდა სუჯუნის წმ.გიორგის ხატი.

აკაკის მამა - მეთოდე, მეთო ხოშტარია დადიანების მოურავი იყო და განაგებდა მაშინდელი სამეგრელოს-სადადიანოს მეურნეობას, იგი ცნობილი იყო თავისი სიდინჯით და გონიერებით, მას დიდი მეთოს სახელით იხსენიებდნენ. დედა - ვარდიკო ავალიანი, საკმაოდ წიგნიერი და განათლებული ქალი ყოფილა. მათ აღზარდეს სამი შვილი - გიორგი, აკაკი და ანა. უფროსი - გიორგი ხოშტარია, რომელსაც განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული, სპეციალობით მათემატიკოსი იყო და მრავალი ათეული წლის განმავლობაში მოღვაწეობდა სხვადასხვა ქალაქის გიმნაზიებში. მომდევნო შვილი იყო - აკაკი, რომელმაც მოუსვენარი და ფათერაკებით სავსე ცხოვრების გზა აირჩია. მან დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი სანკტ-პეტერბურგში. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი იყო გაგრაში - პრინც ოლდენბურგთან სუპერ-ინტენდანტად. მან დაგეგმა და თვალყურს ადევნებდა ყველა ბულვარისა და ბაღის მოწყობას მთელს შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე. შემდეგ მისი უშუალო დაფინანსებითა და ხელმძღვანელობით გაშენდა ბათუმის მთავარი ზღვისპირა ბულვარი, მახინჯაურის ბოტანიკური ბაღი.

ხოშტარიების უმცროსი ქალიშვილი ანა - დაბადებული 1879 წ. გათხოვილი იყო გიორგი ჭყონიაზე, რომელიც მსახურობდა ოზურგეთის გიმნაზიაში მასწავლებლად და 1928 წლიდან ოჯახთან ერთად თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად.

როგორც აღვნიშნეთ, აკაკი ხოშტარია პროფესიით დეკორატორი მებაღე იყო. ფოთში სამსახურის დროს მან გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე

მინადორა ეგნატეს ასული თურქია, რომელმაც ღირსეული მეუღლეობა, მეგობრობა, თანადგომა გაუწია აკაკის მთელი სიცოცხლის მანძილზე და ამდენად დიდი როლი ითამაშა მისი რთული კომერციული საქმიანობების წარმატებებში.

მინადორა თურქია დაიბადა 1881 წელს დიდი მრეწველის, ფოთის სახელმწიფო ბანკის მმართველის ოჯახში. მამამისს ეკუთვნოდა მთელი შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ყველა საკონდიტრო მაღაზია თუ საწარმო, ურთიერთობა ჰქონდა საზღვარგარეთთანაც. მინადორა თურქიას დისშვილის, ქალბატონ თინა კვაჭაძის მოგონებით, თურქიების ოჯახს დიდი ზიანი მიაყენა ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელმა რაზმებმა, მათ ერთ-ერთი თარეშის დროს ცეცხლი წაუკიდეს თურქიების სახლს და მაღაზიებს, რის გამოც მინადორას დედას იმპერატორ ნიკოლოზის სურათი თავდაყირა დაუკიდია, ეს ფაქტი აცნობეს თვით ალიხანოვ-ავარსკის, რომელიც ამის გამო მთელი ოჯახის დაპატიმრებას აპირებდა, მაგრამ ახლობლებმა ოჯახი გააფრთხილეს და ღამით ახალი ჯვარდაწერილი აკაკი და მინადორა მედროგე კუკუტარიას დახმარებით სახლიდან ჩუმად გააპარეს.

აკაკი ხოშტარიას ბიოგრაფიული დეტალების შესწავლით ირკვევა მისი ხასიათის ორი მხარე: იგი სუფთა პრაქტიკულ, რაციონალურ აზროვნებასთან ერთად, ყოველთვის ავლენდა ცხოვრებისადმი მიდგომაში-დახვეწილ, ესთეტიურ ბუნებას, რაც გამოიხატებოდა როგორც პირად იერში (ჩაცმულობა, დახვეწილი მანერები), ასევე მის ცხოვრების წესში და სტილში და თვით ადამიანებთან ურთიერთობაშიც, და რაც მთავარია იმ ემოციურ, აზარტულ გატაცებაში, რომელსაც ის ეძლეოდა თავის საქმეში.

მისი ნიჭიერება მკაფიოდ გამოვლინდა სანკტ-პეტერბურგის კოლეჯში სწავლისას და შემდეგ შავიზღვისპირეთის ახალჩასახულ საკურორტო დასახლებებში, კერძოდ გაგრაში პრინც ოლდენბურგის, ბოტანიკური ბაღების განაშენიანებაზე მუშაობისას, როდესაც მისი ნიჭი, გემოვნება და დაუცხრომელი ენერგია ემსახურებოდა უმშვენიერესი სანაპიროს კეთილმოწყობასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ადამიანის ნახელავის ბუნებასთან ჰარმონიზაციის ამოცანას.

მებაღე-დეკორატორად 10 წლის მუშაობის შემდეგ, აკაკი ხოშტარია უკვე გვევლინება ეკონომიკის დარგში მნიშვნელოვან ფიგურად. ათი წელი არცთუ ისე დიდი დროა უბრალო მებაღიდან - მსხვილ მრეწველ-კაპიტალისტამდე. აქ უკვე ჩანს მისი ნატურა და მოღვაწეობის სტილი.

ქალბატონი თინა კვაჭაძის მოგონებიდან ირკვევა, რომ აკაკის საავაჭრო საქმიანობის დაწყებას ერთმა შემთხვევამაც შეუწყო ხელი. ახალგაზრდობაში აკაკი ფოთში მეგობრობდა მეწვრილმანე ვაჭარ ვინმე ზოდელავასთან. ერთხელ მეგობრებმა გადაწყვიტეს საავაჭრო გემით ნავთი წაელოთ ოდესაში სარეალიზაციოდ, მაგრამ ტუაფსესთან ამოვარდნილმა ქარიშხალმა გემი თურქეთში გაიტანა, სადაც ნავთი ოქროს ფასად გაყიდეს. ამის შემდეგ ზოდელავამ თბილისში მარჯანიშვილის ქუჩაზე (ყოფილი საკომისიო მაღაზიის შენობა) შეისყიდა საცხოვრებელი სახლი, ხოლო აკაკი წავიდა ბაქოში და ცნობილ მრეწველ მუსა ნაგიევისაგან იყიდა ნავთის სარეწები. ამავე პერიოდში მან ბათუმში შეიძინა აქციები და ხელი მიჰყო სერიოზულ კომერციულ საქმიანობას.

აკაკი ხოშტარიას ძირითადი სამრეწველო და საავაჭრო ასპარეზი სპარსეთი იყო. იგი საკმაოდ დაახლოებული პირი იყო სპარსეთის შაჰის კარზე. აკაკის ძმის შვილიშვილის, ხელოვნებათმცოდნე ბატონ - გოგი ხოშტარიას გადმოცემით, შაჰის თქმით - მთელი ირანი დავალებულია აკაკისაგან. აკაკი მდიდარ და გავლენიან პირად ითვლებოდა მთელს ირანში.

ძალზე საინტერესო მასალას იძლევა მისი პირადული და ეკონომიკური მოღვაწეობის შესახებ ბერლინში გამომავალი რუს-დემოკრატთა ყოველდღიური გაზეთი "რული", სადაც ჟურნალისტი ვინმე - ვლადიმერ ნემგინსი 1924 წლის 8 იანვრის თავის წერილში ვრცლად მოგვითხრობს აკაკი ხოშტარიას შესახებ, საჭიროდ მივიჩნევთ მოვიტანოთ მთლიანად ეს წერილი:

"Въ странѣ Льва и Солнца

На живописном берегу Босформа, в Ортакее, мирно и беззабот-

но протекают дни развенчанного Магомета-Али-Шаха Персии. Когда-нибудь, может быть, и он напишет свою грустную повесть об изгнании из родной страны, о разлуке с любимым сыном, нынешним 26-летним шахом Ахмедом.

Усмехнется при чтении этих повести и известии, хотя и не коронованный шахъ Персии - А.М.Хоштария, снова появившийся на горизонте Персии и снова как паук охватывающий ее своими стальными щупальцами, в виде "Перслеса", "Персбанка", "Персериса" и т.п. учреждений, отдающих дань времени в сокращенных названиях. В роли скромного садовника несколько десятков лет тому назад Хоштария появляется у принца П.А.Ольденбургского для того, чтобы к началу Великой войны (1914-18) быть фактическим владельцем Грузии и значительной части Персии.

Человек исключительной воли и такой же энергии, он во время получает ряд концессий в Персии, строит там железную дорогу, учреждает акционерное общество, - прогорает дотла и совершенно разоренным исчезает на недолгий промежуток времени из поля зрения. Затем, как Фигаро, - появляется то здесь, то там, - то в собственных поездах на собственной дороге, то застревает в лесах Персии. Содержит на свои средства всю Грузинскую Республику, во главе с его правительством, а уже в Константинополь не может расплатиться с кредиторами.

Затевает банки в Турции и Европе, прогорает, снова исчезает и выплывает в Тегеран с пачкой концессий в кармане.

У него теперь монополия есть советского правительства на вывоз риса, хлопка из Персии, он восстанавливает Учетно-Ссудный банк (конечно, под другим названием), он, приняв советское подданство, нашел, наконец, в Персии обетованную страну, где, по-

его мнению, никаким революциям никогда не бывать и начал вести созидательную работу.

С неизменным (за последние годы) своим спутником, б.-правоведом, А.Н.Аннибалом, внуком Пушкина, влюбленным в Персию и знающим в совершенстве языков ее, - в Тегеране Хоштария поднимает теперь свой флаг. Все нынешние отчеты советской печати о Русско-Персидской Торговой Палате, о специальных комиссиях по выработке торгового соглашения - все это очередной блеф. Есть Хоштария, ведущий свои личныя предприятия, и будь у него десяток советских паспортов, он выстроит в Тегеране такой же роскошный дворец, какой теперь у него отнят большевиками в Тифлисе! Хоштария сейчас в Персии - единственное воспоминание о России. Русского больше уже ничего не осталось, благодаря милостивым декретам советского Правительства, отдавшего персам единственную шоссейную Энзели-Тегеранскую дорогу (в общей сложности около 600 верст), разорившего банк, разогнавшего (при дружном содействии англичан). На Энзели-Тегеранской дороге персами разрешено остаться лишь тем русским, которые примут персидское подданство. Белых русских в Персии почти нет. Красными стали все те, кто надеется погреться возле Хоштариевских "Перслесовь", "Персбанковь" и проч."[1].

აკაკი ხოშტარიას სავაჭრო კომბინაციები და კომერციული გეგმები ერთი შეხედვით ფანტასტიურად შეიძლება მოგვეჩვენოს, თავისი ფანტასტიური წარმატებებით. მაგრამ, ყველაფერ ამის უკან დგას პიროვნება თავისი ემოციური და არტისტული გამოვლინებებით, რომელიც დაულალავად მიიწევდა წინ, მიუხედავად თავისი ხანმოკლე წარუმატებელი მომენტებისა.

---

1 "Руль" - вторник, 8 января, 1924 г., № 939; Вл.Немгинс - "Въ стране Льва и Солнца".

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ქართული ბუნების მატარებელია და მას არ მიესადაგება ტრაფარეტული სახე ცივი პრაქტიკოსისა და მედროვე კაპიტალისტისა. მრავალ მოგონებებში უპირველეს ყოვლისა იგონებენ და საუბრობენ მასზე, არა როგორც მდიდარ, ფულიან მრეწველზე, რაც ფაქტია, არამედ მის არაჩვეულებრივ კეთილშობილებაზე, ქართულ გულზე, სიკეთეზე, მოყვასის სიყვარულზე და ყურადღებაზე, რითაც იგი ახლობლებზე და გარშემო მყოფ ადამიანებზე დაუვიწყარ წთაბეჭდილებას ახდენდა.

მისი ძმის შვილიშვილის ბატონ - გიორგი ხოშტარიას გადმოცემით, აკაკი ხშირად განმარტოვდებოდა თავის თავში, დიდხანს ფიქრობდა, აანალიზებდა კომერციულ ოპერაციებს, რასაც ხშირად თავის უფროს ძმას გიორგის უყვებოდა, ერთი შეხედვით ფანტასტიურ გეგმებს, რომლის განხორციელებაში მას ეჭვი არასოდეს ეპარებოდა.

პირველი მსოფლიო ომის წინ, აკაკიმ ბაქოში ჩამოაყალიბა და შექმნა მსხვილი სამრეწველო კომპანია, სადაც გაერთიანდნენ ნავთობის ინდუსტრიის ცნობილი მრეწველი-კაპიტალისტები. აი, როგორ გადმოგვცემს აკაკი ხოშტარიას კავშირს ბაქოსთან, აწ გარდაცვლილი ცნობილი ქართველი ემიგრანტი, დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვის პოლკოვნიკი მერაბ კვიტაშვილი თავის მემუარებში.

"ბაქოში მამაჩემი დაუახლოვდა ქართველების დიდ ჯგუფს, რომლებიც ნავთობის წარმოების სისტემაში მუშაობდნენ, ან კავშირი ჰქონდათ ამ წარმოებასთან - მათ შორის ბევრი შეძლებული, გამოჩენილი და გავლენიანი პირი იყო - ეს ხალხი უბრალო ბიზნესმენები კი არა, დიდი მასშტაბის ინდუსტრიალისტები იყვნენ და მაღე უეჭველად საერთაშორისო მასშტაბის ინდუსტრიალისტები და ფინანსისტებიც გახდებოდნენ. ამ ჯგუფს სათავეში ედგა აკაკი ხოშტარია, იმ დროის საქართველოში ერთადერთი ნამდვილი მილიონერი, რომელმაც ნავთობის კონცესიები შეიძინა სპარსეთში და ჩამოაყალიბა ფირმა, სახელად "რეპენტო" ("Русско-персидское нафтяное товарищество "). ეს იყო ყველაზე დიდი და ფინანსურად ყველაზე ძლიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ფირმა, რომლის მსგავსიც კი ქართველებს ოდესმე შეუქმნიათ - მისი პრეზიდენტი იყო აკაკი ხოშტარია, ხოლო მისი ხუთი დირექტორიდან ერთ-ერთი მამაჩემი იყო"[1].

ასევე 1913 წელს აკაკი ხოშტარიამ დადო 99 წლიანი კონტრაქტი ჩრდილოეთ ირანის მიწათმფლობელებთან, ასტარადან-ფეჰლევამდე, დააარსა კომპანია "პერსლექსი", რომლის კაპიტალი შეადგენდა რამოდენიმე მლნ. ოქროს რუბლს. ააშენა თავისი საკუთარი საამქროები, ელექტრონით მომქმედი ფაბრიკა და სპეციალური სარკინიგზო ხაზი - "ტალ-რუდი", ხის მორების გადასაზიდად ეს რკინიგზის ხაზი ირანისათვის იყო პირველი.

1914 წელს აკაკიმ დააარსა სატრანსპორტო კომპანია თეირანსა და ფეჰლევს შორის. იგი იყო პირველი, რომელმაც ავტომობილი შემოიყვანა ირანში. 1915 წელს რუსეთის იმპერიულმა მთავრობამ მოახდინა ამ მანქანის რეკვიზიტი საომარი მიზნებისათვის. ასევე ბატონ გოგი ხოშტარიას გადმოცემით, აკაკის მანქანას ფორდს ჰქონდა ოქროს ფრთები სამკაულად. მან ეს მანქანა საჩუქრად მიართვა აჰმედ შაჰს. აკაკიმ 1916 წელს მიილო კონცესიების უფლება მიწისქვეშა საკუთრებით ექსპლუატაციაში, რომელიც გულისხმობდა მინერალებს, ნავთობს და ა.შ. ჩრდილოეთ ირანში აზერბაიჯანის ჩათვლით. აკაკიმ ასევე დადო ხელშეკრულება ბრაიტონ ფ.ფ.ლიჩთან, რომელსაც ლონდონში უნდა დაეარსებინა კომპანია, რომლის ძირითადი კაპიტალი იქნებოდა 2 მლნ.ფუტი სტერლინგი. მაგრამ, როცა მოხდა რევოლუცია, საბჭოთა მთავრობამ გააუქმა ყველა ის კონცესიები, რომელნიც ირანელების მიერ რუსი ქვეშევრდომებისადმი იყო მიცემული ცარიზმის დროს. რევოლუციის მერე აკ.ხოშტარია ემიგრაციაში წავიდა და დაბრუნდა თეირანში - 1923 წელს. ამავე წელს მან მიიღო კონცესიები ნავთობის ექსპლუატაციისათვის სემნანში და დაარსა კომპანია "ქავირე-

---

1 მერაბ კვიტაშვილი - მოგონებები, "ლიტერატურული საქართველო", 1990 წ. 24 სექტემბერი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურიან". ამ კომპანიის უდიდესი ნაწილი ეკუთვნოდა აკაკის, ნაწილი ეკუთვნოდა სხვა კერძო პირებს, რომელთა შორის იყვნენ ირანელები და დანარჩენი კი საბჭოთა მთავრობას, ვინაიდან საბჭოთა მთავრობა არ აძლევდა უფლებას რომელიმე თავის ქვეშევრდომს მონაწილეობა მიელო ირანის კონცესიებში, თუ თვითონ არ მიიღებდა წილს. მათ დაიწყეს კვლევითი სამუშაოები სემნანში, 1932 წელს აკაკის გარდაცვალების შემდეგ, მისი წილი ავტომატურად გახდა ირანის მთავრობის საკუთრება.

აკაკი ხოშტარიამ დააარსა აგრეთვე თეირანის რუსულ-ირანული ბანკი და კომერციული სახლი "რუპეტო". (არ შეგეშალოთ "რუპენტოსთან" რომელიც ადრე ვახსენეთ). 1926 წ. ეს ორივე ორგანიზაცია ხელში ჩაიგდო საბჭოთა მთავრობამ.[1]

როგორც აღვნიშნეთ, აკაკი საკმაოდ დაახლოებული პირი იყო სპარსეთის ყაჯართა დინასტიის შაჰებთან, კერძოდ, შაჰ-მუჰამედ ალისთან და მის მემკვიდრე - აჰმედ შაჰთან. (ყაჯართა დინასტიაა - ნასრიდინ შაჰი, მოზაფარედინ შაჰი, მოჰამედ ალი შაჰი - ძე). გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ქონებისა, აკაკის ირანში ჰქონდა საკუთარი რკინიგზა (მატარებლებით), მონოპოლია ხე-ტყის, საპნის, ბრინჯის წარმოებაზე, თევზის სარეწები, ვაჭრობდა მატყლით ინგლისელებთან, და რაც მთავარია, იყო ჩრდილოეთ ირანის ნავთობის კონცესიების და მთელი ამ ტერიტორიის - მიწების კერძო მფლობელი, რომელნიც მან შეისყიდა მოჰამედ ალი-შაჰის პირველი მინისტრის, სპასალარის, პროვინცია გილანის მმართველ მოჰამედ ვალი ხანისაგან.

აკაკი ხოშტარიას მიერ დაარსებულმა კომპანიებმა და თურქულ-სპარსულმა "ხოშტარიას ბანკმა" ურთულესი სავაჭრო კომბინაციებით მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების სავაჭრო წრეები დააინტერესა. მისი პიროვნების როლი სცილდება უბრალოდ ნიჭიერი თუ წარმატებული მეწარმის მასშტაბებს, ის საერთოდ XX საუკუნის პირველი მესამედის ჩვენს ქვეყნის ერი-

---

1 მ.ბაგრატიონ-მუხრანელი - აკ.ხოშტარიას ქალიშვილის მეუღლე, რომელმაც მოგვაწოდა ეს ცნობები საფრანგეთიდან.

-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურად გვევლინება.

მოგვიანებით აკაკის ირანული კონცესიები ინგლისელებმა შეისყიდეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით ნოე ჟორდანია აკაკი ჩხენკელს სწერდა: "მე სადღაც წავიკითხე, რომ ხოშტარიას სპარსეთის კონცესია ინგლისელებმა შეისყიდეს და მოსკოვთან აწარმოებენ მოლაპარაკებას კავკასიის გზით ამ კონცესიების ექსპლუატაცია მოახდინონო შეერთებულად. საქართველოს საკითხი თუ იქნება მოგვარებული, საჭიროა ამ ამბის კარგად გაგება".[1]

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მსხვილი მონოპოლიებისა, აკაკის ხელში იმყოფებოდა კასპიისპირა ქალაქ ენზელის ელექტროფიკაციაც. აქაც იგი სერიოზულ კონკურენციას უწევდა ინგლისელებს და ამერიკელებს.

აკაკი მნიშვნელოვანი კაპიტალის მფლობელი იყო თბილისში, ჰქონდა თავისი საწარმოები: მექანიკური ქარხანა, სამიწათმოქმედო მანქანების ფაბრიკა, საპნის ქარხანა და სხვა. ყველა მის აქ ჩამოთვლილ საწარმოებს 1921 წლის 30 ივნისის დადგენილებით, რომელიც გამოსცა საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა, ჩაუტარდა ნაციონალიზაცია.[2]

ასევე საქართველოში აკაკის ეკუთვნოდა მეტალურგიული ქარხანა, მან დააარსა ცნობილი ტრანსკავკასიური ბანკი და სატრანსპორტო კომპანია, ძირითადად სამთავრობო ტრანსპორტისათვის. ასევე იგი იყო უდიდესი ტყის დამმუშავებელი რუსეთში.

ამავე პერიოდში აკაკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამიერკავკასიის ფინანსური ორგანიზაციების საქმიანობაშიც. საარქივო დოკუმენტებიდან ცნობილია, რომ 1917 წლის 5 მარტს შედგა ა/კ-ის ბანკის დამფუძნებელი სხდომა, რომელსაც 233 აქციონერი დაესწრო და რომელმაც ბანკის

---

1 ეს დოკუმენტი ინახება საქართველოს დემოკრატიული მთავრობის არქივში, ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. აღნიშნული ციტატა ამოღებულია დოც.ა.მენთეშაშვილის საგაზეთო სტატიიდან: გაზეთი "თბილისი", 1990 წ. თებერვალი ავ.მენთეშაშვილი - "საქართველო უცხოეთის არქივებში";

2 მრეწველობის ნაციონალიზაცია საქართველოში (მეცნ.თანამშრომელთა კოლექტივი), 1953 წ., გვ.270; 295, 312.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის პირველ თავმჯდომარედ იასონ ლორთქიფანიძე აირჩია. ბანკის ძირითადი კაპიტალი დაარსების დღისათვის შეადგენდა 3.000.000 მანეთს, ხოლო საბჭოში სხვა ცნობილ ფინანსისტებთან ერთად აკაკი ხოშტარიაც შედიოდა.[1]

როგორც წერილის დასაწყისში მოყვანილ დოკუმენტშია აღნიშნული, აკაკი დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი საიმედო ეკონომიური მფარველია, რომელიც მაქსიმალურად უწევდა მთელი სამი წლის მანძილზე ქართველ ერს დახმარებას. დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის სხვა სერიოზულ პრობლემებთან ერთად, საჭირო იყო რაც შეიძლება მოკლე დროში სამხედრო საზღვაო ფლოტის შექმნა. დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა საქართველომ შეიძინა ორი "ლინკორის" ტიპის ჩამოწერილი გემი ამერიკაში და ორი ასეთივე გემი იტალიაში. ამერიკაში ნაყიდ გემებს დაარქვეს "პრეზიდენტი ჟორდანია" და "საქართველო", იტალიაში ნაყიდს - "თამარ მეფე" და "რუსთაველი". დიდი ღვაწლი ამ საქმეში მიუძღვის მილიონერ-მეცენატს აკაკი ხოშტარიას, რომელმაც თავისი სახსრებით შეიძინა ეს გემები და თვითონვე ჩამოიყვანა საქართველოში". ასე გადმოგვცემს ამ საინტერესო ფაქტს 1920 წლის 13 ნოემბრის (№ 120) გაზეთი "საქართველო".[2]

უდაოა, რომ აკაკი ხოშტარია დიდი ნიჭიერებით აღწევს მოკლე დროში საოცარ წარმატებებს - აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი მოღვაწეობა პოლიტიკურად რთულ პერიოდს დაემთხვა - პირველი მსოფლიო ომს, შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ წლებს, მის ანექსიას რუსეთის მიერ. იგი ყოველნაირად ცდილობდა და ფიქრობდა თუ როგორ და რა საშუალებებით დახმარებოდა ეკონომიურად დაუძლურებულ სამშობლოს, არ უნდოდა ურთიერთობის გამწვავება საბჭოთა რუსეთთან, რათა მისი მეშვეობით, საქართველოსათვის ეკონომიური დახმარება გაეწია. ოჯახური გადმოცემებით ვგებულობთ, რომ 20-იან წლებში, როცა საბჭოთა ქვეყანას

---

1 გიორგი მაჭავარიანი - იასონ ლორთქიფანიძე - "სახალხო განათლება", 1990 წ. 27 სექტემბერი

2 რემ დავიდოვი - საქართველოს სამხედრო საზღვაო ფლოტი, გაზეთი "ექსპრესი", 1994 წ. 4/II

აკლდა პური, აკაკის სთხოვეს დახმარება და მან დააარსა კომპანია - "ხოშტარია - საბჭოთა კავშირის ურთიერთობა" - იყო პირადად ლენინთან. თავისი ვალუტით ყიდულობდა ირანში პურს, აგზავნიდა ბაქოში და შემოტანილი პური ცნობილი იყო "ხოშტარიას პურის" სახელით. როგორც ირკვევა, ბოლშევიკებმა მათთვის დამახასიათებელი სივერაგით უპასუხეს, არ გადაუხადეს შეპირებული თანხა და რომ ეს ფაქტი საერთაშორისო მასშტაბით არ გახმაურებულიყო, იგი უნდა დაეჭირათ. აკაკიმ ბაქოში მიიღო ბუდუ მდივნის საიდუმლო დეპეშა, რათა ბაქოდან გაქცეულიყო საზღვარგარეთ.

ცნობილი ისტორიკოსი ზურაბ ავალიშვილი თავის წიგნში: "საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში", საინტერესო ფაქტს გადმოგვცემს აკაკისთან ერთად მატარებლით მგზავრობისა, სადაც სხვა მრავალი ქართველიც იმყოფებოდა. სადგურ არმავირში ისინი, როგორც "კორნილოვშჩინაში" ეჭვმიტანილები უნდა დაეხვრიტათ. აკაკიმ სასწრაფოდ გამობებნა გამოსავალი და არმავირში მცხოვრები ქართველი მეგობრის დახმარებით 50-60 კაცი დახვრეტას გადაარჩინა, რომლებმაც მშვიდობიანად განაგრძეს მგზავრობა.[1]

საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ამ წიგნში ზურაბ ავალიშვილი ასე ახასიათებს აკაკი ხოშტარიას: "ჩრდილო სპარსეთის კონცესიების ცნობილი მესაკუთრე, საქმის კაცი, დიდი მოთავე, "ამერიკული ყაიდის".

სპარსეთში ცხოვრების დროს, ასევე კონსტანტინეპოლშიც აკაკის თან წაყვანილი ჰყავდა ძმა გიორგი, მრავალრიცხოვანი ნათესავები, ახლობლები, რომლებსაც მისთვის დამახასიათებელ სითბოსა და მზრუნველობას არ აკლებდა. ამათგან აღსანიშნავია ალექსანდრე სხირტლაძე, რომელიც შემდგომში გახდა ირანის სამთო-მაღაროების მმართველი, ასევე იასონ ანდრიას ძე ჩაჩავა, რომელიც იმ 37 მეგრელთან ერთად ჩაიყვანა აკაკიმ

---

1 ზურაბ ავალიშვილი - საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, თბ., 1990 წ., გვ.31

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირანში და თავის სხვადასხვა ობიექტებზე ამუშავებდა; მისი მეუღლის მინადორა თურქიას ბიძაშვილი ვალოდია თურქია, რომელიც მოგვიანებით ირანის ჯანმრთელობის მინისტრი გახდა. მისი ორი შვილი ამჟამად კანადაში ცხოვრობს.[1]

თუმცა აკაკი ხოშტარია პოლიტიკური მოღვაწე არ ყოფილა, მაგრამ თავისი საქმიანობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ საქმიანობასთან. ახლო ურთიერთობაში იყო ბუდუ მდივანთან, ნაციონალ-უკლონისტების ჯგუფთან.

აი, რას მოგვითხრობს პარტიული არქივის დოკუმენტები: "... ნაციონალ-უკლონისტები კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ. ისინი ცდილობდნენ ბათუმში კერძო კაპიტალისტური ბანკის გახსნას. კაპიტალისტ აკაკი ხოშტარიას წინადადებით მასთან მოსალაპარაკებლად სპეციალურად გაგზავნეს კაცი სტამბოლში".[2]

ეს ფაქტი აღნიშნული აქვს ლავრენტი ბერიას:

"...ნაციონალ-უკლონისტები ენერგიულად ცდილობდნენ, რათა თბილისსა და ბათუმში გახსნილიყო კერძო ბანკი კაპიტალისტ-ავანტიურისტის აკაკი ხოშტარიას წინადადებით. ეს ბანკი უნდა ყოფილიყო ოტომანთა ბანკის განყოფილება, ფაქტიურად ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ფილიალი".[3]

ცნობილია, რომ გამოჩენილ პარტიულ მოღვაწეს, ნაციონალ-უკლონიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს ბუდუ მდივანს თავისი პოლიტიკური მოღვაწეობისას ხშირად უხდებოდა სპარსეთსა და თურქეთში ცხოვრება. 1917-1920 წლებში იგი სპარსეთშია, 1921-1922 წლებში ინიშნება რსფსრ-ის სრულუფლებიან წარმომადგენლად თურქეთში; იყო გენუისა და ლოზანის კონფერენციების მონაწილე ა/კ-დან. იგი სპარსეთში დაუახლოვდა აკაკის,

---

1 თინა კვაჭაძე - პირადი მოგონებები აკაკი ხოშტარიაზე.
2 პარტიული არქივი - თბილისი, ფ.14, საქ.5 ფურც. 24
3 ლ.ბერია - "ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ისტორიისათვის" გვ.217

ჰქონდა მასთან ახლო მეგობრული ურთიერთობა. ბუდუ მდივნის შვილიშვილის, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ბატონ - ვახტანგ მდივნის გადმოცემით, ბუდუ მდივანს გაუცვნია ერთმანეთისათვის ვლადიმერ ლენინი და აკაკი ხოშტარია. ა/კ-ის კომუნისტური ორგანიზაციის 2-ე ყრილობაზე ბუდუ მდივნისა და სერგო ორჯონიკიძის გამოსვლებში არაერთხელ დაისვა საკითხი ბათუმში ა.ხოშტარიას კერძო ბანკის გახსნის თაობაზე, რომლის შესახებაც ბუდუ მდივანი პირადად ესაუბრა თვით ლენინს, გადასცა, რომ ა.ხოშტარიას სურვილი აქვს თურქეთიდან საქართველოში გამოგზავნოს საქონელი, გახსნას კერძო ბანკი და ა.შ. "...ვინაიდან, ჩვენ არა გვაქვს ბანკი, რომელიც დაგვაკავშირებს დას. ევროპულ ბანკებთან, გთხოვთ მოგვცეთ საშუალება, დაგვეხმაროთ, გავხსნათ ბათუმში ან თბილისში კერძო ბანკი". ასეთი თხოვნით მიმართავდა ბუდუ მდივანი ლენინს. ლენინმა გადამწყვეტი პასუხი ვერ გასცა ბ.მდივანის ამ მოთხოვნას. "არ ვიცი" - ასე უპასუხა მან.

კერძო ბანკის გახსნის წინააღმდეგი გამოვიდა სერგო ორჯონიკიძე. ყრილობაზე თავის სიტყვაში იგი ამბობდა: "ეს არა მარტო უბრალო, კერძო ბანკია, არამედ ოტომანთა ბანკი. ინგლის-საფრანგეთის კაპიტალს სურს ამ გზით შემოაღწიოს ამიერკავკასიაში, მოძვრება იმიტომ რათა ჩაიგდოს ხელში ვაჭრობა და ამის შემდეგ სპარსეთის ვაჭრობასაც დაეპატრონოს. მდივანს - ეს არ ესმის".

ს.ორჯონიკიძის აზრით, ინგლის-საფრანგეთის კაპიტალს სურს ხელში ჩაიგდოს ბათუმში საწარმოთა ჯგუფები, ჩაუტაროს მათ დენაციონალიზაცია და გადასცეს ისინი საზოგადოება "სტანდარტ-ოილს".

(ს.ორჯონიკიძის გამოსვლა გვ.13)

ხოლო ბუდუ მდივანს მიაჩნია, რომ ეკონომიკური და სამეურნეო თვალსაზრისით აუცილებლობას წარმოადგენდა ბათუმში ა.ხოშტარიას კერძო ბანკის გახსნა. "ამბობენ, რომ მე სპარსეთიდან ვამოვიტანე რკინა და ახსენებენ ხოშტარიას გვარს, მართალიცაა. მე რკინა გამოვიტანე წითელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმიისათვის, შემდეგ მანქანის საბურავები ავიღე 11-ე არმიისათვის, ესეც საჭირო იყო".[1]

(ბუდუ მდივნის გამოსვლა. გვ.311)

ბუდუ მდივანსა და მის მომხრეებს მიაჩნდათ, რომ ეკონომიკური და სამეურნეო თვალსაზრისით აუცილებლობას წარმოადგენდა ბათუმში ხოშტარიას კერძო ბანკის გახსნა. სამწუხაროდ, ამ კამათში სერგო ორჯონიკიძის აზრმა გაიმარჯვა. ვინ იცის, ეკონომიკურად დაუძლურებულ მაშინდელ საქართველოს როგორ წაადგებოდა ა.ხოშტარიას კერძო ბანკის გახსნა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომელიც მოგვაწოდა ბატონმა ვახტანგ მდივანმა, კერძოდ; რომ 1922 წლის გენუის კონფერენციის საბჭოთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: გ.ჩიჩერინი, ვაროვსკი, ბ. მდივანი, საქართველოს კათალიკოსი ამბროსი ხელაია (რომელიც ვეღარ წავიდა) და სხვა. პარიზში ისინი აკაკიმ დააფინანსა და მთლიანად გამოაწყო.

აღსანიშნავია, რომ აკაკი საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი პიროვნება იყო.

როგორ აღვნიშნეთ, ირანში აკაკის ბევრი ქართველი ჰყავდათ თან წაყვანილი, სადაც მათ პატრონობდა და თავისთან ამუშავებდა - ერთ-ერთი მათგანია ირანული პოეზიის ცნობილი მთარგმნელი ამბაკო ჭელიძე, რომელიც მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა თეირანში და მოგვიანებით მსახურობდა თეირანის ბანკის მოხელედ. მან საინტერესო მოგონებები შემოგვინახა აკაკიზე - მემუარებში " წერილები სპარსეთიდან".

"ქ.ენზელში - ყველაზე ულამაზესი შენობა - აკაკი ხოშტარიას სახლია, ევროპიული სტილის, ტბის პირზე, რომელიც ფირუზის ფერით არის შეღებილი და გასცქერის მთელი ზღვის ბუნდოვან სივრცეს. ენზელის და რეშტის რაიონში ტყეს ბევრი ალაგი უჭირავს და ღირსებებისაც არის.

---

1 ა/კ-ის 2-ე ყრილობა, 1923 წლის 19-23 მარტი, პარტიული არქივი თბილისი, ფ.14, საქ.5, ფურც. 26;

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ იყო აკაკი ხოშტარიას კონცესიები, სადაც რამდენიმე ათასი კაცი მუშაობდა და ეხლაც აქვს, თუმცა იქ ჯერ ძველებური სიცოცხლე არ მოსჩანს"..[1]

"... 12 დეკემბერს, 1925 წ. დამფუძნებულმა კრებამ გადასცა რეზა ხანს შაჰის უზენაესი უფლება, კონსტიტუციის დაცვით და დაუმტკიცა იმის შვილს მემკვიდრეობა. პირველ დღეებში მას ბევრი ნადიმი გაუმართეს. მიილო ძვირფასი საჩუქრები. აკაკი ხოშტარიამაც მიართვა ქანდაკებები მარმარილოსი, რომელნიც ახლახან ჩამოიტანა იტალიიდან - შაჰმა დიდი მადლობა გადაუხადა: "მე ჯერ ისეთი სახლი არა მაქვს, რომ ამათი შესაფერისი იყოს. ავაშენებ ახალს, დავალაგებ და სიამოვნებით მოგიწვევთ პირველს ნადიმზეო"...[2]

დაუსრულებლად შეიძლება საუბარი აკაკის პიროვნებაზე, მის დიდ ეროვნულ საქმეებზე, პიროვნულ მიმზიდველობაზე, მის სტუმართმოყვარეობითა და სიკეთით სავსე ოჯახზე, სადაც თავს იყრიდნენ საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, პოლიტიკური ლიდერები, ფართო ინტელიგენცია. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მისი გამორჩეული ყურადღება და მზრუნველობა მასთან დახმარებისათვის მისული ადამიანების მიმართ. აი, როგორ იხსენებს აკაკის სოც-დემოკრატიული მთავრობის ცნობილი გენერალი - გიორგი მაზნიაშვილი თავის მოგონებებში:

"...ჩემი სურვილი იყო მოვხვედრილიყავი როგორმე სპარსეთში, რადგან ცნობილი ა.მ.ხოშტარია იმ დროს სპარსეთში იყო და იმედი მქონდა რომ ეს მეტისმეტად კეთილი კაცი რაიმე სამუშაოს მომცემდა და ამგვარად შიმშილით არ მოვკვდებოდი. ამ მიზნით მე მივმართე ა.ხოშტარიას წერილით - ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ციხეში ვიჯექი. ბევრი ცდისა და წვალების შემდეგ, როგორც იყო, მივიღე სპარსეთში წასვლის ნებართვა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიიდან. ჩემ იღბალზე სწორედ ამ დროს სპარსეთში მიემგზავრებოდა ხოშტარიას ერთ-ერთი კომპანიონი -

---

1 ამბაკო ჭელიძე - "წერილები სპარსეთიდან"; ჟურნალი "მნათობი", 1926 წ. № 1-4
2 ი ქ ვ ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ.პ.იოსელიანი. - ეს გარემოება ძალიან ხელსაყრელი იყო ჩემთვის მოგზაურობაში, რადგან, ჯერ ერთი, გზაში ნაკლები ხარჯი მომივიდოდა, და მეორე, მე გზა არ ვიცოდი, მაშინ როდესაც იოსელიანი დიდი ხანი ცხოვრობდა სპარსეთში და იცნობდა მას კარგად. 1923 წელს 15 აგვისტოს გამოვემშვიდობე ჩემს ოჯახობას და წავედი ბაქოში, სადაც მეორე დღესვე ჩავჯექი გემში და განვაგრძე ჩემი მგზავრობა. რა მომელოდა იქ, სპარსეთში, ნათლად წარმოდგენილი არ მქონდა - არავითარი სახსარი ცხოვრებისა მე არ მქონდა, ამიტომ ბედ-იღბალს მივანდე ჩემი თავი. ხოშტარიამ ჯერ კიდევ ტფილისში წერილზე მიპასუხა, რომ ის მზადაა მომცეს თავისთან რაიმე სამსახური, როგორც კი დაუბრუნებენ მას სპარსეთში ჩამორთმეულ უამრავ ქონებას, ჯერ-ჯერობით კი მოიცადე და ნუ ჩამოხვალო. მაგრამ ჩემი გარემოება ისე მოეწყო, რომ მოცდა არ შემეძლო, ამიტომ მივდიოდი ალალ-ბედზე - ის ფული, რომელიც მერგო საოჯახო ნივთების გაყიდვის შემდეგ და ის, რაც ჩემმა ახლობელმა მეგობრებმა მომიგროვეს, მეყო მხოლოდ ენზელამდის. პატივცემულ იოსელიანსაც არ ეყო საგზაო ფული. ორივენი იძულებულნი გავხდით ენზელიდან თეირანამდე წავსულიყავით ავტომობილით "ზედ დადებული ფასით", იმ ანგარიშით, რომ თეირანში ა.ხოშტარია გამოგვიხსნიდა.

ჩვენი იმედი გამართლდა, ა.ხოშტარიამ გადაიხადა ავტომობილის ფული. საზოგადოდ ა.ხოშტარიამ, მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთის. მთავრობამ ჩამოართვა რევვიზიციით როგორც მამულები ისე წარმოებანი და ამიტომ დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, უნუგეშოდ არ დამტოვა და რაც ხანი სპარსეთში დავრჩი, იხდიდა ჩემს ყოველგვარ ხარჯებს სასტუმროში, რისთვისაც ვუძღვნი მას ჩემს გულითად მადლობას - თავისთავად ცხადია, რომ ამგვარ მდგომარეობაში ჩაყენებულს ა.ხოშტარიას არ შეეძლო მოეცა ჩემთვის რაიმე სამსახური, ხოლო მის ხარჯზე ყოფნა, ცოტად თუ ბევრად დიდი ხანი, ჩემის მხრივ მოურიდებლობა იქნებოდა და ამას ვერ ვიკადრებდი"[1]...

---

1 გიორგი მაზნიაშვილი - მოგონებები, ბათუმი, 1990 წ., გვ.35

აი, როგორ იხსენებს აკაკის ქალბატონი ბაბო დადიანი, რომელიც მას პირადად იცნობდა: "აკაკისთან ახლო მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებდა მე და ჩემს მეუღლეს 20-იან წლებში. იგი ხშირად მოდიოდა ჩვენთან სტუმრად. ჯერ მსახურის ხელით ყვავილებსა და საჩუქრებს გვიგზავნიდა, ხოლო შემდეგ თვითონაც გვესტუმრებოდა. აკაკის დიდი სასახლე ჰქონდა კონსტანტინეპოლშიც, სადაც სტუმრობდნენ მისი მრავალრიცხოვანი ნათესავები. მან, ჩვენს ქორწილში მოგვართვა ირანიდან ჩამოტანილი ძვირფასი ხალიჩა..."[1]

ცალკე აღნიშვნის ღირსია ა.ხოშტარიას ქველმოქმედება და მეცენატობა. აკაკი ნამდვილ მამობრივ მზრუნველობას უწევდა ქართველ ახალგაზრდობას, ვისაც განათლების მიღების სურვილი ჰქონდა, მაგრამ საამისოდ ეკონომიკური საშუალება არ გააჩნდა. მის პირად ხარჯზე საზღვარგარეთ სწავლობდნენ ქართველი სტუდენტები, რომელთაგანაც ბევრი მოგვიანებით ცნობილი მეცნიერი გახდა: მაგ., სერგი დანელია, მათე მირიანაშვილი, მიხ.საბახტარაშვილი, ცნობილი ინჟინრები: ჟორჟიკა კეშელავა (გრ.აბაშიძის ცოლის ბიძა); კუჭი ალანია, ძმები მელიები და ბევრი სხვა.

ასევე აკაკიმ ნიკო ნიკოლაძის ინიციატივითა და თავისი ხარჯით გაიყვანა რკინიგზა ფოთსა და აბაშას შორის. მანვე საქართველოში ახლად შექმნილ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ბაქოდან გამოუგზავნა რვა ათასი მანეთი. (ექვსი ათასი საწევროდ და ორი ათასი შემოწირულობად), იგი საზოგადოებამ თავის მზრუნველ წევრად აირჩია.[2]

აკაკი ხშირად იმყოფებოდა ევროპაში - ჰქონდა საკუთარი აგარაკი ნიცაში. უკანასკნელად იგი სამშობლოში იყო 1921 წელს, მან ბაქოში საიდუმლოდ ინახულა ქალბატონი თინა კვაჭაძის (აკაკის მეუღლის დისშვილი

---

1 ბაბო დადიანი - მოგონებები;

2 რ.მეტრეველი - "საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება", თბილისი, 1982 წ., გვ.21-241

მშობლები სასაფლაოზე. აკაკის დიდ პატრიოტობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მან საფრანგეთში შეიძინა ჩვენი სასიქადულო მხატვრის ლადო გუდიაშვილისა და ცნობილი კუბისტის ანდრე ლოტის სურათები და საჩუქრად გადმოუგზავნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. აი, როგორ იგონებს ამის შესახებ ლადო გუდიაშვილი.

"...პირველსავე გამოფენაზე (ზამთრის სალონში) ჩემი მეორე სურათიც გაიყიდა. ეს იყო "სადღეგრძელო განთიადისას" - იგი შეიძინა აკაკი ხოშტარიამ. ერთ მშვენიერ დღეს პარიზის ერთ-ერთ ცნობილ ბულვარზე "რუ ბოიესიზე" მე, დავით კაკაბაძე და შალვა ქიქოძე კერძო გალერეებში მოწყობილ გამოფენებს ვათვალიერებდით. აქ ყოველ კვირას იცვლებოდა ექსპოზიციები. შევედით ერთ-ერთ გალერეაში, მადლენის მოედანზე, რომელსაც "გალერი როზენბერგი" ერქვა. ამ გალერეის პატრონი, ჰფენდა მხოლოდ ისეთ მხატვრებს, როგორც იყო პიკასო, მატისი, დერენი, ბრაკი... ამჯერად კუბისტური ნამუშევრების გამოფენა იყო...

უეცრად ქართული ლაპარაკი შემოგვესმა...ვხედავთ, დგას სამი კაცი და პიკასოს სურათებს უყურებს. დავაყურადეთ... ერთი აქედან... რა კარგია, საქართველოში კი არ იცნობენ, უსათუოდ შევიძინოთ. ჩვენ გაგვიკვირდა, ვინ უნდა ყოფილიყო, ისიც ქართველი, ასე ძვირადღირებული სურათის ყიდვას რომ აპირებდა...დავაკვირდით და აკაკი ხოშტარია ვიცანით. მეორეს არ მოსწონდა - რად გინდა, ამას ვინ შეხედავსო, ეუბნებოდა. ხოშტარია მერყეობდა, ამბობენ დიდი მხატვარია და იქნებ ჩვენ არ გვესმისო. ძალიან ავღელდით. მივედით და გამოველაპარაკეთ.

ჩვენ ყურს გიგდებდით და ძალიან გაგვიხარდა, პიკასოს ყიდვა რომ დააპირეთ, ახლა კი გვწყინს, რომ აღარ ყიდულობთო, ვუთხარით ისევ დაიწყეს კამათი, მაგრამ ჩვენ მათთვის ავტორიტეტები არ ვიყავით და არ იყიდა. იყიდა ანდრე ლოტი, ესეც ფრანგი კუბისტია. შემდეგ კი იგი ჩემს სურათთან ერთად საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გადმოუგზავნა"[1]

---

1 ლადო გუდიაშვილი - მოგონებები თბილისი, 1980 წ., გვ.24

საინტერესოა აკაკის პარიზული ცხოვრების დეტალები. მენშევიკური მთავრობის მიერ საფრანგეთში გადანახულ ქართულ ეროვნულ განძს იგი ყურადღებას არ აკლებდა. საჭიროების შემთხვევაში პირადი ხარჯებით ინახავდა, ზრუნავდა მისი შენარჩუნებისა და უსაფრთხოებისათვის.[1] ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი რევაზ გაბაშვილი თავის მემუარებში - "რაც მახსოვს", - იხსენიებს აკაკი ხოშტარიას:

"...ჯერ კიდევ სტამბოლში, "პარიზის კონფერენციამდე", ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის სხდომაზე ბატონმა გრ.ალშიბაიამ შემოიტანა პროექტი: "რადგან გურიამ დაღუპა საქართველო, ეხლა სამეგრელომ უნდა გადაარჩინოს იგი, განსაკუთრებით შექმნილ სამინისტროთი"-ო.

- როგორ?!

- აი, ბატონებო, სპირიდონ კედია უნდა გამოვიწეროთ და პრემიერ-მინისტრად ავირჩიოთ, ევგენი გეგეჭკორი და აკაკი ხოშტარია ბუნებრივად საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრები არიან ხომა, მე უნდა მქონდეს მანდატი სრულიად ევროპისათვის წარმომადგენლობისა"...[2]

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ აკაკი ახლოს იცნობდა დიდ ილია ჭავჭავაძეს - გაცნობა მომხდარა 1907 წელს იალტაში. აკაკის მეუღლემ მინადორამ ზეპირად წაიკითხა ლექსი "ტყემ მოისხა ფოთოლი..." ყურადღებით ნასიამოვნებმა ილიამ სახსოვრად თავისი ლექსები - წარწერით უსახსოვრა მათ.

საარქივო მასალებზე დაყრდნობითა და ოჯახური გადმოცემებით ცნობილია, რომ 1918 წელს თბილისელმა ქართველობამ სპარსეთში მყოფ აკაკის შეატყობინა, რომ საჯარო აუქციონით უნდა გაყიდულიყო ცნობილი ქართველი კაპიტალისტისა და საზოგადო მოღვაწის დავით სარაჯიშვილის საცხოვრებელი სახლი სერგიევის (ამჟამაჩაბლის) ქუჩაზე და სთხოვა შეეძინა იგი. ეროვნული ინტერესების შესაბამისად ქართველებს სურდათ, რომ

---

1 ბატონ მამია ბერიშვილის მოგონებები

2 რეზო გაბაშვილი - "რაც მახსოვს"; ქართული ემიგრანტული მწერლობა, ტ.3, თბილისი - 1990 წ., გვ.357

აღნიშნული შენობა, რომელიც თავისი ისტორიითა და არქიტექტურული მნიშვნელობით დიდ ფასეულობას წარმოადგენდა, დარჩენილიყო ქართველებისავე ხელში. მართლაც, იმავე წელს - როგორც იხსენებს ქ-ნი თინა კვაჭაძე, აკაკი ჩამოვიდა თბილისში და შეისყიდა ეს სახლი. ახალი, ძვირფასი ნივთებით გაწყობილ სასახლეში 1919 წელს მან დიდი ბანკეტი გადაიხადა, სადაც თავი მოუყარა მაშინდელ მოწინავე ქართულ საზოგადოებას. ამ ბანკეტს სასახლის წინ, ქუჩაში იცავდა ქალაქის ჟანდარმერიის უფროსი აპოლონ ურუშაძე.

მოგვიანებით, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსიის პერიოდში, აკაკიმ საბოლოოდ გადაწყვიტა ემიგრაციაში გამგზავრება და მან ეს სასახლე საჩუქრად დაუტოვა მთელ ქართველ ერს იქ დაცულ უძრავ-მოძრავ ქონებასთან და ძვირფას ანტიკვარულ ნივთებთან ერთად, რათა იქ მოეწყოთ ხელოვანთა სასახლე. ამ ფაქტთან დაკავშირებით არსებობს უშუალო, ცოცხალი მოწმე, რომელსაც კარგად ახსოვს ეს ყოველივე - ქ-ნი ბაბო დადიანი-მასხარაშვილისა, რომლის გადმოცემით, მაშინდელი ქართველი საზოგადოება აღფრთოვანებული იყო აკაკისთვის ჩვეული ამ დიდი პატრიოტული ქმედებით. ამავე ფაქტს ადასტურებს ბ-ნი აკაკი ძიძიგური, რომელსაც მწერალ დემნა შენგელაიასაგან ეს ყველაფერი თავად მოუსმენია.

არსებობს ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ხოშტარიასეული სახლის მწერალთა კავშირისათვის გადაცემას, რომელსაც გთავაზობთ:

"საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, ფონდი № 8, 1921 წ.

აღწ. № 1

საქართველოს რევკომის მომართვა ხოშტარიას სახლის საქართველოს მწერალთა კავშირისათვის გადაცემის შესახებ.

1921 წ., 28 თებერვალი

ქ.თბილისი, სასახლე, საქმე № 174

საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს

რევოლუციონური რევკომის დადგენილებით ხოშტარიას სახლი, რომელ-

იც იმყოფება სერგიევის ქუჩაზე, გადაცემულია საქართველოს მწერალთა კავშირისათვის, რათა იქ მოწყობილ იქნეს ხელოვანთა სასახლე. ეს ბინა განთავისუფლებულია რეკვიზიციისა, ჩასახლებისა და შეზღუდვისაგან.

თავმჯდომარე: (შალვა ელიავა)

მდივანი: (მ.მიქაძე)

ამ იურიდიულ დოკუმენტთან ერთად არსებობს აკაკის მიერ სასახლეში საჩუქრად დატოვებული უძვირფასესი ანტიკვარული ნივთების სია - ოფიციალური დოკუმენტის სახით. მოკლედ ჩამოვთვლით ნივთების ნაწილს ამ დოკუმენტიდან, რომ წარმოდგენა შეიქმნას თუ როგორი ღირებულების ფასეულობასთან გვაქვს საქმე. ესენია:

1. სპარსული ხალიჩები; 2. ბრინჯაოსა და ბრონზის ჭაღები; 3. სპილოს ძვლის მინიატურები; 4. ქალისა და მამაკაცის მრავალნაირი ფიგურები; 5. შანდლები; 6. მინისა და ფაიფურის ვაზები; 7. ცხოველებისა და ფრინველების ფაიფურის ნივთები; 8. ცხოველთა ფიტულები; 9. ანტიკვარული ავეჯი და სხვა მრავალი ნივთი. აქვე წარმოგიდგენთ ნივთების სიას, რომლებსაც განსაკუთრებული ისტორიული და ანტიკვარული ღირებულება აქვთ:

სურათები და ნივთები:

1. სპარსული მინიატურა (10 ცალი); 2. "ლეილი და მეჯნუნი" სპარსული ხელობის სურათი (1 ც.); 3. სპარსი შაჰების პორტრეტები (3 ც.) 4. მაილიკა სპარსული მხატვრობით, მრგვალი ხის მაგიდით (1 ც); 5. პორტრეტი " Duchess of Devonschire " სპილოს ძვალზედ შესრულებული მინიატურა, დახატული Gruse -ს მიერ, ბრინჯაოს ჩარჩოში; 6. უცნობი ქალის პორტრეტი, მინიატურა სპილოს ძვალზედ, ბრინჯაოს ჩარჩოში.

ფაიფურის ნივთები:

7. ქალის ფიგურა, XVIII ს-ის ტანსაცმელში (1 ც.) 8. მჯდომარე ქალი, სართავით ხელში (1 ც) 9. რუსის დედაკაცი (მარჯა- Гардмер, Москва);

10. მამაკაცის ფიგურა, XVII ს-ის ტანსაცმელში (1 ც.); 11. ახალგაზრდა ქალის ფიგურა XVIII ს-ის ტანსაცმელში (1 ც) 12. ჯგუფი - ერთი ქალი და ორი ვაჟი მაგიდასთან (1 ც); 13. პედლის კრონშტეინი (მარკა X) (1 ც); 14. რუსის ტიპი (მარკა - ფბ. Корнилових, СП) (1 ც) 15. მამაკაცი ბალლით და ორი სალამურით - (მარკა- ф б. Гарднер Москва) (1 ც); 16. ტყავის მკეთებელი ქალი; 17. იგივე ქალი სხვაგვარად გაფერადებული; 18. ორი პატარა ვაზა (ერთნაირი); 19. ვაზა თავისი ხუფით; 20. ფართე ვაზა თავისი ხუფით; 21. ორი პატარა ვაზა (მარკა - Emille, Galle, Nancy, Paris) (2 ც.) 22. ფერადი მინის ვაზები (7 ც.); 23. ცალხელიანი ვაზა (2 ც); 24. წვრილყელიანი ვაზა (1 ც); 26. ფართეყელიანი ვაზა (1 ც); 27. ვაზა მინის № 39831 (მარკა - Galle) (1 ც); 28. მწვანე ფერის ვაზა (მარკა БФ.); 29. ღვინის ფერი ვაზა (1 ც); 30. ფაიფურის ვაზა (1 ც); 31. ხილის ვაზა (მარკა - Dres-den, Germany) (1 ც); 32. მოწყალების და (მარკა) - Danmark B.C. A.) (1 ც); 33. ცხოველებისა და ფრინველთა ფაიფურის ფიგურები (39 ც) 34. ვაზა "კლუაზონე" (2 ც); ხის ნივთები: 35. კარადა "მარკეტრი" (1 ც).

ზემოთ ჩამოთვლილი ნივთების საინვენტარიზაციო ნუსხას ხელს აწერენ ფრიად ავტორიტეტული პირები: დიმიტრი შევარდნაძე, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, შალვა ამირანაშვილი, რომლებიც შედიოდნენ საქართველოს ეროვნული გალერეის სამხატვრო საბჭოში.

მოგვიანებით, მეუღლის - მინადორა თურქიას გარდაცვალების შემდეგ, 1924 წ. 24 დეკემბერს, უკვე საფრანგეთში მყოფმა ა.ხოშტარიამ თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს, რათა მისთვის დაებრუნებიათ მეუღლის პირადი ნივთები და ფოტოსურათები (არსებობს სია - დოკუმ.სახით). გთავაზობთ აღნიშნულ საარქივო დოკუმენტს:

მასალები აკაკი ხოშტარიას კუთვნილი ნივთების დაბრუნების შესახებ (განცხადება, მიმართვები, სია).

1924 წ. 27 დეკემბერი

1925 წ. 9 აპრილი

ტექსტი

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს

მოქალაქე აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიას

რწმუნებულის, ვლადიმერ თურქიასაგან

განცხადება

აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიამ დამავალა მომმართა თქვენთან თხოვნით, რომ თქვენ ნება დართოთ ქვემო ჩამოთვლილი ნივთები, რომელსაც არა აქვს არავითარი საერთო ხელოვნებასთან და რომელნიც დაკავშირებულია მისი გარდაცვალებული მეუღლის სახელთან, დაუბრუნდეს მას, რადგანაც ეს ნივთები საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის. ამავე თხოვნით მე მივმართე რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს.

დანართი. სია.

ვლ.თურქია

24 დეკემბერი, 1924 წ.

ქ.თბილისი

სიით მოთხოვნილი ნივთები აკაკი ხოშტარიას არ მიუღია, რასაც ადასტურებს, აგრეთვე, საარქივო დოკუმენტი:

ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს პრეზიდიუმს

ამასთანავე ვადგენთ სიას იმ ნივთებისას, რომელთა გადაცემაც განზრახული იყო მოქ.აკ.ხოშტარიაზე, მაგრამ ჯერ არ გადაგვიცია, რადგან არც თქვენგან მიგვიღია პასუხი, მიწერილობა (№ 32, თებერვლის 11 თარიღით) და ხოშტარიას წარმომადგენლებსაც არ მოუკითხავს დღემდე.

1925 წ. 9 აპრილი

აკაკის მეუღლე და ერთგული მეგობარი ქალბატონი მინადორა თურქია-ხოშტარია გარდაიცვალა 1924 წელს ინფარქტით. გარდაცვალების დღეს, მან შემთხვევით გაშალა კარტი და მოსვლია ყვავის ცხრიანი, რაც სიკვდილს ნიშნავს. მართლაც იმავე საღამოს ავტომანქანით მგზავრობისას იგი გარდაიცვალა. ქ-ნი მინადორა დაკრძალულია თეირანის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე, აკაკის მიერ ზღაპრულად აგებულ აკლდამაში. მისი ცხედარი 1932 წლამდე (აკაკის გარდაცვალებამდე) მუმიფიცირებული იყო ეგვიპტელი სპეციალისტების მიერ. აკლდამას გადაფარებული აქვს (სურათების მიხედვით) ფარჩა, რომელზედაც ირანელი ოსტატების ხელით ამოქარგულია ყვავის ცხრიანი, ოთახის კედლები მოჭედილია ძვირფასი ხატებით, სურათებით. ეს ადგილი წარმოადგენდა აკაკის მოსასვენებელ ადგილს. აღნიშნული აკლდამა და მთელი მართლმადიდებელთა სასაფლაო შესულია თეირანის ისტორიულ კულტურულ-სანახაობათა საექსკურსიო სიაში..თავისთავად იგი წარმოადგენს ქართული კულტურის ძეგლს თეირანში.

საინტერესოა ერთი ფაქტი. აკაკის მთელი ცხოვრების მანძილზე ჰყავდა პირადი მდივანი - ანიბალი, ა.ს.პუშკინის შთამომავალი, საოცრად განათლებული პიროვნება, აღმოსავლეთის ქვეყნების მცოდნე. მან იცოდა 14 ენა.

აკაკი გარდაიცვალა 1932 წელს პარიზში - 59 წლის ასაკში, დაკრძალულია პერ-ლაშეზის სასაფლაოზე. იგი წლების მანძილზე ავადმყოფობდა დიაბეტით, იმყოფებოდა პირადი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. ერთხელ, სადილობისას შემთხვევით გადასცდა ლუკმა, რომელმაც სასულე გაუკაწრა და სისხლისდენისაგან იგი გარდაიცვალა.

აკაკის და მინადორას საკუთარი შვილი არ ჰყოლიათ. მათ იშვილეს გოგონა - მუსინკა, რომელიც უკვე პარიზში გათხოვდა მიხეილ ბაგრატიონ-მუხრანელზე. მათ შეეძინათ ქალიშვილი თამარი. ამჟამად იგი მამასთან ერთად საფრანგეთში ცხოვრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ხოშტარიას სახელი დიდხანს შეგნებულად იდევნებოდა 30-იან წლებში და მოგვიანებითაც, როცა საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმი დამკვიდრდა და საყოველთაო განუკითხაობა სუფევდა, ადგილი ჰქონდა ბოლშევიკური ვანდალიზმის მთელ რიგ გამოვლინებებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. წითელი ტერორი არ ინდობდა არავის და არაფერს, ფიზიკურად ანადგურებდნენ წარჩინებული არისტოკრატიული, ისტორიული საგვარეულოების წარმომადგენლებს, სდევნიდნენ თავისუფალ, ორიგინალურ აზრს.

აკაკი ხოშტარიას შესახებ საარქივო მასალა, მისი საკომერციო მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტები ცოტა გაგვაჩნია და პრაქტიკულად ყველაფერი ეს შემდგომი კვლევის საგანია. მაგრამ, ისიც, რაც გვაქვს უკვე უდაოდ მნიშვნელოვანია ამ პიროვნების მასშტაბის და ხასიათის, ადამიანური ბუნების, მისი შინაგანი სამყაროს, თუნდაც ზოგადი მონახაზისათვის და იმისათვის, რომ ჩვენმა საზოგადოებამ გაიცნოს და გაიგოს, რომ მას ჰყავდა ასეთი დიდი მასშტაბის ფიგურა, რომლის ღვაწლი და საქმით ერთგულება სამშობლოსადმი უდაოდ დიდია, რაც მას XX საუკუნის პირველი მესამედის გამოჩენილ ქართველთა პლეადაში აყენებს.

აკაკი ხოშტარიას ცხოვრებაში, მოღვაწეობაში, წარმატებებში გარკვეულად ტრაგიკულ მომენტებშიც სარკესავით აისახა მთელი საქართველოს ბედი-დიდი აღმავლობა, წარმატებები, უაღრესად საინტერესო მოღვაწეობა და იმავ დროს ისტორიული კატაკლიზმებით გამოწვეული მსხვრევა - აკაკი ხოშტარიას მიერ დასახულ წამოწყებებს შეეძლოთ საქართველოსათვის კეთილდღეობის მოტანა, მაგრამ ისტორიული ბედის უკულმართობამ არ მისცა მას ამის საშუალება. შეიძლება ითქვას, რომ მისი ცხოვრება იყო დიდი წარმატებაც, აღიარებაც და ამასთან გადახვეწილი კაცის სიკვდილი ემიგრაციაში.

თ ა ვ ი III

ქართული საზოგადოებრივი აზროვნება ქვეყნის ეკონომიკური (სამრეწველო) განვითარების შესახებ

საქართველოს ისტორიის ახალი საფეხური რომელიც XIX ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება (მხედველობაში გვაქვს საგლეხო და სხვა ბურჟუაზიული რეფორმების შემდგომი პერიოდი), ყველა ცივილიზებულმა ერმა გაიარა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ეს ისტორიული გზა XVI ს-ში (ინგლისი, ნიდერლანდები, საფრანგეთი) მანუფაქტურული წარმოებით დაიწყო - აღმოსავლეთ ევროპაში და რუსეთში კი შედარებით გვიან XVII-XVIII სს-ში იწყება, რადგანაც აქ განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები ძლიერი იყო.

საქართველოს "ევროპეიზაცია" აუცილებელ მოთხოვნილებად იქცა. მიმდინარეობდა კაპიტალის დაგროვება ვაჭრობის სფეროში, იზრდებოდა სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობაც. ამ პროცესს აჩქარებდა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მაგალითი და დახმარება. გადმოჰქონდათ მრეწველობის და ვაჭრობის მზამზარეული ფორმები და საშუალებანი, ერთმანეთს ებრძოდა მეურნეობის სხვადასხვა ფორმა. ძველი ამუხრუჭებდა ახალს, მაგრამ ველარ სპობდა მას. ერთმანეთთან ჭიდილში ებმებოდნენ ძველი და ახალი სოციალური ფენები.

ქვეყანაში მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიკურმა ძვრებმა ბუნებრივია თავისი გამოძახილი და ასახვა ჰპოვეს საზოგადოებრივ აზროვნებაში. ახალი დროის მოვლენებმა გამოხატულება ჰპოვა კულტურის სხვადასხვა სფეროში, ეს იქნებოდა ლიტერატურა, ჟურნალისტიკა, პუბლიცისტიკა, თუ მთლიანად ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. საზოგადოების ერთი ნაწილი დადებითად განეწყო ახალი ცხოვრების მიმართ, თავისებურად ალლო აულო და სხვებსაც გარდაქმნისაკენ მოუწოდებდა, მეორე ნაწილისათვის ეს პროცესი უფრო მტკივნეული აღმოჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთგვარად უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინა მის მიმართ; ამ პერიოდის პრესის მასალებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების გაცნობისას ჩვენთვის ნათელია თუ საზოგადოების რომელი კლასის წარმომადგენელი რა დამოკიდებულებას ავლენს აღნიშნული საკითხისადმი.

მხატვრულ ლიტერატურაში, სადაც თითქმის რეალისტური სიზუსტითაა გადმოცემული იმ ეპოქის მაჯისცემა, იგრძნობა საჭიროება თუ ისტორიული გარდაუვალობა ახალი ცხოვრების შემოსვლისა, მაგრამ ქვეტექსტებში ალლოთი მაინც ჩანს ერთგვარი დამცინავი, აგდებული დამოკიდებულება ვაჭრობის აღებ-მიცემობის თუ მთლიანად ახალი წოდების - ბურჟუაზიის მიმართ. ბუნებრივია, ამ დამოკიდებულების ფესვები ღრმადაა გადგმული ქართულ მენტალიტეტში; ეს აიხსნება ერის ისტორიული ცხოვრების და მისი განვითარების თავისებურებით. ისტორიულად ქართველები მიწასთან დაკავშირებული ერია. საქართველოში ტრადიციულად ვაჭრობა საპატიო საქმედ არ ითვლებოდა. მხედრობა, რაინდობა, მეომრული სული ოდითგანვე ქართველში არსებობდა, როგორც მამაცობისა და ღირსების სიმბოლო, რაც განსაზღვრავდა კიდეც ქართველის ფსიქიკას. ამის მაჩვენებელია ისიც, რომ კლასიკური ნაწარმოებებიც, უკვდავი "ვეფხისტყაოსნიდან" მოკიდებული ხოტბას ასხამდნენ მამაცობას, მეომრულ ღირსებებს, სამშობლოსათვის თავგანწირვას და ტრადიციულად ვაჟკაცობაც ამით იზომებოდა. ამ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდებით. თუმცა ერთიც არის, რომ საქართველოში ისტორიულად ვაჭრობა-ხელოსნობას ხელისუფლების მხრიდან ყოველთვის დიდი ხელშეწყობა ჰქონდა. საქართველო მსოფლიო სავაჭრო - საქარავნო გზაჯვარედინზე მდებარეობდა, აქ გადიოდა ცნობილი აბრეშუმის გზა, ამიტომ ჩვენს მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ქვეყანაში თუ არ იქნებოდა სათანადო სიმაღლეზე დაყენებული ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, ხელოსნობა და არ იქნებოდა მათი განვითარების ხელშეწყობა, ისე ქვეყანა პროგრესულად ვერ განვითარდებოდა და ჩამორჩებოდა მსოფლიო ცივილიზაციას. ამის მაგალითად ისიც კმარა, რომ დავით აღმაშენებელი, აგრეთვე სხვა მეფენიც მშვიდობიანობის

დროს ხიდებს აშენებდნენ, აგებდნენ ქვაფენილებს ვაჭართა ქარავანთათვის.

პროგრესულად მოაზროვნე დიდგვაროვანნიც ხედავდნენ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების საჭიროებას. "ვაჭრობა თუ არ ვისწავლეთ, - წერდა ალექსანდრე ორბელიანი 1859 წელს, ულუკმო დავრჩებით ყველანი და ბოლოს იქნება კიდეც გავწყდეთ... კიდევ გვიყვარს მამაპაპური ქცევა, იმათებურად ხელგაშლით ცხოვრება, მაგრამ ეს კი არ ვიცით, რომ მაშინდელი დრო სხვა არის, მაშასადამე დროის მიხედვით უნდა ვიქცეოდეთ უთუოდ".[1]

XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისათვის ის იდეური უთანხმოება, რომელიც 70-80-იან წლებში ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში შეინიშნებოდა, დამთავრდა სამი მიმდინარეობის ჩამოყალიბებით. პირველი: "ივერიის" გარშემო შემოკრებილი მოღვაწეები ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით ცდილობდნენ ქართული სინამდვილის გარდაქმნას იმ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პლატფორმის საფუძველზე, რომლის ძირითადი პრინციპები მან ჯერ კიდევ 60-70-იან წლებში განსაზღვრა; მეორე: ნიკო ნიკოლაძის თანამოაზრენი 1894 წლიდან ჟურნალ "მოამბეში" მოღვაწეობდნენ. ისინი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პლატფორმაზე იდგნენ და ერთი წუთითაც არ ეპარებოდათ ეჭვი, რომ ქართველი ერის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა ბურჟუაზიული წყობილების დაუმკვიდრებლად შეუძლებელი იყო; მესამე - შედარებით ახალგაზრდა მწერლები და პუბლიცისტები, რომლებმაც გიორგი წერეთლის მიერ 1893 წელს დაარსებულ გაზეთ "კვალში" მოღვაწეობით აიდგეს ფეხი.

როცა თერგდალეულთა ერთიანი ბანაკი დაიშალა, გ.წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და ს.მესხი სათავეში ჩაუდგნენ ე.წ. "ახალი ახალგაზრდობის" ჯგუფს. ქართველი ინტელიგენციის ამ ჯგუფს გ.წერეთელი "მეორე დასს"

---

1 ალ.ორბელიანი, ჩვენი საქართველოს საზოგადოება, "ცისკარი", 1959 წ. № 10

უწოდებს, თვლის მას "პროგრესულ-დემოკრატიულ მიმართულებად" და ასე ახასიათებს: "საზოგადოებრივი წყობილების განვითარებაში ეს დასი ჰყოფდა, როგორც თავადაზნაურობის, ისე დაბალი ხალხის განკერძოებით ყოფნას. მან წამოაყენა ნამდვილი ერი, რომელშიაც თანასწორი უფლებით შედიოდნენ ყველა წოდებები, არც ერთისაკენ სასწარს არ ხრიდა, ხოლო დემოკრატიული, წოდებათა განურჩევლად, საზოგადო წესწყობილება მიაჩნდა ასეთი ერის შესაფერად".[1]

1876 წელს ქუთაისისა და თბილისის ბანკის თაობაზე, ერთი მხრივ, ნ.ნიკოლაძეს, გ.წერეთელს, ს.მესხსა და მეორე მხრივ, ილია ჭავჭავაძესა და ლოლობერიძეებს შორის მომხდარი დავა, ხოლო შემდეგ 1877 წელს ილიას მიერ ახალი გაზეთის - "ივერია" გამოცემა, თერგდალეულების საბოლოო განხეთქილების უშუალო მიზეზად იქცა. ამასთან დაკავშირებით, ს. მესხი ერთ კერძო წერილში წერდა, რომ თუმცა "ილია ჭავჭავაძის მოშორება...მიძნელდებოდა", მაგრამ "ჩვენს შუა ხომალდები დავწვით" და "ყველაფერი გათავდაო".[2]

განსხვავებით "მეორე დასისაგან", "პირველი დასი" და მისი მეთაური - ილია ჭავჭავაძე ისწრაფოდა მემამულური მეურნეობა შეეგუებინა კაპიტალიზმთან. ისინი ქადაგებდნენ წოდებათა შერიგებისა და მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ნიადაგზე ეროვნული აღორძინების იდეებს.

ილია ეკონომიკურ ცხოვრებაში, როგორც ერის არსებობის საფუძველში, გულისხმობს მიწათმოქმედებას, ვაჭრობას, საფაბრიკო-საქარხნო მოსაქმეობას და ა.შ. მაგრამ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას კი მიწათმოქმედებას ანიჭებს. კერძოდ, მიწა და გუთანი, ილიას აზრით, არის ერის ბურჯი, სიკეთე და სიმდიდრე: "რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით თქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა

---

1 გაზეთი "კვალი", 1897 წ., № 46

2 ლ.გორგილაძე - ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1958 წ., გვ.107

მაქვს სადღეისოდაც. და სამერმისოდაც სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საბირკველად, და ვერც ერთი ჯიშის, ერთი სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერად შეჰქმნის".[1]

ერის არსებობას განაპირობებს მიწა, მაგრამ ისტორია ცხადყოფს, რომ იქ, სადაც მიწა "ყოველს მკვიდრს მცხოვრებსა შემლებისამებრ მორიგებული" არა აქვს, ასეთი ერი ისპობა. რაც შეეხება ეკონომიკური ცხოვრების ისეთ დარგს, როგორიც ვაჭრობაა, ერის თვითმყოფადობისათვის მას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ვაჭრობა ერის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების გადამწყვეტი მნიშვნელობის მომენტი არ არის: "ვაჭრობა არც ერის სიმდიდრის გაძლიერებაში არის თვითმოქმედი მონაწილე, მაშასადამე, იგი, როგორც საპოლიტოკო, ისეც საეკონომიო საქმეებში, მუდამ სხვის მაყურებელია, სხვის პირში მაცქერალი".[2]

ამრიგად, ეკონომიკური წყობა გულისხმობს ერის სამეურნეო საქმიანობის მრავალ დარგს, მაგრამ მათ შორის ერის თვითმყოფადობისათვის მთავარია მიწა: "ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უვლია. თავდაპირველი შემოქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც. რადგანაც ისტორიას და ჩვენთა მამა-პაპათა მხნეობას და თავგანწირვას ეს ორი ძვირფასი განძი ჩვენთვის შეურჩენია, რადგანაც საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამ ორი საგნით სულდგმულობს".[3]

ეკონომიკური წყობა, რომლის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი მიწაა, ერის განმსაზღვრელი ნიშანია, მაგრამ მიწისაგან ი.ჭავჭავაძე ანსხვავებს ტერიტორიას, მის ერთიანობას, როგორც ერის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას. მიწა და გუთანი, ე.ი. მიწათმოქმედება თითოეული

---

1 ი.ჭავჭავაძე, თხზ., სრ.კრებული, ტ.5, გვ.175
2 ი ქ ვ ე, გვ.175
3 ი ქ ვ ე, გვ. 176

ერის "მეობის" განმსაზღვრელია, მაგრამ ტერიტორია, ანუ როგორც მას ი.ჭავჭავაძე უწოდებს, მამული უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა, რომელიც ერის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია მისი მტკიცებით.[1] ილიას აზრით, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოს ეკონომიკური წყობილების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ უძველესი დროიდან ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებული იყო არა "საკომლო", არამედ "სამსოფლო" საკუთრება მიწაზე. სახელმწიფო და ხალხი უფრთხილდებოდა და იცავდა მიწაზე "სამსოფლო" საკუთრებას. სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის არსებობის უკანასკნელ პერიოდში, როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო ცალკეულ სამთავროებად დაიშალა, "ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიური წყობისასა ყური აღარ ათხოვეს, გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორმასწორობა მიწის მფლობელობაში, არამცთუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც".[2]

ილია ჭავჭავაძის აზრით, საქართველოს რუსეთთან შეერთება ერთგვარად პროგრესულ მოვლენასაც წარმოადგენდა, რადგანაც იგი შეპირობებული იყო ახალი კანონზომიერებით. რუსეთთან შეერთებამ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალი, მანამდე უცნობი პერსპექტივები შექმნა. წინათ, რუსეთთან შეერთებამდე, როცა საქართველო მტერთაგან შევიწროებული და კარჩაკეტილი იყო, მეურნეობას ნატურალური ხასიათი ჰქონდა, ქართველი ხალხის მხოლოდ იმას ამზადებდა, რაც მას სჭირდებოდა, ქვეყნის მთელი ეკონომიკა საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა - ეკონომიკური ცხოვრებისათვის უცხო იყო სახალხო მეურნეობის პროდუქციის წარმოება და შექმნა ქვეყნის გარეთ გატანისათვის, გასაყიდად.

---

1 ვახ.აზაშმაძე - ქართული ინტელექტუალური ფენომენები - თსუ,თბ., 1992 წ., გვ.191

2 ი.ჭავჭავაძე, თხზ., სრ.კრებული, ტ.4, გვ.178

რუსეთთან შეერთების შემდეგ ეკონომიკურ ცხოვრებაში მწვავე ხასიათი მიიღო ნატურალური მეურნეობის კრიზისმა იმის გამო, რომ "რაც უწინ შინვე ჩვენში კეთდებოდა, ის ეხლა სასყიდელი გაგვიხდა, და ცალკე მით, რომ სახელმწიფო ხარჯი ფულით მოსაშორებელი შეგვექმნა".[1]

ილიას აზრით, ნატურალური მეურნეობის კრიზისმა აუცილებელი გახადა რუსეთის იმპერიაში საქართველოს ეკონომიკური განახლებისა და აღორძინების წინათ არარსებული შესაძლებლობების გონივრული გამოყენება.[2] რადგანაც საქართველო რუსეთის სახელმწიფოს ნაწილია, მისი ეკონომიკური განვითარების გზა რუსეთის ეკონომიკის თავისებურებებით უნდა განისაზღვროს და რუსეთის საერთო ბაზრის მოთხოვნილებანი გათვალისწინებული იყოს საქართველოს ბუნებრივ პირობებთან ერთად მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებისას. ი.ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ "ამ ეკონომიურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არა აქვს და იქიდამ ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერც - კი გაუსაღებია, - სახელმწიფო ინტერესის თვალითაც - კი მეტად სახეიროა თვით რუსეთისათვისაც, რომელიც თავისს ნამეტანის პურისათვის ბევრგან სხვაგან ეძებს ბაზარსა მაშინ, როდესაც ერთი ამისთანა ბაზარი, სხვათა შორის საქართველოც შეიქმნება, და თვით საქართველოც მატებაში შევა, რადგანაც ამ გზით აქაურ მკვიდრთა ქონება გაძლიერდება".[3]

ილია ჭავჭავაძე აღგენს რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში საქართველოს ეკონომიკური აღორძინების პროგრამას, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: კლიმატური და ბუნებრივი პირობების შესაბამისად მეურნეობის ისეთი დარგების (მევენახეობა, მეციტრუსეობა, მეაბრეშუმეობა, მეხილეობა, სამედიცინო ბალახები, ეთერ-ზეთოვანი კულტურები

---

1 ი.ჭავჭავაძე, თხზ., სრ.კრებული, ტ.7, გვ.6

2 ვახ.აბაშმაძე - ქართული ინტელექტუალური ფენომენები - თსუ, თბ., 1992 წ., გვ.225

3 ი.ჭავჭავაძე, თხზ., სრ.კრებული, ტ.7, გვ.65-66

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ა.შ.) განვითარება, რაც რუსეთსა და მეზობელ ქვეყნებში შეუძლებელია; ბუნებრივი და წიაღისეული სიმდიდრის (ხე-ტყე, შავი ქვა, ნავთობი) მოპოვება და გამოყენება; მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით სამომხმარებლო და საწარმოო საზოგადოებების შექმნა, გამოუყენებელი მიწების ათვისება ათვისება და მელიორაციის განვითარება, ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების ჩამოყალიბება; ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარება; ბაზრებისა და სამიმოსვლო გზების მოწყობა და მშენებლობა და ა.შ.

ეხება რა ამ ეკონომიკური პროგრამის მოთხოვნათა განხორციელების გზებს, ილია ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ "ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლის მეურნეობა. ჩვენებური ქალაქები ამ მხრით არავითარ შემწეობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანასა, რადგანაც იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისამე...რადგანაც დღეს გამრჯელი, მწარმოებელი და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედებაა ერთადერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და გამოკვებისა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინცა".[1]

ილია ჭავჭავაძე თვლის, რომ ზემოაღნიშნული ეკონომიკური ალორძინების პროგრამის განხორციელებას სოფლის მეურნეობაში (მიწათმოქმედებაში) სოციალურთან და იურიდიულთან ერთად ეკონომიკური მიზეზებიც.

ილია ჭავჭავაძე დარწმუნებული იყო, რომ ვერავითარი სახელმწიფო და ვერავითარი საზოგადოება, რაგინდ სამართლიანი პრინციპების მიხედვით არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი მოწყობილი, ვერ შესძლებდნენ წარმატებით განვითარებას და ვერ უზრუნველყოფდნენ ხალხის კეთილდღეობას, თუ ისინი მოკლებულნი იქნებოდნენ მტკიცე ეკონომიურ საფუძველს.

---

1 ი.ჭავჭავაძე, თხზ., სრ.კრებული, ტ.7, გვ.31-32;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამიტომ მას მიაჩნდა, რომ ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესებას, სხვადასხვა კლასებს შორის ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგებას, ქვეყნის სიმდიდრის ზრდას, დოვლათის სიუხვეს. უამისოდ კი, მისი აზრით, ზედმეტი იყო ლაპარაკი კულტურის რაიმე სერიოზულ განვითარებაზე, ხალხის სულიერი სიმდიდრის ამაღლებაზე.

მკვლევარი, პროკოფი რატიანი მის ნაშრომში - "ილია ჭავჭავაძე პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებანი", შემდეგს წერს ილიაზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი მომხრეა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარებისა და ხშირად ლაპარაკობს მის დიდ მნიშვნელობაზე, თავისი წვრილ-ბურჟუაზიულ-გლეხური თვალსაზრისის წყალობით, მან ვერ გაიგო და სათანადოდ ვერ შეაფასაო მანქანების, როგორც პროგრესის ფაქტორის როლი. ამით აიხსნება, რომ თავისი მომავალი იდეური საზოგადოების საფუძვლად მან მიიჩნია არა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა (მანქანური ინდუსტრია), არამედ რაციონალურად მოწყობილი მიწათმოქმედება, ე.ი. სოფლის მეურნეობა: "თავდაპირველი შემომქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა, - ამბობს იგი, - მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც...საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა ცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს".[1]

მკაფიოდ არის ილიას გულისტკივილი გამოხატული 1886 წელს დაწერილ ერთ-ერთ წერილში, რომელიც მიძღვნილია ჭიათურის მარგანეცის მადნის დამუშავების საკითხისადმი.

"შავი ქვის წარმოების საქმეს იგივე ემართება, - ამბობს ილია, - რაც ყველა ჩვენს საზოგადო საქმეს. ჩვენი უმთავრესი უბედურება საზოგადოდ ის არის, რომ ნამდვილის საქმიანობის უნარი არა გვაქვს. ვერც ერთ საქმეს ბოლოს ვერ გავატანთ ხოლმე. ჩვენ მხოლოდ ლაპარაკი გვიყვარს, სიტყვით ოქროს კოშკებს დავსდგამთ, მთებს შევსძრავთ და თუ კი საქმე საქმეზე მიდგა, მაშინვე ყველანი უკანვე ვსდგებით, ცალ-

---

1 პ.რატიანი - ილია ჭავჭავაძე პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებანი, თბ., 1965 წ.

-ცალკე ვიფანტებით, შორიდამ გულ-გრილად ვუცქერით საქმესა და თან კიდეც ვკვირობთ, რატომ ჩვენში არაფერი საქმე არ ხერხდებაო"[1].

1886-1887 წწ. ილიამ ნავთით ვაჭრობაზეც და წერა რამდენიმე წერილი, რომლებშიც სავსებით ნათლად და აშკარად მოჩანს დიდი ჰუმანისტისა და დემოკრატის სახე. "ნავთი, როგორც საუკეთესო სანათი ნივთიერება წარმატებაა ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში. მეტადრე ჩვენში, სადაც ნავთი ასე იაფია, საგრძნობელ შეღავათს მისცემს ხალხსა და რაც უფრო კიდევ მეტად გაიაფდება ნავთი, მით უფრო უკეთესი იქნება. ვისაც კი ხალხის ეკონომიური წარმატება აფიქრებს, რასაკვირველია, თანაუგრძნობს ამ მოვლენას - ნავთის მწარმოებელნი კი სულ სხვასა ფიქრობენ - ამათ მხოლოდ თავიანთი ჯიბე აწუხებთ, მხოლოდ თავიანთი ჯიბე აწუხებთ, მხოლოდ თავიანთი კერძო ინტერესები გაუხდიათ კერპად და ყოველ საზოგადო, საქვეყნო ინტერესებს მსხვერპლად სწირავენ მას. ნავთის მწარმოებელნი და მეტადრე დიდნი მწარმოებელნი სწორედ გაუმაძღარ სვავებად გარდაიქცევიან. რაც უფრო მეტ სიმდიდრეს იძენენ, მით უფრო მეტად ეხსნებათ შეძენის მადა".[2]

ქვეყანაში სარწყავი არხებისა და გზების გაყვანა, აღებ-მიცემობის გაძლიერება, ვაჭრობის მოწესრიგება და "სამართლიან" პრინციპებზე მისი მოწყობა ილიას მიაჩნდა ისევ ქართველი ხალხის საერთო ეკონომიური გაძლიერების, მთელი ერის აღორძინებისა და წინსვლის პირობად.

ვაჭრობის გაძლიერებასთან დაკავშირებით ილია მოითხოვს, რომ ჩვენში სახელოსნო სასწავლებლები გაიხსნას. მოჰყავს გერმანიის მაგალითი, სადაც XIX საუკუნეში საგრძნობლად განვითარდა ვაჭრობა-მრეწველობა. საჭიროდ მიაჩნია, რომ "სატექნიკო სწავლა-ცოდნა" გავრცელდეს და თვით ქართველებმა ისწავლონ რიგიანი ვაჭრობა. ილია აქაც სწავლა-

---

1 "ივერია" - 1886 წ. 16 ოქტომბერი
2 "ივერია" - 1865 წ. 6 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ცოდნაში ხედავს ვაჭრობის ალორძინების მთავარ საშუალებას[1]. ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პროგრამაში, ისევე როგორც მთლიანად მის მოძღვრებაში, იმხანად ძალზე პოპულარულმა სოციალისტურმა დოქტრინამ ასახვა ვერ ჰპოვა. თუმცა, იყო ცდები ილიას შემოქმედებაში ("აჩრდილი", 1871 წლის 23 მაისი") ეპოვათ სოციალისტური მოძღვრების გავლენა, მაგრამ უშედეგოდ. ილიას გამიჯვნა სოციალისტური დოქტრინისაგან სამოციანელთა (თერგდალეულთა) დასში, ანუ "პირველი დასში" განხეთქილების მიზეზად იქცა.[2]

ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა და სერგეი მესხმა ილია ჭავჭავაძეს ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალიზაცია, ანუ უფრო ზუსტად, სოციალისტური დოქტრინით შეზავება მოსთხოვეს. ილიამ იცოდა, თუ რას მოასწავებდა განხეთქილება თერგდალეულთა დასში ("პირველ დასში"), მაგრამ, ჩანს, "ილია კიდევ უფრო დიდ საშიშროებად მიიჩნევდა ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალიზაციას. სწორედ ამიტომ ილია ჭავჭავაძემ არ დასთმო და სამოციანელთა (თერგდალეულთა) დასს, ანუ "პირველ დასს" გამოეყვნენ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი. ასე იშვა ახალი დასი - "მეორე დასი". ილია ჭავჭავაძის უარყოფითი დამოკიდებულება სოციალისტური დოქტრინისადმი ორი უმთავრესი მიზეზით იყო გაპირობებული. პირველი: სოციალისტური დოქტრინა იყო არა მთელი ერის, არამედ მისი ნაწილის (საშუალო ფენის) იდეოლოგია და ამდენად იგი ხელს უშლიდა ერის გამთლიანებას, ერთიანი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას.

ილია აყენებს საერთო ნიადაგის იდეას. საერთო ნიადაგი მთელი ერის მოქმედებას გულისხმობს, ხოლო სოციალისტური დოქტრინა ერის მხოლოდ ერთი ნაწილის საშუალო ფენისას - ეს იყო ორი ურთიერთგამომრიცხავი მსოფლმხედველობა მეორე. სოციალისტური დოქტრინა, მისი ყველა

---

1 "ივერია", 1898 წ., 26 ნოემბერი

2 ვ.გურული, მ.ვაჩნაძე, ნაციონალ-სოციალიზმი საქართველოში, თბილისი, 1998 წ., გვ.6

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობა (ანარქიზმი, სოციალ-დემოკრატია და სხვ.) კოსმოპოლიტური იდეოლოგია იყო. სოციალისტური დოქტრინა უგულებელყოფდა ერის და სახელმწიფოს ინტერესებს. კოსმოპოლიტიზმი ილია ჭავჭავაძისათვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო, იგი უდიდეს საფრთხეს უქმნიდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას, საქართველოს მომავალს.

ამრიგად, სოციალისტური დოქტრინა, ისეთი როგორიც ის სინამდვილეში იყო, ან ისეთი როგორც ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელსა და სერგეი მესხს წარმოედგინათ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში, მიუღებელი იყო ილია ჭავჭავაძისათვის.

90-იან წლებში გაზ. "ივერია", როგორც სამართლიანადაა აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, კვლავ გამოკვეთილ დემოკრატიულ პოზიციაზე იდგა, ეროვნული პროგრესის სულისკვეთებით სუნთქავდა. ამ პერიოდშიც, ქართველი თერგდალეულების ბელადი ი.ჭავჭავაძე "ადრინდელი შეუპოვრობით განაგრძობდა ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლას და გაზ. "ივერიის" საქმიანობას წარმართავდა. ხოლო თვით "ივერია" მოთავე გაზეთი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში".[1]

"ივერიელთა" ძველი თაობის წარმომადგენლებმა კონსერვატიული პოზიცია დაიკავეს საქართველოში კაპიტალიზმისა და კლასთა ბრძოლის არსებობის საკითხის გამო ატეხილ კამათში.

როგორც აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს ცხოვრების პირობებმა მოითხოვა ახალი, პროგრესული მიმდინარეობის შექმნა, და 1866 წელს (ზოგიერთების მიხედვით 1869 წ.) გაზეთ "დროების" გამოცემასთან ერთად საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის ე.წ. "მეორე დასი" - ბურჟუაზიულ დემოკრატიული მიმართულება. მეორე დასი ქართულ ენაზე სცემდა გაზეთ "დროებას" (1866-1886), ჟურნალებს "მნათობს" (1869-1872) და "კრებულს" (1871-1873) და რუსულ ენაზე გაზეთ "ობზორს" (1878-1881).

---

1 ა.სურგულაძე, ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, თბ., 1980 წ., გვ.174

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის გამოცემებში წერეთელ-ნიკოლაძის ჯგუფი ქართველ საზოგადოებას აცნობს დასავლეთ ევროპის უტოპისტ-სოციალისტების (ფურიე, ოუენი, სენ-სიმონი, ლუი ბლანი) მოძღვრებას და ქადაგებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეებს. საერთოდ ეს ჯგუფი მხარს უჭერდა ქვეყნის სამრეწველო განვითარების გზას.

ნ.ნიკოლაძემ, გ.წერეთელი და ს.მესხი, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს თავისი სპეციფიკურობა და ორიგინალობა ახასიათებს, ერთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ დასს ეკუთვნიან, რითაც ძირითადად ერთიან სოციალურ-პოლიტიკურ მიმართულებაში თავისებურ განშტოებას ქმნიან.

მთელ რიგ საკითხებში მსოფლმხედველობის ერთიანობამ 80-იან წლებში შესაძლებელი გახადა ილია ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის დაახლოება და "ივერიისა" და "დროების" გაერთიანება.

აუცილებლად ვთვლით, ცალკე გამოვყოთ საზოგადოებელთა ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის (1843-1928) ღვაწლი და დამსახურება საქართველოში ბურჟუაზიის, კაპიტალისტური ურთიერთობების პროპაგანდის საქმეში. გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა ნიკო ნიკოლაძემ ქართულ პრესაში გამოაქვეყნა მთელი რიგი შესანიშნავი სტატიები ახალი თაობის როლისა და მოვალეობის შესახებ. მათში მკაცრად არის გაკრიტიკებული ძველი, ფეოდალური ცხოვრების მოძველებული თაობა და განსაზღვრულია ახალი თაობის ამოცანები ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში. ნიკო ნიკოლაძეს რეფორმის შემდეგდროინდელი საქართველოს ახალ გზად ამხანაგობა-ასოციაციების და სახალხო საკრედიტო დაწესებულებათა დახმარებით ვაჭრობა- მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარება ესახებოდა: საერთო შრომა, მეცნიერული ცოდნა და ხაზოგადოებრივ ბანკში აღებული სესხი უნდა მოხმარებოდა "ქარხნების გამართვას, პრესის გაუმჯობესებას, აგრეთვე მთელი ქვეყნის სიმდიდრეს, ძალას და ბედნიერებასო".[1]

---

1 ნ.ნიკოლაძე - "ჩვენი საზოგადო საქმეები", თხზ., 2, გვ:31

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო პიროვნებად წარმოგვიდგენს ნიკო ნიკოლაძეს უნიჭიერესი კრიტიკოსი და მწერალი გერონტი ქიქოძე თავის მოგონებებში:

"ნიკო ნიკოლაძე დიდად მნიშვნელოვანი და კოლორიტული ფიგურაა სამოციანი წლების მოღვაწეთა შორის - ესაა სრულიად ახალი ტიპის ინტელიგენტი, გამდიდრებული გლეხის შვილი, ევროპული დემოკრატიული აზროვნების ერთ-ერთი პირველი მედროშე საქართველოში - ნიკო ნიკოლაძე უდოგმატო კაცი იყო, ყველაზე თავისუფალი მოაზროვნე სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეებს შორის და თუ ამ დაუდგრომელ ადამიანში იყო რაიმე მტკიცედ დადგენილი, ეს იყო მისი სიყვარული ევროპის კულტურული და ზნეობრივი ატმოსფეროსი. თავისი მოღვაწეობის პერიოდში მან ხელი შეუწყო გონებათა ამოძრავებას, ახალი ქართველის ფსიქოლოგიის შემუშავებას. იგი სრულიად თავისუფალი იყო ისტორიული რომანტიზმისაგან - საქართველოს წარსულს ის, ცოტა არ იყოს კრიტიკულად აფასებდა, და თუ ამ დაუდგრომელ ადამიანში იყო რაიმე მტკიცედ დადგენილი, ეს იყო მისი სიყვარული ევროპის კულტურული და ზნეობრივი ატმოსფეროსი. ნიკო ნიკოლაძე მრეწველობას მთავარ ძალად სთვლიდა ჩვენი ჩამორჩენილი სამშობლოს გასათავისუფლებლად უცხო კაპიტალის ეკონომიური უღლისაგან".[1]

ნიკო ნიკოლაძემ, რომელიც შთამომავლობით ვაჭრის შვილი იყო, შეუპოვრად იცავდა ვაჭარ-მრეწველთა ინტერესებს, - იმ ვაჭარ-მრეწველებისა, რომლებიც, მისი აზრით, ერის ხელმძღვანელი ძალა უნდა გამხდარიყო. მისი აზრით, ბანკში დაგირავებული მამულები თავადაზნაურობისა აღრე თუ გვიან უთუოდ გაიყიდება, რაკი ასეა და ბანკი ვერ მოახერხებს დაიფაროს თავადაზნაურთა მამულები, საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ეს მამულები გადამთიელებს, უცხოელ ვაჭარ-მრეწველებს მაინც არ ჩაუვარდეს ხელში. მაშ, ვინ უნდა შეიძინოს მამულები, რომელიც თავადაზნაურობას ხელიდან ეცლება? ამ კითხვაზე ნ.ნიკოლაძე უპასუხებს: მწარმოებელმა, ე.ი. ბურჟუაზიამ და მოძღიერებულმა მესაკუთრე გლეხებმაო.

---

1 გერონტი ქიქოძე - მოგონებები, თბილისი, 1985, გვ.386

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დიმიტრი ყიფიანი ბანკის უმთავრეს დანიშნულებას იმაში ხედავდა, რომ თავადაზნაურობას დაეხმაროს და მამულები არ გაუყიდოსო, ნ.ნიკოლაძემ ბანკს ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა, მათთვის მამულების შენების საქმეში დახმარების აღმოჩენა დააკისრა. ნიკოლაძისეული საკითხის დაყენება რომ ჩვენთვის გასაგები გახდეს, უნდა გავიხსენოთ, რომ იმ დროს საქართველოში ბურჟუაზიულ-სამრეწველო განვითარების მთავარი ობიექტები, მისი მწვერვალები უცხოელი ვაჭრებისა და მრეწველების ხელში იყო, რომელთაც ცარიზმიც მხარს უჭერდა, ხოლო ეროვნული ბურჟუაზია ჯერ კიდევ ძალიან სუსტი იყო. ახლად ფეხადგმულ ქართველ ბურჟუაზიას არ შეეძლო თავისუფალი კონკურენცია გაეწია გაცილებით უფრო მდიდარ და ძლიერ უცხოელ ბურჟუაზიისათვის და ცხადია, რომ მას მფარველობა სჭირდებოდა. ნიკო ნიკოლაძეს სურდა, რომ ბანკი გამოეყენებია ნორჩი ქართველი ბურჟუაზიის დასახმარებლად.

რაკი ნ.ნიკოლაძემ ბანკს ამოცანად ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა დააკისრა, ცხადია, მას იმისათვისაც უნდა ეზრუნა, რომ ბანკის წესდებაში სათანადო ცვლილებები შეეტანა, კერძოდ კი, შეეცვალა ბანკის კრედიტის ხასიათი.

ილია ჭავჭავაძეს და მის თანამოაზრეებს მიაჩნდათ, რომ საქართველო უმთავრესად მიწათმოქმედი ქვეყანაა, ამიტომ ეკონომიური ცხოვრების წინსვლას ისინი მიწათმოქმედების განვითარებას და გაუმჯობესებას უკავშირებდნენ. სწორედ ამის შესაბამისად შეიმუშავეს მათ ბანკის წესდებაც, რომელსაც საფუძვლად დაუდვეს გრძელვადიანი სამიწათმოქმედო კრედიტის პრინციპი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ სურდათ და კიდევაც შექმნეს ე.წ. იპოთეკური ბანკები. ნ.ნიკოლაძის შეხედულებით კი, ისეთი კრედიტია საჭირო ჩვენთვის, რომელიც უფრო ადვილმისაწვდომია, უფრო მოკლევადიანია და რომელიც არ იქნება დაკავშირებული მაინცა და მაინც

---

1 გერონტი ქიქოძე - მოგონებები, თბილისი, 1985, გვ.386

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულის დაგირავებასთან. ამის შესაფერისად ჩვენი ბანკები ისე უნდა გადავაკეთოთ, რომ დავუახლოვოთ მოკლევადიან კრედიტის გამცემ სამრეწ-ველო ტიპის ბანკებს, რის შედეგად ისინი უფრო მობრავი იქნებიან და დააჩქარებენ სასესხო ოპერაციებს, რომლის მაგალითსაც წარმოადგენდა იმ დროის თბილისში არსებული ურთიერთნდობის საკრედიტო ბანკი.

ნ.ნიკოლაძე აგრეთვე, მოითხოვდა, რომ ბანკმა ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს ქართველ მწარმოებელს (ბურჟუაზიას, გლეხებს) მამულის შეძენაში. ამისათვის. მისი აზრით, საკმარისია, რომ ბანკმა სასესხო ოპერაციები შეაერთოს შესყიდვის ოპერაციებთან ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ბანკმა იზრუნოს არა მარტო სესხის გაიაფებაზე და სხვ., არამედ იმაზეც, რომ გაღატაკებული თავადაზნაურობის მამული "გადამთიელებს" არ ჩაუვარდეს ხელში და "ჩვენებს" დარჩეს. ამ გზით, ნ.ნიკოლაძის ფიქრით, შესაძლებელი იქნება, რომ მთელი მიწა თანდათან მწარმოებელს გადაეცეს, ე.ი. მოხდეს უმტკივნეულო აგრარული რეფორმა.[1]

ქვემოთ შევჩერდებით ბანკის დაარსების აუცილებლობაზე საქართველოში და მასთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობაზე, რომელიც წარმოიშვა ილიასა და ნიკო ნიკოლაძეს, აგრეთვე მათ თანამოაზრეთა შორისაც.

ილია ჭავჭავაძემ არ მიიღო ნ.ნიკოლაძის არც ერთი მოსაზრება და თავის ვრცელ წერილებში საფუძვლიანად დაარღვია მისი დებულებები. ვინც "მთელ ერზე და საერთო ეროვნულ ნიადაგზე ზრუნავდა, მისთვის ბურჟუაზიის, როგორც ცალკე კლასის ინტერესები არ არსებობდა. ამიტომ ნ.ნიკოლაძის დღეს, დახმარებოდა და მფარველობა გაეწია ახალგაზრდა ქართველი ბურჟუაზიისათვის, ილიამ დაუპირისპირა იგივე იარაღი, რომლითაც მან დ.ყიფიანი და ივ.მაჩაბელი დაამარცხა, სახელდობრ თავისუფალი ვაჭრობისა და ეკონომიური განვითარების პრინციპი, რომელსაც, ილიას აზრით, ვერავითარი ხელოვნური თოკები ვერ დააბამს და ვერ შეუცვლის

---

1 ნ.ნიკოლაძე - "რჩეული ნაწერები", ტ.II, გვ.363

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართულებას. დ.ყიფიანი და ივ.მაჩაბელი ბანკისაგან მოითხოვდა თავადაზნაურობის გადარჩენას ეკონომიური დაცემის, გაღატაკებისა და გაჩანაგებისაგან. მაგრამ ამის გაკეთება ბანკს არ შეეძლო. პირიქით, ბანკი ხელს უწყობდა და აჩქარებდა უსაქმური თავადაზნაურობის შემდგომ გაღატაკებას. ნ.ნიკოლაძე კი ბანკს აკისრებდა მთელი სოციალური კლასის - ახალგაზრდა ქართველი ბურჟუაზიის მისწრაფებათა დაკმაყოფილებას და ბურჟუაზიული აგრარული რეფორმის გატარებას. ცხადია, ბანკს არც ასეთი ამოცანის შესრულება შეეძლო და მაშასადამე, ნიკოლაძის მოთხოვნილებანიც განუხორციელებელი იყო.

ნიკო ნიკოლაძემ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და მეთაურმა, პირველმა შეაფასა ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ-ეკონომიკური შეხედულებანიც, კერძოდ, ვაჭრობის თავისუფლების ილიასებური გაგება, რომლის განხილვის შემდეგ ნიკოლაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პოლიტიკური მსოფლმხედველობით ილია ჭავჭავაძე "ეკუთვნის იმ (ბურჟუაზიულ) მიმართულებას, რომელიც ამ ოცდაათი წლის წინათ სუფევდა მეცნიერებაშიო" - ეს იყო 1876 წელს.[1]

ილიასადმი უსიტყვო დამორჩილებას 1892 წელს წინ აღუდგა ივანე მაჩაბელი, რომელიც ადრე მისი ერთ-ერთი თანამებრძოლი იყო. ჯერ კიდევ 1883 და 1886 წლებში ილია ჭავჭავაძეს დ.ყიფიანი შეეკამათა ბანკის საკითხებზე. 90-იან წლებში ივანე მაჩაბელმა განაგრძო ეს კამათი. მან გამოსცა მთელი წიგნი, რომელშიც უარყოფითად დახასიათა "ილიას საზოგადოებრივი მოღვაწეობა 80-90-იან წლებში. მაჩაბელი არ განიხილავდა ილიას შემოქმედებას და მსოფლმხედველობას, ეხებოდა მის მხოლოდ

---

1 მიხ.გაფრინდაშვილი - ეროვნული და კლასობრივი ილია ჭავჭავაძის განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ მსოფლმხედველობაში, - "მეცნიერება" - თბილისი, 1987 წ.,გვ.10

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბანკო პოლიტიკას, რომელიც მისი აზრით, ეწინააღმდეგებოდა მთელი ქართველი ხალხის და კერძოდ, გაღარიბებული წვრილი თავადაზნაურობის ინტერესებს. ცნობილი ბანკოვიადა გააფთრებული პოლემიკის ვითარებაში მიმდინარეობდა და იმ დროს ჭეშმარიტების დადგენა მართლაც ძნელი იყო".[1]

საერთოდ, ნიკო ნიკოლაძის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი საქართველოს ფარგლებს სცილდებოდა. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის იმ პერიოდის მოწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეებთან. იგი პირადად იცნობდა ნ.ჩერნიშევსკის და მჭიდრო ურთიერთობა და მეგობრობა ჰქონდა მასთან.

ნ.ნიკოლაძე ახლო იცნობდა ა.გერცენს და თანამშრომლობდა "კოლოკოლში". იგი პირადად იცნობდა კ.მარქსს, პ.ლაფარგს, მიმოწერა ჰქონდა ვ.ჰიუგოსა და ა.დოდესთან, მეგობრობდა გ.უსპენსკისა და პ.პლეშჩეევთან, ეკამათებოდა ლუი ბლანს და გ.ბაკუნინს, მოლაპარაკებას აწარმოებდა ნ. ჩერნიშევსკის განთავისუფლების შესახებ ვორონცოვ-დაშკოვსა და შუვალოვთან.[2]

ნ.ნიკოლაძე კარგად ამჩნევდა, რომ ბატონყმობა ეკონომიკურად და პოლიტიკურად გამოიფიტა, დასაღუპავადაა განწირული და მისი გადარჩენა არავითარ ძალას არ შეუძლია. საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოდის ახალი ძალა კაპიტალიზმის სახით, რომელსაც ტექნიკურ-ეკონომიკური მხრივ უპირატესობა აქვს ძველ საზოგადოებრივ წყობილებასთან შედარებით. იგი ამასთანავე ერთად ამჩნევდა, რომ ხალხის უმრავლესობისათვის არც კაპიტალისტური წყობილება არის ხელსაყრელი - იგი უტოპისტ-სოციალისტების კვალდაკვალ ამხელდა კაპიტალიზმის უარყოფით მხარეებს, ეწეოდა მის კრიტიკას, ამჩნევდა, რომ კაპიტალიზმი დაავადებულია "მომავლის ავადმყოფობით", მაგრამ იმავე დროს ქება-დიდებას ასხამდა განვითარების კაპიტალისტურ გზას.

---

1 მიხ.გაფრინდაშვილი - ეროვნული და კლასობრივი ილია ჭავჭავაძის განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ მსოფლმხედველობაში, - "მეცნიერება" - თბილისი, 1987 წ., გვ.21

2 გ.ზაქარიაძე - ნ.ნიკოლაძის ეკონომიკურ შეხედულებათა შესახებ, თბილისი - 1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ.ნიკოლაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებაში. მან მრავალი ნაშრომი უძღვნა ვაჭრობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ბანკების, ამერიკავკასიის რკინიგზის და სხვა საკითხებს.[1] მისი აზრით, კაპიტალიზმის საფეხურის გავლა სავალდებულოა ყველა ქვეყნისათვის. იგი პროპაგანდას ეწეოდა, რათა ქართველ ბურჟუაზიას შეედგინა ამხანაგობები და შეერთებული ძალით შესდგომოდნენ ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას. საქართველოში მართლაც დაიწყეს ამგვარი ამხანაგობების შედგენა, მაგრამ მას, ცხადია წარმატება არ ჰქონდა. თავის პუბლიკაციებში ნ.ნიკოლაძე არაერთგზის მიუთითებდა, რომ საქართველოს მდიდარი ბუნებრივი წიაღისეული სიმდიდრენი ჯეროვნად არ იყო გამოყენებული, ამიტომ ჩვენი მრეწველობის განვითარებაც მეტისმეტად ჩამორჩენილი იყო.

"საქართველოს ბუნება დიაღაც მდიდარია, მაგრამ მისი სიკეთე ჯერ ბევრით არაფრით დასტყობია არც ქართველობას, არც ქართველებს. როცა რომელიმე ხალხი თავის ქვეყნის ბუნებას გულხელდაკრეფილი შესცქერის, იმას ჩვენ დროში ის სირცხვილი და ზარალი მოელით, რომ უცხოეთის დაბეგრილ მონად ხდება. უცხოეთიდან ველის და ყიდულობს ის ყოველგვარ საქონელს და მოწყობილობას, იარაღს, საბოსელს, წამალს - მისი შრომისა და შემოსავლის უმეტესი ნაწილი უცხოეთს ამდიდრებს ამ ნაყიდი საქონლის სამაგიეროდ".[2]

ნ.ნიკოლაძე დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ამერიკავკასია, კერძოდ საქართველოც, წარმოადგენდა ნედლეულის ბაზას რუსეთის, ინგლისის საფრანგეთისა და გერმანიის კაპიტალისტებისათვის. იგი რჩევას აძლევდა ქართველებს, რომ თავიანთ ხელში აეღოთ ჩვენი ქვეყნის ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების საქმე.

---

1 პ.გუგუშვილი, "ნიკო ნიკოლაძე - ლაბადების ასი წლისთავისათვის", ("კომუნისტი", 1943, № 202)

2 ნ.ნიკოლაძე - შინაური მიმოხილვა, ჟურნ. "მოამბე" № VIII, 1894, გვ. 123

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ვაჭრობა ორის გზით ამრავლებს ქვეყნის ქონებას: ერთის მხრით ბაზარსა შოულობს მოსავლისათვის, და მით წარმოების ასპარეზს თანდათან აფართოებს და მეორეს მხრით - ადვილებს, აიაფებს ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ამიტომაც ხეირიანად წარმოებული ვაჭრობა, თუ შემოქმედი არა, მომქმედი ძალა მაინც არის ერის საეკონომიო ცხოვრებაში, და ისეთი ძალაა, ურომლისოდან წარმოება, შემომქმედი შრომა ქვეყნისა აუცილებლად შემცირდებოდა".[1]

ნ.ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ ვაჭრობა არ არის ქვეყნის განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა, არამედ მისი ბიძგის მიმცემია. იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ აუცილებელია ქვეყნის მრეწველობის გაძლიერება, რადგანაც უამისოდ ჩაკვდება როგორც საგარეო და საშინაო ვაჭრობა, ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ვაჭრობის საქმეში უნდა ჩაერიოს მთავრობა, იგი ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს მის წინ წაწევას. ბანკი სესხს უნდა აძლევდეს სავაჭრო დარგს და კონტროლს უწევდეს მის წესიერ წარმართვას.

მას შორეული მომავლისათვის შესაძლებლად მიაჩნდა ვაჭრობის კაპიტალისტური ბუნების გარდაქმნა. ნ.ნიკოლაძე ენერგიულად იცავდა ეროვნული მრეწველობის განვითარების აუცილებლობას. იგი კარგად ამჩნევდა, რომ საკუთარი ეროვნული მრეწველობის განვითარებას მრავალი დაბრკოლება ელობებოდა წინ. კაპიტალის უქონლობა, მწარმოებლური ძალების განვითარების დაბალი დონე, უცხოეთის კაპიტალის კონკურენცია და სხვ. იგი აღნიშნავდა, რომ ასეთი სახის დაბრკოლებანი ყოველდღიურად მატულობენ.

ეროვნული მრეწველობის განვითარების ინტერესებისათვის იგი მოითხოვდა მფარველობითი სისტემის შემოღებას და საბაჟოების დაარსებას, კონტროლის დაწესებას სავახშო კაპიტალზე, რომელიც აფერხებდა მრეწველობის განვითარებას. ნ.ნიკოლაძე იცავდა და ექომაგებოდა ეროვნული

---

1 ნ.ნიკოლაძე - "შინაური მიმოხილვა, - საქონლის გამბიდავი ვაჭრობა" ჟურნალი "მოამბე", № XII, 1894, გვ.126

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიის ინტერესებს. მას სურდა გადაერჩინა ის უცხოეთის კაპიტალის კონკურენციისაგან.[1]

საქართველოში ვაჭრობის განვითარებისათვის ნ.ნიკოლაძის აზრით, მთავარია მოწინავე საზოგადოებამ შეიცვალოს ვაჭრობაზე საუკუნეობით შემუშავებული არასწორი შეხედულებანი. იგი ასწავლის ახალ თაობას, რომ საჭიროა "ევროპულად ვითვალისწინებდეთ და ვეპყრობოდეთ ვაჭრობას, ღირსეულს პატივს ვცემდეთ მისს ღირსებას, ვცდილობდეთ მისის ნაკლის გასწორებას". მას ეროვნულ უბედურებად მიაჩნია უპატიოსნო პირების თავმოყვრა ვაჭრობაში, ასევე ხედავს, რომ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოში შეიმჩნეოდა საწარმოო ძალების სწრაფი განვითარება, რომელიც განპირობებული იყო საგლეხო რეფორმის გატარებითა და ფართო სარკინიგზო ქსელის განვითარებით. რკინიგზის ქსელის ზრდა-განვითარება ხელს უწყობდა რიგი სამრეწველო დარგების აღმოცენებასა და მათ შემდგომ გაფართოებას. აქედან გამომდინარე ნ.ნიკოლაძე თავის პუბლიკაციებში პირდაპირ მოუწოდებს ქართველ ხალხს ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობისაკენ, ამხანაგობებისა და მანუფაქტურული საწარმოების დაარსებისაკენ. აი რას წერს იგი წერილში - "რატომ ჩვენს მდგომარეობაზე არასა ვფიქრობთ"?

"...იმას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ჩვენ ჩვენი შეუძლებლობის, ანუ სწორედ ვსთქვათ, უთავბოლობის და დაუდევრობის გამოისობით ჩვენ ქვეყანაში ერთი ფაბრიკა არა გვაქვს, სადაც შეიძლებოდეს ჩვენი მიწის და შრომის მოსავალი სასარგებლოთ და სახმარათ გადაკეთდეს. ამის გამო მოგვდის, ვაჭრებს სხვაგან მიაქვთ მატყლი აგრეთვე აბრეშუმი, აგრეთვე ენდრო და სხვა მრავალი, რასაც ჩვენი ქვეყანა გვაძლევს, იქ სახმარათ აქცევს და უკან იმისი ნახევარიც აღარ გამოაქვს, მაგრამ ათი იმ ფასად. ეს კი, რასაკვირველია, ჩვენთვის მავნებელია პირველათ იმითი, რომ ჩვენ გაყიდულ ნივთს ჩვენზედვე ჰყიდიან ერთი ოცათ და უფრო მეტათ

---

1 ვ.ბახტაძე - ქართველ სამოციანელთა საზოგადოებრივ-ეკონომიურ შეხედულებათა ისტორიიდან, თბილისი, 1954 წ., გვ.48

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამით ფულებზე ცარიელებსა გვსომენ, მეორეთ იმითი, რომ ჩვენ მიწას აკლდება ის პოზიერება და მცენარეებისთვის აღმოსაცენებლად ნივთიერების სასარგებლო ნაწილები, რომლებიც სხვის ფაბრიკაში რჩება და იმათ მიწას აპატივებს. ამით, კიდევ ვიმეორებ, ჩვენ ჯიბესაც და მიწასაც აკლდება, თანდათან ვღარიბდებით...

ყველგან ესე მომხდარა, სადაც ფაბრიკები არა ყოფილა და სხვას დაახლოვებიხ: ვისაც მანუფაქტურული მუშაობა დაწესებული და გაჩაღებული არა აქვს, იმას სხვა მხარესთან ვაჭრობა, უეჭველად ბირს დასცემს და გააღარიბებს.

საზოგადოდ უფაბრიკო ქვეყანა, რომ ღარიბია, ამას ფაქტებიც გვიმტკიცებს. თუ ხალხს თავის ქვეყანაში მანუფაქტურული მუშაობა არა აქვს და ესენი სხვისაგან მოაქვს, მაშინ ღარიბია და თუ თავის ქვეყანაში გაიჩენს, მაშინ წინ წამოიწევს. მამული გვაქვს და კი ვერ მოგვიხმარებია ჩვენი გაუსჯელობის გამო".[1]

1871 წ. ნ.ნიკოლაძე აქვეყნებს სტატიას "დროებაში" - "მირზოევის მატყლის საქსოვი ფაბრიკა თბილისში და ამ ფაბრიკის მაგალითზე გვიჩვენებს მრეწველობის განვითარების მნიშვნელობას. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავიაის არის, რომ წინააღმდეგ ნაროდნიკებისა, იგი კარგად ხედავს, რომ ფაბრიკას "თვითონ მუშების გონების გახსნაზედაც დიდი გავლენა ექნება":

"ვინ არ იცის, რომ ევროპაში ფაბრიკისა და ქარხნის მუშები ყოველთვის უფრო დაწინაურებულნი არიან ჭკუა-გონების გახსნითა, ვინემ სოფლის ხალხი"[2] - დასძენს იგი.

ნ.ნიკოლაძეს მთელი გულისყურით მიმართული აქვს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების, მისი წიაღისეულის ქართველი ერის საკეთილ-

---

1 "დროება" - 1867 წ. № 9 (15) მარტი

2 "დროება" - ნ.ნიკოლაძე - "მირზოევის მატყლის საქსოვი ფაბრიკა თბილისში" - 1871 წ., № 48

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეოდ გამოყენებისაკენ მას გული სტკივა, რომ ეს სიმდიდრე არ არის ჩაყენებული ხალხის სამსახურში და გამოყენებულია "უცხოელთა საკეთილ-ლეოდ". თუმცა ნიკოლაძისათვის ცნობილია, რომ საქართველოს მრეწველობის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს ეროვნული ბურჟუაზია, რადგან მას საამისო კაპიტალი არ აქვს, ხოლო უცხოეთის კაპიტალი სიამოვნებით განავითარებს სხვა ქვეყნის საწარმოო ძალებს, თუ მათთვის მიღწეული იქნება მათი მთავარი მიზანი - ზედმეტი ღირებულების მიღება.[1]

აი რას წერს ნ.ნიკოლაძე თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით - "ზოგიერთი რამ ჩვენს ეკონომიურს მდგომარეობაზე" - "...რომლისამე ქვეყნის ბუნებითი სიმდიდრე სრულიად არ შეადგენს ამ ქვეყნის მცხოვრებლების სიმდიდრესა. ადამიანი ჩნდება ქვეყანაზე ყოველად ულონო არსებად და მთელ თავის სიცოცხლეს ბუნებასთან ბრძოლაში ატარებს, რომლითაც თავის საზრდო ლუკმაპურსა შოულობს. ადამიანის საქმე იმაში მდგომარეობს, რომ რიგიანად შეეძლოს იმ ბუნებითი ნივთების დამზადება და გამოყენება, რომელნიც იმის ცხოვრებისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ - რაც უფრო და უკეთ შეუძლია რომელსამე ქვეყანას თავის ბუნებივი საგნების გამოყენება, ისე ეს ქვეყანა უფრო მდიდარია. მაგრამ ხშირად მოხდება, რომ რომელიმე ქვეყანა ბუნებით ძალიან მდიდარია და მცხოვრებლები კი მეტად ღარიბნი არიან - ეს, რასაკვირველია, იმისაგან წარმოსდგება, რომ ამ ქვეყნის ხალხს ვერ მოუხერხებია თავის ბუნებრივი სიმდიდრის მოხმარება.

სწორედ ამისთანა მდგომარეობაში არის ამჟამად ჩვენი ქვეყანა: ყველა ამბობს, რომ ჩვენი კავკასიის მიწაში და მიწაზედ აუარებელი ბუნებითი სიმდიდრე არისო. მართლაც აქ ნახავთ ძლიერ სასარგებლო მცენარეებს: ყურძენს, ბამბას, სხვადასხვა საღებავ მცენარეებს და თვალგადუწვდენელ ტყეებსა. აქ ნახავთ თითასნაირ მადნებსა: ვერცხლს,

---

1 რ.კაკულია - ეკონომიური აზრის განვითარების ისტორიისათვის რევოლუციამდელ საქართველოში - თბილისი 1972 წ., გვ.76-82

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიას, თითბერს, მარილს, გოგირდს, ნავთს და სხვ. ერთის სიტყვით, ჩვენ ისეთი ბუნება გვარტყია გარშემო, რომ მდიდრული თუ არა, კმაყოფილი და უნაკლო ცხოვრება უნდა შეგვეძლოს. მაგრამ ნამდვილად კი რა შეუსაბამო სურათს ვხედავთ ჩვენა! ერთის მხრით, ეს ბუნების სიმდიდრე და მეორეს მხრით მცხოვრებლების სიღარიბე მოთავსებულან ერთმანეთში და აკვირვებენ კაცსა. მთელს კავკასიაში სიღარიბე სუფევს: მცხოვრებლებს მხოლოდ იმდენი ნამუშევარი მოჰყავთ, რამდენიც საჭიროა, რომ შიმშილით არ დაიხოცნონ. საცხოვრებელი საგნების მოსაპოვებლად მამა-პაპურს იარაღებს ხმარობენ სიღარიბე და უმეცრება - აი, ამ ორი სიტყვით გამოითქმის ახლანდელი ჩვენი მდგომარეობა. უმეტესმა ნაწილმა არ იცის თავის ქვეყნის ბუნებითი სიმდიდრის გამოყენება და რომელთაც იციან, იმათ შებლება არა აქვთ, რომ საქმეს მოჰკიდონ ხელი.

ამასთანავე ჩვენ არ გვყვანან ფულიანი კაცები და ვისაც კი აქვს თითო-ოროლა გროში, ის, რომლისამე წარმოების დაწყების მაგივრად, ამ თავის ფულს სხვაზე ასესხებს და მანეთზე იღებს სარგებელსა. მაგრამ, ამ უკანასკნელ დროს ჩვენშიაც მოჰკიდეს ხელი ამგვარ საქმეებსა. ყველაზე უფრო შესანიშნავი ამ შემთხვევაში უფრო მირზოევის - მატყლის საქსოვი ფაბრიკა არის. ამ ფაბრიკაში, როგორც ამბობენ ხუთას მუშამდინ არის თურმე, უმეტესი ნაწილი აქაური ახალგაზრდა ბიჭები, რომელნიც ძლიერ მალე გაწაფულან თურმე და მალეც შეუსწავლიან ყოველგვარი ფაბრიკის ხელობა".[1]

ნ.ნიკოლაძე კარგად ხედავდა, რომ საკუთარი ეროვნული მრეწველობის განვითარების წინ მრავალი დაბრკოლება ელობებოდა: კაპიტალის უქონლობა, მწარმოებლური ძალების განვითარების დაბალი დონე, უცხოეთის კაპიტალის მოძალება და სხვა. იგი აღნიშნავდა, რომ ასეთი დაბრკოლებანი ყოველდღიურად მატულობენ და ეროვნული მრეწველობის განვითარების

---

1 "დროება" - 1872 წ., № 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერესებისათვის მოითხოვდა მფარველობითი სისტემის შემოღებას და საბაჟოების დაარსებას, კონტროლის დაწესებას სავახშო კაპიტალზე, რომელიც აფერხებდა მრეწველობის განვითარებას. ნიკო ნიკოლაძე იცავდა მიზნად ისახავდა გადაერჩინა საქართველო უცხოეთის კაპიტალის კონკურენციისაგან. მისი ღრმა რწმენით, "ერისა და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონობისაგან, უმეცრებასა და უსწორმასწორობისაგან ყოველთვის და ყველგან მარტო ეს საშუალო დასი, ბურჟუაზია ყოფილა და იქნებაო".[1]

მაგრამ, ამასთან თავის ერთ წერილში ნ.ნიკოლაძე მიუთითებს: "ვინ არ იცის, რომ კაპიტალისტებს სამშობლო არ გააჩნია".[2] ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ავტორის კაპიტალისტური წარმოების წესის ბუნების ცოდნა. მართლაც, კაპიტალიზმმა წაშალა ეროვნული საზღვრები, ბურჟუაზია კაპიტალის დაბანდებისა და ბაზრის საჭიროებისათვის მზად არის პატრიოტიზმის გრძნობა ფეხქვეშ გათელოს. ნ.ნიკოლაძემ იცის, რომ რუსეთის ცარიზმი იბრძვის განაპირა მხარეებში, სახელდობრ ამიერკავკასიაში, თავისი კაპიტალის დაბანდებისათვის, რისთვისაც "პატრიოტიზმს" უკიჟინებს ბაქოს ნავთის ადგილობრივ მრეწველებს. მოითხოვს, რომ ისინი ებრძოლონ ინგლის-ამერიკის კაპიტალს რუსეთის კაპიტალისტების სასარგებლოდ. იგი მიუთითებდა, რომ საქართველო, ისე როგორც მთელი ამიერკავკასია, წარმოადგენდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სანედლეულო ბაზას, მისი წიაღისეული ავსებდა მათ ხაზინას; ხოლო ქართველი ხალხი შიმშილისაგან სულს ღაფავდა.[3]

საქართველოში ეროვნული მრეწველობის განსავითარებლად ნ.ნიკოლაძეს სურდა გაეტარებინა პროტექციონიზმის ეკონომიური პოლიტიკა. იგი

---

1 გაზეთი "მოამბე", 1894 წ., № 8

2 ნ.ნიკოლაძე; თხზ., ტ.6, გვ.112;

3 რ.კაკულია - ეკონომიური აზრის განვითარების ისტორისათვის რევოლუციამდელ საქართველოში - 1972 წ., გვ.84

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუთითებდა, რომ ის სახელმწიფო, რომელიც ადგება საკუთარი მეურნეობის განვითარების გზას, იყენებს ხოლმე მფარველობით პოლიტიკას. "ეს სისტემა იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ბაჟი ედება ყოველი იმ საქონლის შემოტანას უცხოეთიდან, რომელიც რუსეთში კეთდება.[1] იგი წინააღმდეგია, რომ ბათუმი გამოცხადებულ იქნას თავისუფალ ნავსადგურად, ანუ "პორტო ფრანკოდ"; როგორც მოითხოვს გაზეთი "დროება" და ს.მესხი. ნ.ნიკოლაძე განმარტავს, რომ საერთაშორისო სამართლის დებულებით "თავისუფალი ნავსადგური, ანუ პორტო ფრანკო ეწოდება ისეთ პორტს, სადაც ყველა სახელმწიფოს შეუძლია შეიტანოს ყოველგვარი საქონელი უბაჟოთ"[2]..

ამ დებულებიდან გამომდინარე, ბათუმის ნავსადგურის თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადება ხელს შეუწყობს ინგლისს დაიმორჩილოს ამიერკავკასიის ბაზრები და ამ გზით თავისი საქონელი გაასალოს სპარსეთსა და შუა აზიაში.[3]

თუ როგორი პატრიოტული პოზიციით უდგებოდა ნ.ნიკოლაძე საქართველოში უცხოელი მონოპოლისტების მოძალებას, ნათლად ჩანს მსოფლიოში ცნობილ ნავთობის მრეწველ ლუდვიგ ნობელთან გამართულ კამათშიც, რომელიც შეეხებოდა ტრანსკავკასიური ნავთობის მაგისტრალის მშენებლობის საკითხს. ნავთობის მაგისტრალი თავისთავად არ წარმოადგენდა ეკონომიკური თვალსაზრისით ზედმეტ ფუფუნებას (ქვეყნის პროგრესისა და ეკონომიური წინსვლისათვის), მაგრამ, როგორც ფაქტები ცხადყოფენ, სანავთობო მონოპოლიის ფირმა "ბრანობელი" და მისი "მეგობრები" დაინტერესებულნი იყვნენ მხოლოდ ამ გაყვანილობით და არ აინტერესებდათ სხვა რამ. ისინი საქართველოს მიიჩნევდნენ, როგორც "ღარიბ" და "ველურ" ქვეყანას, სადაც წარმოუდგენლად მიჩანდათ რაიმე საწარმოების მშენებლობაც კი.

---

1 "მოამბე", 1894, № 8, გვ.126

2 ნ.ნიკოლაძე, თხზ., ტ.6, გვ.41

3 რ.კაკულია - ეკონომიური აზრის განვითარების ისტორიისათვის რევოლუციამდელ საქართველოში - 1972 წ., გვ.84;

თბილისის გაზეთს "ცნობის ფურცელში" 1888 წ. ნ.ნიკოლაძემ მკაცრად გაილაშქრა ამის წინააღმდეგ, იგი წერდა, რომ ის წესები და მეთოდები, რომლებიც გაბატონებულია ამერიკულ (პენსილვანიის) სანავთობო მრეწველობაში, მთლიანად გადმოიტანა ლუდვიგ ემანუილის ძე ნობელმა, რომელიც მხოლოდ საკუთარი ჯიბის გამდიდრებისათვის ზრუნავსო.[1] მან ასევე, მკაცრად გაილაშქრა იმ ბარბაროსული მეთოდების მიმართ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ბაქოს ნავთობის ჭაბურღილების დამუშავებისას. ნობელს სურდა, რომ მთლიანად ხელში ჩაეგდო ბაქოს ნავთობის საქმე - მისი მოპოვება, დამუშავება და ტრანსპორტირება. ავტორი მკითხველს აფრთხილებს, რომ ნობელს სურს თავისი ექსპლუატატორული მიზნებისათვის ამიერკავკასიაში დაარსოს მონოპოლისტური ფირმა, როგორიცაა ამერიკული "სტანდარტ ოილი".

"ჩვენ არჩევანს თავისუფალ და პატიოსან კონკურენციას ვაძლევთ, რომელიც არ ექვემდებარება მონოპოლისტების უხეშ ძალას" - წერდა ნიკოლაძე.

შემდეგ ნ.ნიკოლაძე მიუთითებს, რომ სწორედ ლ.ნობელი უშლის ხელს ბათუმის პორტის კეთილმოწყობას; იგი ითვლება რუსეთის ფინანსთა სამინისტროში გავლენიან პირად, და დაინტერესებულია ერთ ხელში მოაქციოს მთელი რუსეთისა და ბაქოს ნავთი და სხვა მრავალი ნედლეულიც.

ბოლოს, წერილის ავტორი - მოუწოდებს მთელ ქართველ ხალხს გაილაშქრონ ამგვარი უცხოელი კაპიტალისტების წინააღმდეგ.[2]

ამავე პერიოდში ნ.ნიკოლაძე მოითხოვდა რუსეთის ცარიზმისაგან ბათუმის და შავიზღვისპირეთის პორტების რეკონსტრუქციას. ასევე საჭიროდ სცნო მან შავ ზღვაზე პირდაპირი სანაოსნო დამაკავშირებელი ფლოტის მშენებლობა, რომელიც ივლიდა ბათუმსა და სამხრეთ რუსეთის პორტებს

I Л.Ф.Чиковани. Нико Николадзе и демократическая печать Грузии 70-80-х годов XIX века. Тбилиси, 1989 г., с.172.

2 Там же, с.174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის. იგი მიუთითებდა ტრანსპორტირების სფეროში მონოპოლიის არსებობაზე და მოითხოვდა სახელმწიფოსაგან სარკინიგზო ხაზის ნაციონალიზაციას.

ნ.ნიკოლაძის აზრით, დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, საქართველოს ჯერ კაპიტალიზმის ხანა არ დადგომია და მის "ტანსა და ასაკს" კაპიტალისტური წყობილება შეეფერება. იგი შენატრის ეროვნული ბურჟუაზიის სწრაფ ზრდას.

ასე ცდილობდა ნ.ნიკოლაძე დაესაბუთებინა კაპიტალიზმის პროგრესულობა და ბურჟუაზიის ხელმძღვანელი როლი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში და გაემართლებია მისდამი მხარდაჭერის პოლიტიკა.

ვაჭრობის განსავითარებლად ბევრი აუცილებელი პირობა იყო საჭირო, რომელიც სწრაფ გადაწყვეტას მოითხოვდა. ვაჭრობის განვითარებას აბრკოლებდნენ: გზების მოუწყობლობა და ამ გზებზე მიმოსვლის საშიშროება, აგრეთვე "ადგილობრივ მცხოვრებთან შორის ვაჭრული თაოსნობისა და კომერციული ცოდნის არასაკმარისობა, კრედიტის მერყეობა და საერთოდ უნდობლობა და შურიანობა, რაც ვაჭართა წოდებაში არსებობს".[1] (ასე ხასიათდება 1843 წ. შედგენილ საქართველო-იმერეთის გუბერნიის ოფიციალურ მიმოხილვაში ა/კ-ში შინაგანი ვაჭრობის მდგომარეობა).

რუსეთის საგაჭრო-სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენელი, ა.მარკოვი, რომელმაც ადმინისტრაციის დავალებით სპეციალურად შეისწავლა ამიერკავკასიაში ვაჭრობის მდგომარეობა, რათა აქ ფესვგადგმული სომეხი ვაჭრებს შევიწროებისა და გამოდევნის გზით, კონკრეტული ლონისძიებები დაესახათ ა/კ-ის ბაზარზე რუსული საქონლისა და რუსული ვაჭრობის საბოლოოდ გაბატონებისათვის, აცხადებდა:

---

1 პ.გუგუშვილი - კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ა/კ-ში ტ.6; § 5 - ვაჭრობის პირობები, გვ.207;თბილისი 1941 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ქვეყნის მთელი მწარმოებლურობის ექსპლუატაციას ეწევიან სომხები, რომლებიც ხელში ჩაიგდეს თითქმის მთელი ვაჭრობა და რომლებიც ამჟამად მიისწრაფვიან მიისაკუთრონ აქ პოლიტიკური ბატონობაც, ცდილობენ რა დაიჭირონ ადმინისტრაციული პოსტები. სხვა (უცხო) ხალხთა შორის ცხოვრებამ შესცვალა სომეხი ვაჭრების ხასიათის ყველა თავისებურება - შეასუსტა მათი მხედრული სული, განავითარა მათში სიეშმაკე, დაგროვების (გამდიდრების) წადილი, რაც გადაიქცა უსაფრთხო არსებობის ერთადერთ საშუალებათ".[1] ასე აგროვებდნენ სომეხი ვაჭრები კაპიტალს.

ა/კ-ში სომეხ ვაჭრებს ხელში უჭირავთ ყველა მსხვილი კაპიტალი, რაც დაგროვილია თითქმის მხოლოდ საინტენდატოების იჯარების მეშვეობით. ჩამოსულ სომეხ ვაჭართათვის უცხოა ინტერესები ქვეყნისა, რომელშიც ისინი დასახლდნენ, მათთვის ფულია ყველაზე მთავარი და ფულის შემენისათვის ისინი თითქმის ყველა საშუალებას მიმართავენ... საგარეო ვაჭრობაში ჩაბმული სომეხი ხშირად თავს ვერ იკავებს და დაბალი ხარისხის საქონელს ურევს ძვირფას საქონელში და ამით მოთხოვნასა და ფასს უკარგავს მას (აღგილობრივ ნაწამს) საზღვარგარეთ.

ამავე დროს "შეადგენენ რა საქალაქო მოსახლეობის ძირითად ბირთვს და ხელში უპყრიათ რა მთელი ვაჭრობა, უფრო მეტსაც ვიტყვი, მხარის მთელი ეკონომიკური ბედი, სომხები გულმოდგინედ იცავენ თავიანთ პოზიციებს, ცდილობენ განიმტკიცონ არსებული მდგომარეობა ... სომეხი ვაჭრები მსახურობენ რა შუამავლებათ ა/კ-ში რუსული საქონლის გასაღებაში, შიგა რუსეთის ბაზრებში ცდილობენ შეისყიდონ დაბალი ხარისხის საქონელი, ოღონდ როგორმე იაფად იყიდონ და გრძელვადიანი კრედიტით.[2] ასე გრძელდება შემდეგაც.

ჩვენი ცხოვრების ისეთი ნიჭიერი დამკვირვებელი, როგორიც იყო გამოჩენილი პუბლიცისტი სერგეი მესხი, 1873 წ. გაზეთ "დროების" ფურცლ-

---

1 პ.გუგუშვილი - კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ა/კ-ში ტ.6; § 5 - ვაჭრობის პირობები, გვ.207; თბილისი, 1941 წ.

2 ი ქ ვ ე, გვ.

ლებზე წერდა: "თითქმის ყველა კავკასიის ქალაქში ვაჭრები მეფობენ - ყოველის უძრავი და მოძრავი ქონების პატრონები ისინი არიან. მაგრამ კავკასიის ქალაქთა შორის, როგორც ს.მესხი აღნიშნავს, სომეხი ვაჭრები გაბატონებულნი იყვნენ განსაკუთრებით თბილისში.

"...ჩვენი ქალაქის ვაჭრობა სამი თუ ოთხი კაცის ხელშია", წერდა იგი 1875 წ., ...ყველა სხვა ვაჭარი ამ სამ კაცზეა დამოკიდებული... უამათოთ ქალაქის ვაჭრობას ამჟამად ფეხის გადადგმაც არ შეუძლია...თუ ისინი შემოსწყრებიან და კრედიტს მოუსპობენ, წვრილი ვაჭრების მომეტებული ნაწილი ერთ წელიწადსაც ვერ გასძლებს... რას მიქვიან ბანკები! ნამდვილი ბანკები ესენი არიან და ეს ჩვენი "სავაჭრო და ურთიერთკრედიტის ბანკები" იმათვე ხელშია და როგორც უნდათ ისე ატრიალებენ, ყველა საქონლის ფასების აწევ-დაწევა, ჩვენი ბირჟის მდგომარეობა თითქმის მხოლოდ ამაზეა დამოკიდებული..."[1]

1874 წელს ს.მესხი გაზეთ "დროებაში" გამოქვეყნებულ სტატიაში: "ქალაქის ახალი გამგეობა", წერდა:

"ახლანდელი თბილისის კომერციულ ცხოვრებაში წამყვან როლს სომეხი ვაჭრები თამაშობენ; მაო ეკუთვნით უძრავ-მოძრავი ქონების დიდი ნაწილი. თითო-ოროლა იმერელს, ან მეგრელს თუ შეხვდებით სადმე, ისიც მოხელეთა და საზოგადოთ წვრილ ვაჭართა და მეპატრონეთა შორის, თორემ დანარჩენი ვაჭრობა და ავლა-დიდება ჩვენი ქალაქისა სულ სომხების ხელშია - "ერთი სიტყვით, სომხები კარგა მაგარი ბრჭყალებით ჩაჰფრენიან ქალაქსა, და ჯერჯერობით ჰფლობენ და განაგებენ ყველა იმის საქმეს"... ქალაქის 72 დეპუტატიდან "მხოლოდ სამი თუ ოთხი ქართველია..."[2]

გიორგი წერეთელი მისი მოღვაწეობის დასაწყისში ტიპიური სამოციანელი (თერგდალეული) იყო. მან მოგვიანებით განიცადა სოციალისტური დოქტ-

---

1 გაზეთი "დროება" - სერგეი მესხი; ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა"; 1875 წ.; № 24

2 გაზეთი "დროება" - სერგეი მესხი, - "ქალაქის ახალი გამგეობა"; 1874 წ., № 18;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რინის ძლიერი გავლენა. ცნობილია, რომ თერგდალეულები დიდი გულმოდგინებით აკვირდებოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ცხოვრებას - გამონაკლისი არც გიორგი წერეთელი ყოფილა. იგი კარგად ხედავდა იმ უფსკრულს, რაც რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარების გზებს შორის არსებობდა. მას ეწადა, რომ მისი სამშობლო დასავლეთ ევროპის განვითარების გზით წასულიყო. ისიც ცხადია, რომ ასეთ დიდ მოაზროვნეს, როგორც გიორგი წერეთელი იყო, უნდა სცოდნოდა საქართველოში დასავლეთ ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების გადმონერგვის ყველა სიძნელე - ყოველივე ეს თითქმის ოცნების სფეროს განეკუთვნებოდა: საქართველო რუსეთის იმპერიის კოლონია იყო და ქართველ ერს, სურდა თუ არ სურდა, რუსეთის ცხოვრებით უნდა ეცხოვრა. ალბათ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ცხოვრების შესწავლის პროცესში დაინტერესდა გიორგი წერეთელი სოციალისტური მოძღვრებით. თითქმის ოცი წელი (XIX საუკუნის 70-80-იანი წლები) მან იმაზე ფიქრს შეალია, თუ როგორ გადმოენერგა ქართულ ნიადაგზე სოციალისტური დოქტრინა.

სავარაუდოა, რომ გაზეთ "კვალის" დაარსების მომენტისათვის (1893 წ.) გიორგი წერეთელს პრობლემა პრინციპულად გადაჭრილი ჰქონდა. გარკვეული ის იყო, რომ ეგი მკვეთრად ემიჯნებოდა როგორც ილია ჭავჭავაძის, ისე ნიკო ნიკოლაძის მიმართულებებს.

გიორგი წერეთლის აზრით, ერთადერთი გზა, რომელსაც შეუძლია საქართველო შემოხიზნული ჩარჩ-ვაჭრებისაგან იხსნას, არის სომხური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ისევ ბურჟუაზიული საშუალებებით ბრძოლა, ე.ი. საქართველოს განვითარება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულებით ეროვნული კაპიტალის შექმნის საფუძველზე: სომხური ბურჟუაზიის მოსპობა არა თუ თავადაზნაურობას, არამედ ქართველ ბურჟუაზიასაც არ შეუძლია, სამაგიეროდ, ქართველ ბურჟუაზიას შეუძლია "საკუთარი შრომითა და თვითმოქმედებით" ეკონომიურად გაუთანასწორდეს "მოძმე" სომხურ ბურჟუაზიას, შეზღუდოს სომხური კაპიტალის განუსაზღვრელი ბატონობა და "მაშინ თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხებიც უფრო პატივისცემით, მორიდებით და ძმური სიყვარულით დაუწყებენ ქართველ ხალხს ცქერას", რადგან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ძლიერი მეზობლის დამეგობრება მხოლოდ საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების განმტკიცების გზით შეიძლება.

გიორგი წერეთელი ქართველი წვრილი ბურჟუაზიის სომხურ ბურჟუაზიასთან გათანასწორების და მორიგების იდეას რომ აყენებდა, ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ იგი ემხრობოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ა/კ-ის ხალხთა (მათ შორის ქართველთა და სომეხთა) გაერთიანებული ბრძოლის გზით - ა/კ-ის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის მოთხოვნას. იგი გამოსავალს საქართველოს ტექნიკურ-ეკონომიურ განვითარებაში ხედავდა, და მოითხოვდა უცხო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებას იმავე საშუალებებით, რომლებითაც, მისი თქმით, "ევროპის განათლებული ხალხები" ცდილობდნენ ჩამორჩენილი ხალხების გაძარცვას. "ფულის გაჩენა ჩვენში" კაპიტალიზმის განვითარებას მოასწავებდა, იგი ებრძოდა უცხოური კაპიტალის დამკვიდრებას საქართველოში. კაპიტალიზმს გ.წერეთელი უმთავრესად გლეხური მეურნეობის, წვრილი წარმოების, ხელოსნების, ქირაზე მომუშავე "მდაბიო ხალხის" "მომაკვდინებელ სენად თვლიდა". იგი მშრომელთა ახსნის ერთადერთ საშუალებად საქართველოს სამრეწველო განვითარებას მიიჩნევდა. ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური განვითარებისათვის ფული იყო საჭირო - ფულის შოვნის მთავარი წყარო მისი აზრით, ვაჭრობა უნდა გამხდარიყო. ერთ წერილში იგი წერდა: "მართალია, კაპიტალიზმმა უკვე მოჰხვია ჩვენს ხალხს თავისი ძლიერი ხელები, ბევრგვარად შესცვალა ჩვენი ეკონომიური, ზნეობრივი და გონებრივი ვითარება, მაგრამ - თუ ჯერ კიდევ ცოცხალნი ვართ, ეს იმას უნდა მივაწეროთ, რომ ჯერ კიდევ მარჯვედ ჩაგვიკიდნია ხელი ნატურალური მეურნეობისათვის".[1]

გ.წერეთელი "კვალის" ერთ-ერთ ნომერში საინტერესოდ და ანალიტიკური თხრობით გადმოგვცემს, რომ "საქართველოში მოქმედებენ სამი ხალხის

---

1 "კვალი", 1894 წ. № 14

წარმომადგენლები: სომხები, ევროპიელები და რუსები - სომხები ავტორს მიაჩნია შემოხიზნულ მოსახლეობად, ებრაელებისა და სომხების ვაჭრობა - მევახშეობას ნამდვილ აღებ-მიცემობასთან საერთო არაფერი აქვს. მოისპო ფეოდალიზმი და საქართველო დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას - კაპიტალიზმი ეს იგივე გაევროპელებაა...[1]

ავტორის დასკვნის: "სამი უცხო ტომის ეკონომიური მოღვაწეობის გარჩევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სომხები წარმოადგენენ მოვახშეებს, რომელთაც თავი გააქვთ მოტყუებით, კანონიერი უკანონობით; ამისათვის მათი მოქმედება კონსერვატიულია - ევროპიელნი მრეწველობას მისდევენ, ვაჭრობაში პატიოსნება შეაქვთ, ქვეყანა ევროპულ გზაზე გამოყავთ და მით პროგრესულ როლს თამაშობენ - რუსები კი ორივეს შუაშია - ის არც ჩარჩია, არც მრეწველი... საზოგადოდ მოხელე ჩინოვნიკია".[2]

გიორგი წერეთელი მოუწოდებს ქართველებს ჩაებან ახალი ცხოვრების ფერხულში - ფული შეიძინონ, ისწავლონ ვაჭრობა, მოაწყონ ფაბრიკა-ქარხნები, სამრეწველო და სამეურნეო ბანკები. "გაიგეთ ბატონებო, - წერდა იგი, - რომ ახლა აღებ-მიცემობის და მრეწველობის ხანაა - ვისაც უნდა თავისი არ დაკარგოს და ცარიელზე არ დარჩეს, თვითონ უნდა გაანძრიოს ხელი, მისდიოს დროის შესაფერ მოთხოვნილებას, შრომას, ვაჭრობას, წარმოებას, ყოველნაირ აღებ-მიცემობას, ამასთან მომჭირნეთ, ხელმოჭერილად უნდა იცხოვროს, ფული შეიძინოს".[3]

ასეთია "კვალის" პუბლიცისტის გ.წერეთლის შეხედულებანი საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებაზე და ამ ნიადაგზე ადგილ ხალხთა ეკონომიური განვითარებისა და მდგომარეობის შესახებ. აქ, რა თქმა უნდა, გარკვეულ კონცეფციასთან გვაქვს საქმე - ავტორი ალბათ ცდება, როცა სომეხ-ქართველთა შორის წინააღმდეგობას და ნაციონალურ მეტოქეობას

---

1 "კვალი" - 1898 წ., № 12, გვ.203
2 ი ქ ვ ე, № 14, გვ.232
3 ი ქ ვ ე, 1997 წ. № 19

მარტო სომხურ სავაჭრო კაპიტალში ხედავს. იგი განზე ტოვებს სომეხ მრეწველ კაპიტალისტებს, რომლებსაც 90-იან წლებში ხელში ეჭირათ თბილისის რიგი საწარმოებისა და ქალაქის გამგეობასაც დაეპატრონნენ. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წყარო და აქედან წარმომდგარი სომეხ-ქართველთა მეტოქეობა სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. მსხვილი სომხური კაპიტალი ბადებდა საქართველოში ანტისომხურ ნაციონალიზმს და სომხებში კი ანტიქართულ ნაციონალიზმს.

როგორც ცნობილია, სომხურმა ბურჟუაზიამ საქართველოს დედაქალაქში და აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში ფეხისმოკიდება დაიწყო. სომეხი მრეწველები ზედი-ზედ ხსნიდნენ კაპიტალისტური ხასიათის წარმოებებს, სომეხი ჩარჩ-ვაჭრები სოფლებში ინტენსიურ ვაჭრობას ეწეოდნენ, მევახშეობით ითბობდნენ ხელს და, გააჩნდათ რა თავისუფალი კაპიტალი, ზოგი გალარიბებული აზნაურის მამულსაც ეპატრონებოდნენ. სომხურ ბურჟუაზიასთან საკონკურენციო ბრძოლას ახლად ფეხადგმული ქართველი ბურჟუაზია ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა.[1]

რაც შეეხება საქართველოს კოლონიად ქცევის საკითხს, ამაზე "კვალის" უცნობი პუბლიცისტის მთელი მსჯელობა მხოლოდ ბურჟუაზიულ კონცეფციას გამოხატავს და ამ კონცეფციის წარმოდგენის ნიმუშია: "ევროპა ჩვენი "სისხლი სისხლითაგანი და ხორცი ხორცთაგანი" არის - გვარწმუნებს ავტორი - რატომ? ის ცვლის ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას, ხელიდან გვაცლის ჩვენს სიმდიდრეს და მსოფლიო ბაზარზე გააქვსო! იგი დაინტერესებულია ჩვენში გზების გაყვანით და საერთოდ ჩვენი კუთხეების კეთილმოწყობით.

გამოდის რომ, ევროპელი კაპიტალისტები, რომელთაც საზღვარგარეთ გაჰქონდათ ჩვენი მარგანეცი და სხვა სიმდიდრე, ჩვენი ერთგული ძმები ყოფილან, სრულიად უვნებელნი, ჩვენი მომჭირნახულნი! ვინ დაიჯერებს ამას? რა თქმა უნდა, გზების გაყვანა და წარმოების კეთილმოწყობა ისევ

---

1 აკაკი სურგულაძე - ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 1973 წ., გვ.357

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისევ კაპიტალისტების ინტერესებით, იყო გამოწვეული, რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე ამოექაჩათ ჩვენი ქვეყნიდან".[1]

ჯერ კიდევ 1890 წელს წერდა "ივერია", რომ ჭიათურის რკინიგზას მხოლოდ ის მიზანი აქვს, რომ უცხოელი რაც შეიძლება მოხერხებით მიუდგეს ჩვენს მადანს და თუ აქამდე საზარალოდ თვლიდა მის მოპოვებას, მხოლოდ გამზადებულ მადანს ყიდულობდა, ამიერიდან კიდევაც მოიპოვოს და კიდევაც გაყიდოს. ნუთუ "კვალმა" ვერ დაინახა, რომ უცხოელები, კერძოდ ევროპელები აქ ჩვენი ქვეყნის სიკეკლუცით კი არ იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ქართველებისათვის ძმურად გაეწოდებინათ ხელი, არამედ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის მითვისებით".

მართალია, კაპიტალისტური საწარმოების გამრავლებას და განვითარებას ობიექტურად მოყვებოდა ტექნიკური პროგრესი და საერთოდ სამოქალაქო ცხოვრების განვითარება, მაგრამ ევროპელი კაპიტალისტების მიერ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის დაუფლება მოასწავებდა ჩვენი ქვეყნის კოლონიად გადაქცევას.

1894 წლიდან გამომავალი ყოველთვიური ჟურნალი "მოამბე", რომელსაც რედაქტორობდა ა.ჭყონია, მოუწოდებდა ქართველობას რაც შეიძლება მეტად ჩაბმულიყო ის მრეწველობაში და აღებ-მიცემობაში, რაც შეიძლება ბევრი ფაბრიკა-ქარხანა გახსნილიყო, გაეყვანათ რკინიგზები, უნდა გამრავლებულიყო და გაზრდილიყო ქალაქები. ამავე დროს ჟურნალი ქადაგებდა სამეურნეო ცოდნის გავრცელების აუცილებლობას, სოფლის მეურნეობის რაციონალიზაციას, ადგილ-მამულის დამაგრებას ადგილობრივი მკვიდრის ხელში.

"მოამბე" გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ქართველ მემამულეებს მიწა-წყალი ხელიდან ეცლებოდა მათი ეკონომიური სიდუხჭირის გამო. ამრიგად, ის მემამულე თავადაზნაურობას ურჩევდა, ერთი მხრივ, ვაჭრობა-აღებმიცემობის და მრეწველობის სარბიელზე გამოსვლას, მეორე მხრივ,

---

1 "კვალი", 1895 წ., № 17

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ცოდნის დაუფლებას და ამ გზით მიწის საკუთრების მის ხელში დამაგრებას.

კამათი ივერიელ-მოამბელებსა და 900-იან წლებში აღმოცენებულ მესამე დასელებს შორის უმთავრესად საქართველოში კაპიტალიზმის არსებობის საკითხს შეეხო - "ივერიის" წამყვანი პუბლიცისტები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში კაპიტალიზმი არ არსებობსო, და თავიანთ სტატიებსა თუ წერილებში აღნიშნავდნენ ფაბრიკებისა და ქარხნების ასევე მანქანა-დანადგარების უქონლობას და ამით უარყოფდნენ ამ ფორმაციის არსებობასაც.

გაზეთ "კვალში" აქვეყნებდა თავის წერილებს ნოე ჟორდანია, სადაც განიხილავდა კაპიტალიზმის განვითარების საკითხებს, შეხედულებებს ბანკისა და თავადაზნაურობის საქმიანობის შესახებ. თავის წერილებში ნ. ჟორდანია ავითარებს იმ აზრს, რომ ქართველი ერის მომავალი მის გაევროპიელებაშია. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა პროგრესმა არ უნდა შელახოს ქართული ეროვნული ცნობიერება: "გაევროპიელება სწარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე - სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა, - აი, რა აწერია ახალ დროშაზე".[1] 900-იანი წლების ამ წერილებში ნოე ჟორდანია გადაჭრით უარყოფს კოსმოპოლიტიზმს და ყოველგვარი პროგრესი, მათ შორის სოციალურიც, მას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაჩნია საჭიროდ და შესაძლებლად, თუ შენარჩუნებული იქნება "ქართული ნიადაგი", "საქართველო" და "ქართველობა". "კვალის" შემდგომი პერიოდის, 1898 წლიდან გამოქვეყნებულ ნ.ჟორდანიას ნაწერებში თითქმის ალარ შეიმჩნევა ეროვნულმა, მკვეთრადაა გამოვლენილი კოსმოპოლიტური აზროვნება.

"კვალი" ესარჩლება ბურჟუაზიას, რომლის სუსტი და ფეხმოუმაგრებელია, თუმცა კი გამოიჩინა თავისი ძალა და მიისწრაფის იქითკენ, რომ თავადაზნაურობა, ე.ი. ფეოდალიზმი გაანადგურος და მის ნანგრევებზე თვითონ გამაგრდეს.

---

1 ნოე ჟორდანია, თხზულება ტ.I, თბილისი, 1920, გვ.1-72

"კვალის" პუბლიცისტი საქართველოს უსახავს პერსპექტივებს. ან საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია უნდა გათამაშდეს აქ, რომ ბურჟუაზიამ გაიმარჯვოს, ან ინგლისის მაგალითისამებრ, მემამულეობა უნდა შეეზარდოს ბურჟუაზიას!"[1] დასკვნის სახით შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ, რომ კვალელები არ იზიარებდნენ არც "ივერიის" და არც "მოამბის" მიმართულებას. მართალია, "კვალს" მიაჩნდა, რომ "მოამბეს", "ივერიასთან" შედარებით პროგრესული პოზიცია ეკავა, მაგრამ მაინც არც ილია ჭავჭავაძისეულ კლასთა შერიგებისა და წოდებათა თანამშრომლობის იდეას იზიარებდა და არც ნიკო ნიკოლაძის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ შეხედულებებს. თუ "ივერიის" (ილია ჭავჭავაძის) და "მოამბის" (ნიკო ნიკოლაძის) მიმართულება გარკვეული იყო, "კვალს" დაარსების მომენტისათვის (1893 წ.) თავისი მიმართულება საბოლოოდ გამოკვეთილი არ ჰქონია. როგორც აღვნიშნეთ, მის მიმართულებაში ცხადი მხოლოდ ის იყო, რომ გიორგი წერეთელს პრინციპულად მიუღებლად მიაჩნდა როგორც ილია ჭავჭავაძის, ისე ნიკო ნიკოლაძის შეხედულებანი.[2] "კვალი" საკუთარი, განსაკუთრებული მიმართულების ძიებაში იყო. უნდა აღინიშნოს, რომ "კვალი" თავისი მიმართულების განსაზღვრას კარგა ხანს მოუნდა. 1893 წლიდან 1897 წლის ბოლომდე, ე.ი. მთელი ხუთი წლის მანძილზე მან გამოკვეთილი, დასაბუთებული პლატფორმა ვერ შეიმუშავა, თუმცა გიორგი წერეთელს ცდა არ დაუკლია. ამ მხრივ ყველაზე ღირსშესანიშნავი, რაც "კვალმა" გააკეთა, ის იყო, რომ 1894 წელს სოციალ-დემოკრატიული იდეების გავლენის ქვეშ მყოფ ახალგაზრდობას (ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ვლ.დარჩიაშვილი, ნიკ. ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი და სხვები) ფართოდ გაულო კარი და ყოველნაირად შეუწყო ხელი მათ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას.[3]

"კვალი" ბურჟუაზიულ წყობილებას უწევდა პოპულარიზაციას, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოცია-

---

1 ა.კიკვიძე - გაზეთი "კვალი" (1893-1904 წწ.), თბილისი - 1969 წ., გვ.58
2 ვახტანგ გურული - "ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან", ჟურნალი "პოლიტიკა", 1994 წ. 4-5, გვ.16
3 ი ქ ვ ე, გვ.17

ლური სისტემისადმი სიმპათიას არ მალავდა, საქართველოს ხვალინდელ დღეს გაევროპიელებაში ხედავდა. "კვალისათვის" კლასთა ბრძოლა არ იყო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გზა, მას ჯერ კიდევ აინტერესებდა, "ქართველი ერის", "მთელი ქართველი ხალხის" ბედი. "კვალის" პლატფორმა 1898-1904 წწ. დაახლოებით ასე შეიძლება განისაზღვროს:

1) "კვალი" აუცილებლად მიიჩნევდა იმხანად რუსეთსა და საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის შეცვლას ბურჟუაზიული წყობილებით. ეს აშკარად იგრძნობა ნოე ჟორდანიას, ვლადიმერ დარჩიაშვილის, დიომიდე თოფურიძის, ალექსანდრე წულუკიძისა და სხვათა პუბლიკაციებში.

2) "კვალი" ზედმიწევნით სწორად აფასებდა ბურჟუაზიული საზოგადოებისა და ბურჟუაზიის პროგრესულ როლს ერის ცხოვრებაში. ამ მხრივ საყურადღებოა ნოე ჟორდანიას, ვლ.დარჩიაშვილის, ალ.წულუკიძის პუბლიკაციები. ნოე ჟორდანია წერს: "ბურჟუაზიის ინტერესია, რაც შეიძლება მეტი საქონელი გაასალოს და მეტი მოიგოს, ამისათვის აუცილებელია დიდი ბაზარი როგორც შინ, ისე გარეთ, ბრძოლა ბაზრისათვის! - აი, რა დააწერა მან თავის დროშაზე. რაც უფრო დიდია მისი ბაზარი, მით უფრო ვრცელია ყიდვა-გაყიდვა. აქედან იშვა ბურჟუაზიის მიდრეკილება სამშობლოს გაფართოებისა და განვითარებისაკენ. მეორე მხრივ, რაც უფრო ძლიერია მისი სამშობლო და მისი ეროვნული მთავრობა, მით უფრო დაცულია ის შინაური ძარცვა-გლეჯისაგან და გარეშე მოცილეთაგან. მას მსოფლიო ბაზარზე ძლიერი მფარველი ჰყავს".

3) "კვალი" საკუთარი სწორად ავითარებდა იმ აზრს, რომ თუ არ წარმოიშვა ქართული ბურჟუაზიის ძლიერი კლასი, თუ არ შეიზლუდა უცხოტომელ კაპიტალისტთა პარპაში, ისე საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესი წარმოუდგენელი იყო. ამ იდეის უპირველესი დამცველი ნოე ჟორდანიაა. ნაშრომში "ლევანდელი კითხვები" ნოე ჟორდანია წერს: "ქართველი ახალ ფეხ-ადგმული ბურჟუაზია შეეტაკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო ტომელთა ბურჟუაზიას, განსაკუთრებით სომხობას და ორივე მხრით მორთეს ყვირილი: გვიშველეთ, სამშობლო იღუპებაო! აქაც უნდა მოხდეს ის, რაც სხვაგან მომხდარა. ფიქრი იმაზე, რომ სომხის ბურჟუაზია ქართველ ბურჟუაზიის განვითარებას შეაჩერებს და მით მთელი ერის ალორძინებას ერთ წერტილზე გააყინებს, ისეთივე ოცნებაა, როგორც ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნება და ბოლოს თავათ გადაქცევა".[1]

4) მართალია, "კვალი" კლასთა ბრძოლას საზოგადოებრივი პროგრესის პირობად აღიარებდა, მაგრამ კლასთა ბრძოლით ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრის გზას უარყოფდა. გაზეთში ბატონობდა ის იდეა, რომ იმპერიის დანგრევა შეუძლია მხოლოდ ძლიერ სოციალურ მოძრაობას. აქედან დასკვნა: მთელი ძალების გაერთიანება სოციალური მოძრაობის დროშის ქვეშ იმპერიის მოსპობის შემდეგ თუ რა გზით უნდა მომხდარიყო ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვა და ხორცშესხმა, "კვალს" არ განუსაზღვრავს. საერთოდ, "კვალს" არ მოუცია გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული ეროვნული პროგრამა.

5) "კვალი" აღიარებდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სოციალური პრობლემის სიმწვავეს, მაგრამ მისი მოგვარების ერთადერთ გზად იმხანად (XIX საუკუნის 90-იანი წლები - XX საუკუნის დამდეგი) ევროპაში ნაცად ფორმებსა და მეთოდებს მიიჩნევდა, ე.ი. მხარს არ უჭერდა სოციალური რევოლუციის აუცილებლობის იდეას, რის გარდაუვალობასაც დაჟინებით ამტკიცებდა რუსული სოციალ-დემოკრატია.

გაზეთ "კვალს" განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XIX საუკუნის 90-იანი წლების დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში. ამ პერიოდში "კვალი", ქართველ სოციალ-დემოკრატია ლეგალური ორგანო, გვევლინება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთად. "კვალის" იდეალი მის თანამედროვე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა

---

1 "კვალი", 1898, № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. საბოლოოდ, მიუხედავად საკმაოდ სერიოზული მისწრაფებისა, "კვალი" მთლიანად მაინც ვერ დადგა ევროპული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე, მაგრამ ამავე დროს წინ აღუდგა საქართველოში რუსული სოციალ-დემოკრატიის (რუსული მარქსიზმის) იდეების დამკვიდრებას. უპირველეს ყოვლისა, ამითაა ღირსშესანიშნავი "კვალი" ქართული პუბლიცისტიკის, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.[1]

როდესაც ვეცნობით "კვალის" პუბლიცისტიკას, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ალ.წულუკიძის პუბლიკაციები, მისი შეხედულებები ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესზე. მან პირველმა მოგვცა და სიზუსტით გადმოსცა ფეოდალური სოციალ-ეკონომიური წყობის რღვევის აუცილებლობა და ჩამოაყალიბა მეცნიერული დებულებები ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის დროსა და პირობებზე, ფეოდალური ქალაქების წარმოშობაზე, სავაჭრო კაპიტალის ისტორიულ როლზე და საქართველოს ეკონომიური განვითარების მრავალ საკითხებზე.

ალ.წულუკიძეზე, როგორც მოაზროვნეზე, საინტერესო ისტორიული გამოკვლევა ეკუთვნის ბ-ნ პრ.რატიანს. მასში მთლიანი სახით წარმოსდგა ჩვენს წინაშე ალ.წულუკიძე, პიროვნება, რომელმაც პროგრესულად, პოლიტიკური ალღოს უნარით შეაფასა მიმდინარე ისტორიული ეპოქა.

"ფეოდალურ ხანაში, - ამბობს ა.წულუკიძე, - სოციალურ ურთიერთობას საფუძვლად მიწის საკუთრება ედვა. მიწა და მასზე დამკვიდრებული ბატონყმობა იყო მაშინდელი ცხოვრების შინაარსი, მთელი პოლიტიკური და იურიდიული წყობილება მით განისაზღვრებოდა და სულდგმულობდა. იმ ხანაში მამული იყო უმთავრესი ცხოვრების ძარღვი, მისით მეტ-ნაკლებობით მისი პატრონის უფლება-უპირატესობაც განისაზღვრებოდა. კაპიტალისტური წყობილების დროს "მამული" ჰკარგავს თავის "პირვანდელ" ძალას, სიმდიდრე საქონლის რაოდენობით განისაზღვრება, ყველაფერი ფულით იზომება, თითონ მამულიც საქონლად იქცევა; თვით მოზარდი ღირებულება (самовозрастающая стоимость) არის ნიშნობლივი თვისება ახალი ხანის, კაპიტალი

---

1 ვახ.გურული - "ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან" ჟურნალი "პოლიტიკა". 1994 წ. 4-5 გვ.17

ხდება ცხოვრების მამოძრავებელი და სხვა დროის წარმომადგენელი. აი, რა აზრით შეიძლება "მამულისა" და "კაპიტალის" დაპირისპირება. "მამული ყოფილა ყოველ ისტორიულ ხანაში, კაპიტალი კი არაო", გვეუბნებიან ოპონენტები, მაგრამ დღევანდელი "მამული" სხვა სახისაა, იგი თვით კაპიტალის ნაწილი ხდება და, როგორც ამგვარი ფეოდალური ხანის მამულს უპირისპირდება. მას დღეს საცვლელი ღირებულება აქვს, გუშინ კი მხოლოდ სახმარი ღირებულება ჰქონდა."[1]

ასეთი შესანიშნავი, ღრმად მეცნიერული მსჯელობა გვხვდება ა.წულუკიძის თითქმის ყველა ნაშრომში. უნდა აღინიშნოს, რომ ალ.წულუკიძეს წინააღმდეგ ნაროდნიკებისა, ოდნავადაც არ მიაჩნია საეჭვოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში კაპიტალიზმის გამარჯვების ფაქტი. "ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება განსაზღვრულ ისტორიულ კალაპოტში ჩადგა. ძველი ეკონომიური ურთიერთობა ძირიანად შეიცვალა და მეგატონის უფროსობა ახალმა წოდებამ დაიუფლა. ფეოდალის მაგიერ დღეს ცხოვრებას ბურჟუაზია მეთაურობს. ალ.წულუკიძის აზრით, ჩვენში კაპიტალიზმის გამარჯვება და გაგატონება მოხდა XIX ს-ნის მეორე ნახევარში, საგლეხო რეფორმის შემდეგ. ამიტომაც ამბობს იგი: "ჩვენმა რეფორმის შემდეგდროინდელმა ცხოვრებამ წარმოშვა მკლავაძის და ქამუშაძის ტიპები."[2]

ავტორს მშვენივრად ესმის ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების პროგრესული როლი. ის ამბობს: "ყველა ერი ვაჭრობა-მრეწველობის ალორძინებამ განავითარა. საქართველოს გაფანტული და დაქუცმაცებული ნაწილები ეკონომიურად ვაჭრობა-მრეწველობის ალორძინებამ ერთმანეთს დაუკავშირა და ეს პროცესი დღითი-დღე მატულობს, რათა ბოლოს მთელი ერი ერთ უღელში ჩააბას სამუდამოთ და ევროპის გზაზე აზია არონიოს".

ოლონდ საქმე ისაა, რომ ეკონომიურმა ალორძინებამ სიკეთე მარტო ჩვენი ერის ერთ მცირე ნაწილს - ფეოდალებს მოუტანა, ხოლო ერის მეორე დიდი ნაწილი კიდევ უფრო გააღარიბა.

---

1 ალ.წულუკიძე, თხზ. 1967, გვ.73
2 ი ქ ვ ე, გვ.81

თანამედროვე საზოგადოება, ა.წულუკიძის აზრით, "გაყოფილია ორ დიდ ნაწილად.ერთი მხრივ დგას შემლებული უმცირესობა, ე.ი. საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ყოველნაირი საშუალება აქვს ცხოვრებაში, აქვს ფული - თანამედროვე ცხოვრების ეს უმთავრესი ძარღვი...საზოგადოების მეორე ნაწილს, მუშას, მშრომელ ხალხს, სწორედ ეს აკლია, და თან აკლია ყველა ის, რაც შედგია ფულისა-მოსვენება და კმაყოფილება ამნაირად ფული გაბატონდა, ფული შეიქმნა უმთავრესი საქონელი, ყოველივე ფულით შეიძლებოდა და შეიძლება იყიდოს, - ფული ეს თანამედროვე ბატონია."[1]

მაგრამ რა გზით შეიძლება ფულის შოვნა და ფულადი კაპიტალის ზრდა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ა.წულუკიძე იძლევა ვაჭრობის, მევახშეობის, კაპიტალისტური წარმოების ამომწურავ დახასიათებას და დიდი სიცხადით უჩვენებს მკითხველს ჩვენებური ფულის პატრონთა მბარცველურ ბუნებას. "ფულის გაზრდასაც თავისი კანონები აქვსო" - ამბობს იგი და იქვე აყალიბებს ამ კანონების არსს. "ფულის გაზრდა, სხვანაირად, სარგებლობის მიღება სამნაირად ხდება: ვაჭრობით, მევახშეობით და წარმოებით, წარმოებაში ფულის დაბანდებით.

პირველ შემთხვევაში ვაჭარი ნივთს, საქონელს ყიდულობს და შემდეგ ან იქ, საცა იყიდა, ან სხვა ადგილას, სხვა ბაზარზე ყიდოს. მაგრამ ეს სულ ერთია. საქმე ის არის, რომ მან უნდა მოიგოს. როგორც თვით ამბობს, თუ არ მოიგო, ის ვაჭრობასაც არ დაიწყებს. ვაჭრობის დანიშნულება მხოლოდ ესაა: მყიდველს რაც შეიძლება მეტი წაართვას, ცუდი საქონელი მისცეს, ბევრი ფული გადაახდევინოს, - აი რას მისდევს ვაჭარი, აი რაა მისი მიზანი. ცხადია, ვაჭრის მთელი სიმდიდრე მყიდველის გაძარცვაზეა აგებული, მთელი მისი არსებობა ხალხის ჯიბის გათხელებაზეა აშენებული.

მევახშეობა - ეს მეორე სახეა ფულის მოგებისა... მევახშე სარგებლობს ხალხის გაჭირვებით: ფულს ასესხებს, სამაგიეროდ სარგებელს

---

1 პ.რატიანი - ალ.წულუკიძე - როგორც მოაზროვნე,თბ.,1976 წ.,გვ.102

ხალხის გაჭირვებით: ფულს ასესხებს, სამაგიეროდ სარგებელს ითხოვს და ხშირად იმდენსაც, რომ კაცი ჭკუიდან უნდა შეშლილიყო."

ამის შემდეგ ავტორი დაწვრილებით იხილავს საკითხს, თუ როგორ იზრდება კაპიტალისტურ წარმოებაში დაბანდებული ფული (კაპიტალი) მუშის შრომის ექსპლუატაციის ხარჯზე და როგორ ითვისებენ კაპიტალისტები მუშის ოფლით შექმნილი ღირებულების დიდ ნაწილს.

საქართველოს ცხოვრების თავისებურებათა გათვალისწინების შედეგად ა.წულუკიძემ შესძლო მოეცა ქართველი ბურჟუაზიის ისტორიული როლისა და მნიშვნელობის შეფასება. მისი თქმით, ჩვენი ეროვნული ბურჟუაზია, ევროპის ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, არ იყო, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, პროგრესის მედროშე, რომ ქართველ ბურჟუაზიას ისტორიამ არ არგუნა ერისათვის ისეთი სარგებლობა მოეტანა, როგორი სარგებლობაც თავიანთ ერებს ინგლისის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების ბურჟუაზიამ მოუტანა.[1]

ალ.წულუკიძე გამოთქვამს თავისი დროისათვის უაღრესად ახალსა და ორიგინალურ აზრს, რომელსაც ფრიად საფუძვლიანი მეცნიერული მსჯელობით ასაბუთებს:

"ინგლისის ერის ყველა ელემენტი, ყველა კლასი ერთ ენაზე ლაპარაკობენ, ერთ ენაზე სწერენ, აზროვნებენ და ამ ენისა და მწერლობის განვითარება მათი ეკონომიური წინააღმდეგობის გათვითცნობიერება იყო. ენის განმავითარებელი, წინ წამწევი აქ უმთავრესად ბურჟუაზია უნდა ჩაითვალოს: ის ანვითარებდა ეროვნულ ნიადაგზე მეცნიერებას, აფაქიზებდა მწერლობას, ზრდიდა და ამდიდრებდა მას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მხოლოდ ეს კლასი იყო უზრუნველყოფილი ცხოვრებაში, მას მოეპოვებოდა საშუალება და თავისუფალი დრო სწავლა-განათლებისათვის, ეს

---

1 პროკოფი რატიანი - ალექსანდრე წულუკიძე - როგორც მოაზროვნე, თბილისი - 1976 წ.; გვ. 86

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი აუცილებლად საჭირო იყო მისი სამრეწველო საქმეების მოსაგვარებლად. მას სჭიროდა ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოება, ამისათვის სახელმწიფო ძალა მისი სურვილისამებრ უნდა მიმართულიყო, მხოლოდ ამის მომართვა შესაძლებელი იყო ეროვნულ ნიადაგზე; მისთვის საარსებო კითხვას წარმოადგენდა განსაზღვრული ბაზარი, რომელსაც ვაჭრობაში მეტოქე ერების წინაშე უპირატესობა მისთვის უნდა მიეზღო, ის უნდა დაეჯილდოებინა აუარებელი სიმდიდრით, ამისათვის თავისებურობა, ეროვნული თვითარსებობა აუცილებელი პირობა იყო მისი წინსვლის დასაჩქარებლად; მას თავისი საკუთრება სამსაჯულოში დედაენაზე უნდა დაეცვა, შვილი ამავე ენაზე აღეზარდა მოხელედ, ვაჭრად, მრეწველად - ირგვლივ ყველგან დედა-ენა იყო გამეფებული. მრეწველობაში მისი ინტერესების დაცვა დედა-ენის მომარჯვებას საჭიროებდა: სამეცნიერო ნაწარმოები, რომელიც მისი განვითარების უმთავრეს პირობას შეადგენდა, ან დედაენაზე დაიწერებოდა ან დაუყოვნებლივ გადმოითარგმნებოდა. ერთი სიტყვით, მას უდედაენოდ არსებობა არ შეეძლო, უიმისოდ ნაბიჯს ვერ გადადგამდა წინ თავისი კეთილდღეობის განსამტკიცებლად. თავისი ენის დაცვა, თავის ეროვნული თვითცნობიერების და თვითარსებობის დამკვიდრება მისი წარმოების გაფართოებას მოასწავებდა. მას საერთაშორისო ბაზარზე თავის ეროვნული "მე" სხვისათვის უნდა დაეპირისპირებინა, თავისი საქონელი ინგლისური ზედწარწერით ცხრა მთას იქით უნდა გაემგზავრებია, სადაც მოხვეჭილი სახელი და დიდება კიდევ უფრო ამდიდრებდა და აღიდებდა მას. მისთვის ეროვნული ზრდა საარსებო კითხვას შეადგენდა... ასე იყო სხვაგან."[1]

ალ.წულუკიძის ეს შესანიშნავი დაკვირვება და მწყობრი ლოგიკური მსჯელობა საკვანძოდ დამაჯერებლად გვისურათებს იმ პირობებს, რომლებშიც ინგლისის (აგრეთვე საფრანგეთისა და ევროპის სხვა განვითარებული ქვეყნების) ბურჟუაზიას უხდებოდა თავისი პროგრესული ისტორიული მასის

---

1 ა.წულუკიძე, თხზ., 1967, გვ.132-133;

შესრულება, მაგრამ შეიძლება თუ არა აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ ბურჟუაზია ყველა ქვეყანაში (და მათ შორის საქართველოშიც) ასეთსავე პროგრესულ როლს ასრულებდა ენის, ლიტერატურისა და საერთოდ ერის სულიერი კულტურის ამაღლების საქმეში? ცხადია, არა!

ა.წულუკიძე განაგრძობს:

"ჩვენში კი ეს მისიაც ნაკლებ არგუნა ბედმა ჩვენ ბურჟუაზიას ქართველი ბურჟუაზიისათვის ქართული ენა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს. მმართლმსაჯულებას იგი სხვა ენაზე დაებეგს, საკუთრებას სხვა ენის საშუალებით დაიმტკიცებს, მეცნიერებას სხვაგან ეწაფება, უბრალო სავაჭრო რეკლამასაც უცხო ენაზე სწერს, ოჯახიდან დედაენა სრულიად განდევნილი აქვს, მის ბავშვებს ევროპული "გუვერნანტკები" თავს ევლებიან, რომელიმე ქართულ გაზეთს მხოლოდ საქველმოქმედო მიზნით თუ გამოიწერენ, ისიც ხშირად გაუხსნელი დევს საწერ მაგიდაზე "შაბათობით, თავის შესაქცევად" თუ წაიკითხავენ. თავისი ინტერესების დაცვა და ამ ინტერესებისათვის ზრუნვა მწერლობაში უცხო ენაზე უფრო ესაჭიროება, ერთის სიტყვით, ქართული მისთვის ზედმეტ ხილს შეადგენს. ქართველი ბურჟუა ყიდულობს უცხოელისაგან, ყიდის უმეტესად უცხოეთში, შინაური ბაზარიც არა თხოულობს მისგან დედაენის ცოდნას, შვილი ქართული ენის ცოდნით მოხელე ვერ გახდება, თავისუფალი პროფესიები: ვექილობა, ექიმობა და სხვ. უცხო ენის ცოდნას მოითხოვენ და რამდენად უფრო მეტს სხვა ენაზე მეცადინეობს, იმდენად უკეთესი სპეციალისტი ხდება. მეცნიერი, შთამომავლობით ქართველი, მეცნიერულ ნაწარმოებს უცხო ენაზე წერს და თუ პატრიოტული მოსაზრებით ქართულ ენაზე მეცნიერული შრომა დაწერა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თარგებზე წლიდან წლამდე ხელუხლებლად რჩება. ქართველი ბურჟუაზიისათვის ეროვნული ზრდა-განვითარება საარსებო კითხვას არ წარმოადგენს, ასეა ჩვენში".[1]

---

1 ა.წულუკიძე - თხზულ., 1967, გვ. 140-142;

ავტორი სრულიად გარკვევით და ნათლად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ კაპიტალიზმის განვითარების პროცესი საქართველოში ევროპის ქვეყნებისაგან არსებითად განსხვავებულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რის გამო ჩვენებურ ბურჟუაზიას არ შეეძლო ისეთივე პროგრესული როლი შეესრულებია ერის ცხოვრებაში, როგორც ეს თავის დროზე ევროპის ბურჟუაზიამ შეასრულა. "ჩვენში ბურჟუაზიის როლი, - დაასკვნის ავტორი, - ეროვნული გათვითცნობიერების განსამტკიცებლად სრულიად უმნიშვნელოა: მას ამისათვის საზოგადო პოლიტიკურ-ეკონომიური პირობები ხელს არ უწყობენ; საზოგადოებრივი ურთიერთობა მას სხვა ეროვნების ნიადაგზე ამძლავრებს:

საბჭობლო მისთვის მხოლოდ ტერიტორიული საზღვრებია, სადაც იგი უცხო ენაზედაც კარგად აწარმოებს თავის სამრეწველო საქმეებს".[1]

პროგრესის მოთავეობას, კულტურის განვითარების სათავეში ჩადგომას ალ.წულუკიძე მშრომელ ხალხს აკისრებს. ამრიგად, რეფორმისშემდგომი დროის საქართველოში პროგრესის მედროშედ და ქართველი ერის ზრდა-განვითარების მეთაურად მას მიაჩნია არა ბურჟუაზია, არამედ მშრომელი ხალხი. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ "მშრომელ ხალხში" ის გულისხმობს მუშებსა და გლეხებს, ქალაქისა და სოფლის პროლეტარულ და ნახევრად-პროლეტარულ ელემენტებს.

ეს იყო ალ.წულუკიძის მიერ გამოთქმული იმ დროისათვის ახალი და ორიგინალური აზრი. თავის ცნობილ გამოკვლევაში "ოცნება და სინამდვილე", რომელიც 1903 წელს ქუთაისში ცალკე წიგნად გამოიცა, ალ. წულუკიძე ასევე მკაცრად აკრიტიკებს ქართველი ბურჟუაზიის ცნობილი იდეოლოგის არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებს, რომელიც საზოგადოებისა და ხალხის გამაერთიანებელ ძალად ინტელიგენციას მიიჩნევდა, რადგან მისი სიტყვით "ინტელიგენცია ცხოვრების შეგნებაა, გონიერება და ამ შეგნებისა და გონიერებისდაგვარად მოქმედება".[2]

---

1 ა.წულუკიძე - თხზულება, 1967, გვ. 140-142
2 ი ქ ვ ე, გვ.162

ვაჭრობისადმი მწერლობის დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ჩვენ გარკვეულწილად შევეხეთ ილიას დამოკიდებულებას საქართველოში ვაჭრობის, ბურჟუაზიის განვითარების შესახებ, მის ეკონომიკურ პროგრამას. დაახლებით, ასეთსავე შეხედულებისაა ვაჭრობაზე და მრეწველობის განვითარებაზე აკაკი წერეთელი, გიორგი ერისთავი; საჭიროდ მივიჩნევთ უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ მწერლების დამოკიდებულებაზე ამ საკითხისადმი.

გიორგი ერისთავის აზრით, ვაჭრობა, სავაჭრო გაცვლა და ამ გზით სიმდიდრის შეძენა ახალ ვითარებაში გარდაუვალია, ოღონდ აუცილებელია, რომ ვაჭრობა შეუერთდეს სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს და მრეწველობას, აგრარულ-სამრეწველო კაპიტალი-სავაჭრო-საფინანსო კაპიტალს, მიწა-ფულს, გაღარიბებული, მაგრამ განათლებული თავადაზნაურობა და მდაბიო ხალხი - ფულის მქონე ვაჭრებს და მევახშეებს, - ასეთია აზრი ახალგანათლებამიღებული ღარიბი თავადის და მდიდარი ვაჭრის დამოყვრებისა, რასაც გიორგი ერისთავი სიმპატიურად გვიხატავს - თავის ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

ილიას ერთგული თანამებრძოლი აკაკი წერეთელი არ უარყოფს რეფორმის შემდეგ დროინდელი საქართველოს საზოგადოების გარკვეულ სიახლეს, ნაწილობრივ მის პროგრესულობასაც აღიარებს, მაგრამ იგი უპირატესად მაინც მის დაუნდობელ კრიტიკოსად რჩება. ეს საზოგადოება მას მიაჩნია "ვაჭრულ საზოგადოებად", ხოლო მისი ცხოვრების წესი კი "ვაჭრულ წესად", "სკვითურ წესრიგად", ე.ი. იმად, რასაც თანამედროვე მეცნიერება კაპიტალიზმს უწოდებს და "სადაც მხოლოდ პირადობას არც ზომა აქვს, არც საზღვარი და საერთო, საზოგადო არ იციან, თუ რა არის სად მოქმედებს სუსტი სმენა, ავი ენა, ხარბი-თვალი... სადაც არ სწამთ და არ სჯერათ საიმედო მომავალი"[1].

---

1 მიხ.გაფრინდაშვილი - "ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები" - III ტ. თბ., 1988 წ., გვ. 257;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრამეტე საუკუნის 60-70-იანი და 80-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ხანას აკაკი წერეთელი უწოდებს "ახალ დროს", "გამოცვლილ დროს", "ახალ გზას", "სნეულ დროს", "უცნაურ დროს", "საბრალო ჩვენს დროს", "უმწიფარ საზოგადოებას", "დაცემულ საზოგადოებას", "უკულმართ დროს", "გაძაღლებულ დროს" და სხვა ამგვარს.

ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი საქართველოს საზოგადოების განვითარების შინაარსი აკაკი წერეთლის დახასიათებით, ისაა, რომ მის წამყვან წინამძღოლ ვაჭართა კლასს (კაპიტალს, ბურჟუაზიას) და ვაჭრობას (საქონლის წარმოებას და აღებმიცემობას კაპიტალისტურ, ბურჟუაზიულ წყობილებას) "სწამს ქვეყანაზედ მხოლოდ ერთი ძალა - ფული, და ესმის კაცთა შორის მხოლოდ ორგვარი დამოკიდებულება: ბატონობა და მონობა -ერთი უნდა ბრძანდებოდეს, მეორე უსიტყვოდ ასრულებდეს. მონა უნდა იყოს სუსტი, ბატონი - ძლიერი... სიღარიბე-სისუსტეა, სიმდიდრე - ძლიერება. ის მდიდარია? მაშასადამე, ძლიერი ყოფილა, შეუძლია ბატონობა, და ბატონს წინ ვერა აღუდგება-რა!... იმას შეუძლიან დალეწოს, დაამტვრიოს, რასაც კი ხელს მოავლებს, და წინააღმდეგობას ვერანი გაუბედავს!...ის არის მეფე-მტარვალი... რაც უნდა ჩაიდინოს, შეშვენის, რჯული და სარწმუნოებაც თავისებურათ ესმით: ათას საძაგლობას ჩაიდენს, იქურდებს, ათიათასს გაგლეჯს, ქვრივ-ობლების ცრემლით იხარებს და ამაოების მოსანანიებლად გლეხკაცს გროშებს დაურიგებს და დარწმუნებულია, რომ ცოდვაც აღარ მოეკითხება - დილიდან საღამომდე მისი პირისაგან უშვერება ამოდის, მაგრამ...დანიშნულ დროზედ სალოცავათ წავა და მოინანიებს".[1]

აკაკი ვაჭარ-ბურჟუებს მიიჩნევს არა ეროვნულ, არამედ საერთაშორისო ძალად, რომელიც "არც ერთ ხალხს, არც ერთ ნაციას" არ მიეკუთვნება, რადგან, მაგალითად, საქართველოს ვაჭარ-ბურჟუებს, მისი თქმის,

---

1 მიხ.გაფრინდაშვილი - "ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები" - III ტ. თბ., 1988 წ., გვ.257

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებითად "არცარა ქართული აქვსო და არცარა სომხური". ახალ დროში იგი პრინციპულ სხვაობას ვერ ხედავს მემამულე - თავადსა და გამდიდრებულ ვაჭარს შორის. კაპიტალიზმის დროს ა.წერეთლის აზრით" წესები ისევე ძველია, მხოლოდ გზა გამოიცვალა", "ადრინდელ ბარბაროსობას დღეს ჰქვია დიპლომატია!" უსამართლობა წინ მიდის კანონიერის გზებითა, სრული უფლება ეძლევა სხვადასხვა კონგრესებითა. გზის გამოცვლის უპირველესი მაჩვენებელი, მისი არაერთგზისი განცხადებით, ისაა, რომ მიწისმფლობელობაზე დაფუძნებული ბატონობა მდიდრებისა შეიცვალა ფულის მფლობელობაზე დაფუძნებული ბატონობით. ამიტომ უკვე 60-70-იანი წლებიდან და განსაკუთრებით 80-90-იან და 900-იან წლებში, საქართველოში ფულის მოპოვებისაკენ ლტოლვა საყოველთაო მოვლენად ქცეულა.

აკაკი წერეთელი თვალს არ ხუჭავს კაპიტალისტური პროგრესის სიკეთეზე, რომელმაც სახე უცვალა დასავლეთ ევროპას XIX საუკუნეში.

პოეტი სამართლიანად მიუთითებს რეფორმის შემდეგ დროინდელი საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთ თავისებურებაზე, რაც მორალურ ცვლილებებს განაპირობებდა - ძველი წყობილება იწლებოდა, ახალი ძალის ძალათი მკვიდრდებოდა. ძველად დიდი წყევლა იყო, ღმერთმა ნუ მოგიშალოს ცეცხლი და ნავთიო, "ახლა კი, - წერს ა.წერეთელი, - ორივე დიდი ღვთის წყალობაა: ნავთის წყარო ცხოვრების საკეთილდღეო წყაროდ გადაიქცა და ცეცხლის წყალობითა და საშუალებით ხომ ღამის გამდიდრდეს ჩვენი ტფილის-ქალაქი".[1]

აკაკი ამჩნევს ახალი ეკონომიკის განვითარების შესაბამის სოციალურ მოვლენებსაც, მაგალითად, ძველ წოდებათა, კერძოდ აზნაურობის დიფერენციაციას, იმას, რომ "რაც ტფილისში მოსამსახურეები, ან მუშები, მზარეულები და მეფაიტონეები არიან და არა თუ მარტო ტფილისში, სხვა ქალაქებშიც: ქერჩში, ფეოდოსიაში, ოდესაში თუ სხვაგან, სულ იმერეთიდან გადმოსულები და უმეტესი მათგანი კი აზნაურის შვილები

---

1 მიხ.გაფრინდაშვილი - "ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები" - III ტ., თბ.,1988 წ., გვ.261

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან". "პოეტის აზრით, ეს იყო "ძალად გაუბედურებული ხალხი", რომელიც, მატერიალური და ზნეობრივი არსებობის სხვა გზას რომ ველარ ხედავდა, პროლეტართა რიგებს ავსებდა და დღედაღამეს მძიმე ფიზიკურ შრომაში ასწორებდა. არიან და კომერციისა არა გაეგებათ. რა...დღემდისაც არა აქვთ წარმოდგენილი, თუ სხვის გაუგლეჯელ და მოუტყუებლად ვაჭრობა შესაძლებელია". აკაკი წერეთელს სურს, რომ ვაჭრობა არ ნიშნავდეს სხვის ექსპლუატაციას და ჩაგვრას, მისი ეს სურვილი პრინციპულად მართებულია, მაგრამ ერთგვარად უტოპიური და მცდარიც იყო, რამდენადაც მას ეგონა, რომ დასავლეთ-ევროპელი ვაჭრები იყვნენ სასურველი კომერსანტები, რომლებსაც ხალხის ექსპლუატაციის გარეშე შეეძლებოდათ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება თავიანთ ან, მით უფრო, სხვა ქვეყნებში, ვთქვათ მარგანეცის წარმოების დაწყება იმდროინდელ ჭიათურაში.

აქვე მნიშვნელოვანია შევეხოთ სოციალისტ-ფედერალისტის, ცნობილი პუბლიცისტის არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებს საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებისა და ახალი სოციალური ფორმაციის შესახებ. თავის წერილებში იგი ღრმად და ამომწურავად განიხილავს საქართველოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს: "რაც მეტი დრო გადიოდა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, უფრო მეტად და გარკვევით იხატებოდა ახალი დროის ვითარება. საყოველთაო საზრუნველ გარემოებად ახლა საქმის და ფულის ძებნა გახდა. რკინის გზის გაყვანის შემდეგ კი ეს საკითხი, საქმის და ფულების ძებნა-პირდაპირ საარსებო საკითხად გადაიქცა. ყველა ამაზედ წინადაც იყო ლაპარაკი ქართულ პრესაში, ხოლო ამ საგანს თანდათან მწვავე პრაქტიკული ინტერესი მიეცა და "საბანკო საკითხი" მთავარ სალაპარაკო საგნად ხდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. საზოგადოებრივ ერთგვარ აჟიოტაჟის შესახებ გაზეთი "დროება",ასე სჯის სერგეი მესხის პირით: "ეს გამწარებული ფაცა-ფუცი, მოძრაობა ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა, ეს ძებნა ადვილად შესასრულებელი და ბევრი ფულების მომცემი საქმისა და შრომისა ჯერაც არ დაწყნარებულა. ეხლაც არიან ისეთი პირნი, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც იმედი აქვთ, რომელნიც ცდილობენ აყალო მიწაში ოქროს მადნები აღმოაჩინონ, რომელნიც სხვადასხვა უსახელო კამპანიებს აღგენენ და სხვადა სხვა და ჩვენ სრულიადაც არა გვსურს, რომ ამგვარი მიმართულება, ეს ლტოლვილება ჩვენს საზოგადოებაში ერთბაშად მოისპოს. ჩვენის აზრით, ამგვარ ფაცა-ფუცს, ამნაირ უსწორ-მასწორო და ბნელ გზაზე ხეტიალს იმ კეთილის ნაყოფის მოტანა შეუძლია, რომ ბოლოს და ბოლოს სწორ გზაზე დავდგებით. თვით გარემოება გამოგვაფხიზლებს და გვიჩვენებს, რომ შეუსრულებელი პროექტების დევნა ხელს არ მოგვცემს, რომ უეცრად, მანქანების ძალით გამდიდრების მაგიერ, ჩვენ ბეჯით სწავლას, გულმოდგინე შრომას და ასასრულებელ საქმეებს უნდა შეუდგეთო"[1].

"მართლაც-განაგრძობს არჩილ ჯორჯაძე, - ადვილი საქმე არ არის ერთ სოციალურ წყობილებიდან მეორე სოციალურ წყობილებაში გადასვლა. "სოფლურ" და თავადურ" საქართველოს ახალი საზოგადოებრივი შინაარსი და ფორმა უნდა მისცემოდა. შრომა და გარჯა - ამაზე უნდა დამყარებულიყო ახალი საზოგადოების აგებულება. ერთად-ერთი ელემენტი შრომას მიჩვეული გლეხობა იყო ჩვენში - ხოლო მისი შრომა ახალ დროში უნაყოფო რჩებოდა. ახალმა ცხოვრებამ აამოძრავა ხალხი და საქართველოში, სერგეი მესხი მოუწოდებდა ქართველებს, გადმოეღოთ ევროპელებისაგან პატიოსანი ვაჭრობა, ევროპული პროფესიონალიზმი და სიყვარული საქმისადმი. ერთ-ერთ წერილში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ "დროებაში", იგი წერს:

"ბალიან ცოტას ლაპარაკობენ ქალაქში ამჟამად იმაზე, რომ უფალი ი.მირზოევის მიტკლის საქსოვმა ფაბრიკამ, რომელზედაც თითქმის ერთ მილიონ მანეთამდინაა დახარჯული და მუდამ დღე, როგორც ამბობენ, უკანასკნელში 400 მუშა (კაცი, ქალი და ყმაწვილი) მუშაობდა, როცა ამ ფაბრიკამ ამ დღეებში უეცრად შეაჩერა მუშაობა. ცოტას ლაპარაკობენ, მაგრამ ბევრი ლაპარაკის, სჯისა და ყურადღების მიქცევის ღირსია ეს გარემოება.

---

1 "დროება", 1874 წ., № 444, სერგეი მესხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი წელი არ იქნება ჯერ, რაც ეს ფაბრიკა გაიხსნა - ეს თითქმის ერთადერთი საქმე იყო, რომელიც ჩვენებურმა ვაჭარმა გამოიწყო და რომელსაც თავიანად, ანგარიშით ეჭირებოდა წაყვანა: საზოგადოდ ყოველი ფაბრიკის წაყვანას, და განსაკუთრებით ამისთანა დიდი ფაბრიკისას, იმ ვაჭრული საშუალებებითა და ოსტატობით ვერ მოახერხებთ, როგორიც ჩვენებურს აღებ-მიცემობაშია მიღებული.

აქ ცოტა მომეტებული გამჭრიახობა ჭკუა და წინდახედულობა იყო საჭირო; საჭირო იყო ცოდნა, საჭირო იყო ნამდვილი, რიგიანი ვაჭრობის გაგება, მაშინისტებთან და 400 მუშასთან ცოტათი უფრო მომეტებულის ანგარიშით საქმის დაჭერა და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, საჭირო იყო რომ ამ საქმის მოთავე, თფილისურად კი არა, ცოტათი მაინც ევროპიულად მოქცეულიყო, ევროპიულს წესზე, თავიანად წაეყვანა ეს საქმე.

მაგრამ, რას ვხედავთ? ფაბრიკამ ორი-სამი წელიწადი გასძლო და ისიც ვინც იცის - რამდენის წვალებითა და ვაი-ვაგლახით! და გასძლო ისიც იმისთანა კაცის ხელში, რომელიც აქაური ვაჭრების თვალად, საუკეთესო ჭკვისა და შებლების კაცად ითვლება.

ამ ორი-სამი წლის განმავლობაში, ფაბრიკა სამჯერ-ოთხჯერ იყო დროებით დაკეტილი: თუ მაშინისტები გაექცა უფრ.მირზოევს, თუ მუშებთან ვერ მოთავსდა და თუ სხვა თითო-ოროლა ამისთანა მიზეზები არ დაელია. იქნება ამ მოკლე ხანში ფაბრიკამ კიდევ დაიწყოს მუშაობა, მაგრამ, თუ წარსულ იმის ისტორიას მოვიგონებთ, შეიძლება დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ის შემდეგშიაც ვერ იხეირებს, შემდეგშიაც ჭაპანწყვეტით და უხეიროთ იცხოვრებს და ბოლოს ვინ იცის იქნება საუკუნო განსვენებასაც მიეცეს.

თუ ჩვენებურ ვაჭრებს ფიქრი და რისიმე გაგება და მიხვედრა შეუძლიანთ, ამ გარემოებამ კარგად უნდა ჩააფიქროს, უნდა გააგებინოს იმათ, რომ უხეირო ვაჭრობით აღებ-მიცემობა შეუძლებელია, უნდა გაიგონ ის, რაც ევროპის ჭკვიან ვაჭრებმა და ფაბრიკანტებმა გაიგეს, რომ მუშტრებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან პატიოსნებაა საჭირო, რომ მუშების სასტიკათ და უსამართლოთ მოპყრობა და დაჩაგვრა თვითონ იმათთვისაც საზიანო და დამღუპავია.

სანამ ამას არ გაიგებენ, სანამ ისე არ მოიქცევიან, რომ იმათს ვაჭრობაში და ფაბრიკულ წარმოებაში ცოტათი მაინც კაცური თვისება, და ჭკუა აღმოჩნდება, მანამ, ეს კარგად უნდა იცოდნენ, ისინიც, "წამხდარი იქნებიან და ჩვენც წაგვახდენენ", მანამ იმათ ფეხის წამტვრევასა და დაღუპვას კაცი არ ინაღვლებს..."[1] სოფლელი ქალაქისაკენ მიისწრაფოდა. თავდაპირველად ჩნდება ტფილისში იმერლობა-იმერლობამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ-ვაჭრობა მრეწველობას და ეროვნულადაც გაამაგრა ჩვენი დედაქალაქი.

ვიმეორებ, ადვილი საქმე არ არის, რომ მეომარი და მხვნელ-მთესველი, ისიც ყმად ქცეული, ერთბაშად მომქმედ, და გამჭრიახ ვაჭარ-მრეწველად გახდეს. ასეა თუ ისე, საქართველო ახალქგზაზე გამოვიდა და ჩვენი პრესის წინაშე დაისვა ახალი სოციალური და საზოგადოებრივი საკითხები. როგორც ითქვა, რკინის გზა, მადნეულობათა აღმოჩენა, ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება, დიდ ცენტრებისაკენ იზიდავდა ქართველობას - ჩვენი ინტელიგენციაც თბილისში გროვდებოდა და მყარდებოდა. თბილისში მატულობდა ქართველ მცხოვრებთა რიცხვი, თბილისში უნდა გამოჩენილიყო ახალი სოციალური კლასი ქართველ ვაჭარ-მრეწველობისა და ესეც მოხდა, და როდესაც ეს გარემოება ფაქტად გადაიქცა, მყისვე დადგა მწვავე საკითხი სომეხ-ქართველთა ურთიერთობისა.[2] 1874 წ. საქალაქო არჩევნების დროს 72 ხმოსანში მარტო სამი თუ ოთხი ქართველი აირჩიეს, სერგეი მესხმა ველარ მოითმინა და სთქვა, "რაც უნდა ძალიან ეწყინოს ნამდვილ ქართველს... რაც უნდა ძალიან ეწყინოს, მაინც უნდა გავტყდეთ, რომ ერთ

---

1 "დროება" - 1875 წ.; VIII, 31. № 99, გვ.1 სერგეი მესხი - "მირზოევის ფაბრიკის დაკეტა".

2 "დროება", 1874 წ., № 451

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს ქართველთა სატახტო ქალაქი - ტფილისი, დღეს სომხების საკუთრებად შექმნილა".[1]

აღნიშნავდა რა სომხური ბურჟუაზიის დიდი ხვედრით წილს თავისი შეხედულებები გამოთქვა არჩილ ჯორჯაძემ ბანკების დაარსების შესახებაც. იგი წერს ერთ-ერთ წერილში: "ცხოვრების ძირითადმა ცვლილებამ ბანკების დაარსების საჭიროება გამოიწვია. ჭავჭავაძის და ნიკოლაძის შეტაკება ბანკის ნიადაგზე არის დასაწყისი მესამოციანების გაყოფვისა. ხანმოკლეა იდეური ერთობა ქართველ ინტელიგენციის ჯგუფობრივ მოქმედებისა. გამაპოზელი და გამთიშველი ძალა უფრო დიდია მათში, ვიდრე შეერთების და სოლიდარობის სურვილი. აქ ერთმანეთს შეეჯახა ქართველი ინტელიგენცია და ქართველი თავადაზნაურობა, ისინი, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ერთი და იგივე სოციალურ-კულტურული მოვლენა არ იყო"[2]..

გარდა აღნიშნული საკითხებისა არჩილ ჯორჯაძე დაწვრილებით მიმოიხილავს ქართულ პუბლიცისტიკას, ამ პერიოდის ჟურნალ-გაზეთებს. განსაკუთრებული ყურადღებით იგი საუბრობს გაზეთ "დროებაზე", რომელიც დღიდან დაარსებისა სკრუპულოზური სიზუსტით გვამცნობს თბილისსა თუ საქართველოს სხვა კუთხეებში ფაბრიკა-ქარხნების დაარსებას, ვაჭრობის მდგომარეობა ქვეყანაში, ფაბრიკანტების დამოკიდებულებას მოსამსახურე პერსონაჟთა. ამით ეს გაზეთი გარკვეულ პროპაგანდას უწევდა ჩვენში სავაჭრო საქმის, ევროპული წესების შემოღებას და მოუწოდებდა მთელ ერს ესწავლათ პატიოსანი ევროპული ვაჭრობა. მოვიყვანთ რამოდენიმე სტატიას. ერთ-ერთი - "ახლად გახსნილი თამბაქოს მაღაზია და ფაბრიკა რაჟდენ ბედიანიძისა" - "აცნობებს თფილისის პატივცემულ საზოგადოებას, აგრეთვე გარეშე მცხოვრებლებსა და უფრ.აფიცრებს კავკასიის ყველა პოლკებისას, რომ იმის, ბედიანიძის მაღაზიიდან, რომელიც იმყოფება ხაზინის სიახლოეს, ბაზრის ქუჩაზე, თამამშოვის სახლებში, მსურველს

---

1 არჩილ ჯორჯაძე - წერილები, თბილისი, 1989 წ., გვ.266; 285;
2 "დროება" - 1872 წ., X, № 42, გვ.4

შეუძლია ზომიერი ფასებით იყიდოს ძალიან კარგი თვისებების: პაპიროზები სამსონის, ქეობეკის და ტრაპიზონის თამბაქოისა, სიგარები მოსკოვისა და საზღვარგარეთისა.[1]

საინტერესოა ეს წერილები თავისი კრიტიკული შეფასებითაც, მაგ.: - "კავკაზი" გვამცნობს, რომ ქალაქში გაბრიელ მირზოევი მართავს ბამბის სართავ ფაბრიკას. მაშინები ზოგი მოსულა; ევროპიდგან დაბარებული ხელოსნები კიდეც მოსულან. ფაბრიკა იქნება კრწანისის ქუჩაზე ვარანცოვის ქუჩას რომ ეძახიან. ეს იქნება პირველი ბამბის ფაბრიკა კავკასიის მხარეში - "კავკაზი" ამბობს, რომ უფ.მირზოევს შეუძლია ამ საქმის კარგად წაყვანა, რადგანაც დიდი ფულის პატრონიაო. სხვა ფაბრიკები და ზავოდები ადრე რო იმართებოდა, უფულობისა გამო იშლებოდა. აქ ის კი ავიწყდებათ დალოცვილებს, ადრე რა ზავოდები და ფაბრიკები იმართებოდა, მაგალითად, შაქრის ზავოდი-საზღვარგარეთიდგან შემოჰქონდათ შაქრის ქვიშა და აქ აკეთებდნენ ისეთ შაქარს, რომ არავინ არ ყიდულობდა და ზავოდის გამკეთებლებს შინაურობაში უნდა თითონვე ორმოცი წელიწადი ეხმარებინათ.

ვისურვებთ რა ფაბრიკების გამართვისათვის კეთილს, პირველათ იმას ვისურვებთ, რომ მუშა-კაცები და ხელოსნები, რომელნიც არიან შრომის პირველი დედაბოძები, შეიქმნან ფაბრიკის მოგებაში ნამდვილნი და სამართლიანი მონაწილენი".[2] "დროება" არჩილ ჯორჯაძის სიტყვებით, იყო "ახალი სიტყვის შემოტანა აზროვნების ფარგლებში". აი რას გვაუწყებს "დროების" ერთ-ერთი სტატია:

"ამ რამდენიმე თვის წინათ ჩვენს ქალაქში ვიღაც უფ.ტერ-ასატუროვმა გახსნა სპიჩკის ქარხანა. გახსნა, მაგრამ არ გაეხსნა, ის სჯობდა, რასაკვირველია, ჩვენი ხალხისთვის, და არა საკუთრივ იმის ჯიბისათვის. საქმე იმაშია, რომ თავიდანვე სიაფით მოიზიდა ხალხი, თითო ყუთს (კარობკას) თითო კაპეიკად ჰყიდდა და ამის გამო ყველა იმის სპიჩ-

---

1 "დროება" - 1872 წ., X, № 42, გვ.4

2 "დროება", 1870 წ., № 18, გვ.2

კას ჰყიდულობდა და ჰყიდულობს ახლაც.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამ სპიჩკას ერთი პატარა ნაკლულევანი სჭირს: არ ეკიდება! ორმოცი ღერი უნდა გააფუჭო, რომ ერთს როგორმე დიდის სიფრთხილითა და გაჭირვებით მოუკიდეს. ვინც ერთხელ იყიდა, მეორედ მგონია აღარ იყიდოს, რადგან ისევ ვენის და იტალიის სპიჩკაში კარბოკაში თუნდაც სამი კაპეიკი მისცეს, მაინც უფრო იაფად დაუჯდება".[1]

ფართო პუბლიკაციები ეთმობა "დროება"-ში - მირზოევის ფაბრიკის გახსნას და მის მუშაობას. პეტრე უმიკაშვილი თავის წერილში - "რამოდენიმე სიტყვა მირზოევის ფაბრიკაზე", წერს: "ამჟამათ ფაბრიკაში რვაას სულამდის მეტი მუშაობს. მუშები ფულს იღებენო, რამდენსაც იმუშავებენ. მუშაობა იწყება დილის შვიდი საათიდგან საღამოს რვა საათამდე. ამ ფაბრიკაში გამოდის მშვენიერი სქელი ამერიკა, გაძლებით და სიმაგრით ყველა აქ მოტანილ ამერიკასა სჯობია. ამერიკის გარდა ამ უკანასკნელ ხანებში რიფსის, ფანელის და საზაფხულო პარუსინის მსგავსი ქსელების ქსოვაც დაუწყიათ"[2]..

"დროება" გვამცნობს შაქრის ქარხნის გახსნაზეც:

"თ.შალიკაშვილების მამულში, რომელიც სოფ.სკრაში (გორის მაზრა) მდებარეობს, ფრანცუზთ საზოგადოებას განუზრახავს ჭარხლისაგან შაქრის საწარმოებლის ქარხნის გამართვა და ამ აზრით გამოუგზავნიათ თავიანთი სანდრო კაცი - ბ-ნი ტიბო. ტიბო ჩქარობს, რომ ქარხანა მალე მოაწყოს, რადგან ამიერკავკასიაში პირველი სამი ქარხნისთვის ბევრს შელავათს არის დაპირებული მთავრობა. გაზეთს "კავკაზს" უხარიან ეს ამბავი - ქვეყანასა და მის წარმოებას გააცხოველებსო, მაგრამ სწუხს მხოლოდ იმაზედ, რომ ქარხანას გამართავენ არა რუსეთისა და ადგილობრივი ფულის პატრონები, არამედ უცხო - ქვეყნელებისო. ამას გარდა, ყოველ სახელმწიფოს პირველი საზრუნავი საგანი ის არის, რომ ყოველგვარი წარმოება თვითვე

---

1 "დროება", 1878, XII, 20, № 261, გვ.1

2 ი ქ ვ ე, № 3, I, გვ.2

ჰქონდეს და სხვა სახელმწიფოთაგან არას ეზიდებოდეს - აი ამისათვის აქეზებენ და ახალისებენ იმ პირთა, რომელნიც სხვადასხვა წარმოებას მოჰკიდებენ ხელს: შაქრის წარმოებაა, თუ აბრეშუმის მოვლა, მეურნეობაა თუ მრეწველობა".[1]

საინტერესო წერილია "დროების" ერთ-ერთ ნომერში, სადაც ქართველთა დამოკიდებულება საქმისადმი კრიტიკულად არის შეფასებული:

"ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ.ონიკოვის და კამპ.პურის საცხობმა ქარხანამ ძალიან უკლო თავის მუშაობას, ასე რომ ეხლა ათად ნაკლებს აცხობს პურსა, ვიდრე აცხობდა ამ რამდენიმე კვირის წინ.

მაინც არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენს გაზეთში, რომ თბილისი ძალიან უნიჭო ქალაქია ნამდვილს წარმოებაში - და ჩვენი ხალხი არ არის მომზადებული ამისთანა პირდაპირ სამუშაო საქმისთვის. ეს ხსენებული ქარხანა, სამწუხაროდ, ღღეს ამართლებს ჩვენს აზრსა და მის ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთად ხდება ჯერჯერობით. საჭირო იყო მისი პატრონების მიერ ცოტაოდენი ენერგია და თაოსნობა, რომ ქარხანას გამუდმებით და უფრო დიდის სიმძლავრით ემუშავნა. მით მომეტებულად, რომ ეხლანდელი ფქვილის სიიაფე, მუშტრის შეჩვევა და მომატება, პურის ღირსება, მისი სისუფთავით ცხობა, - ყოველივე ესენი ხელს უწყობდნენ ამ მშვენიერს დაწყობილობას.

მე ვიცი ჩვენებური ჭუჭყიანი მეფურნე და მეპურეები გაუწევდნენ მას კონკურენციას!... ერთი სიტყვით, საქმე აშკარად სარგებლობის მომცემი იყო და არის. მეტადრე ჩვენს ქალაქში, სადაც ის ქარხანა ერთადერთი დაწესებულებაა, რომელიც ფქვილსაც მაშინებითა სცრიდა, ცომსაც მაშინებითა ჰზელავდა, გუნდის აღებ-დაღებაშიაც იგივე მაშინა სწევდა სამსახურს, - ჩვენს ქალაქში, სადაც აქაური მეფურნე-მეპურეები ისე უსუფთაოდ, ხელ-პირ დაუბანელნი ჰზელენ ცომსა და ჭუჭყიანადა სცრიან ფქვილს თავის ჭუჭყიანსა და ტალახიანს სადგურებში, - ძალიან დიდი

---

1 "დროება", 1884 წ., IX, 2, № 190, გვ.1

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალი ჰქონდა და აქვს ამისთანა ქარხანას".[1]

ჩვენებურ ვაჭრობასა და მოვაჭრეებს, დიდი სავაჭრო საქმეების თავკაცებს აშკარად აკლდათ საქმის პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და წესრიგი, რითაც ასე რიგად გამოირჩევა ევროპა თავის ტრადიციებით.

---

1 "დროება" 1884 წ., III, 24, № 66, გვ.2

დ ა ს კ ვ ნ ა

XIX საუკუნეში იწყება ახალი ისტორიის პერიოდი ამ საუკუნის მეორე ნახევარი ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების ხანაა, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ საქართველო იმავე გზით ვითარდებოდა, როგორც ყველა ცივილიზებული ქვეყანა, თუმცა ამ განვითარებას თავის სპეციფიკაც ჰქონდა.

განხილული მასალა გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: საქართველოს სამრეწველო განვითარება XIX საუკუნის 70-80-იან წლებში განპირობებული იყო ბურჟუაზიული რეფორმების გატარებითა (1864--1875 წწ.) და ფართო სარკინიგზო მშენებლობით. ბოლო მოელო საქართველოს ცალკეული რაიონების ფეოდალურ კარჩაკეტილობას. გაძლიერდა ვაჭრობა, როგორც რუსეთსა და დასავლეთ ევროპასთან, ისე ქვეყნის შიგნით. თბილისი მთელი ამიერკავკასიის მნიშვნელოვან სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად გადაიქცა. ბათუმმა და ჭიათურამ მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვეს.

მაგრამ, მიუხედავად მნიშვნელოვანი ტექნიკური პროგრესისა, საქართველოში ფაბრიკა-ქარხნების პარალელურად კვლავ განაგრძობს არსებობას მრეწველობის მარტივი ფორმები, წვრილი კუსტარული წარმოება.

ბუნებრივია, რომ მიმდინარე პროცესებმა ასახვა ჰპოვეს საზოგადოებრივ აზროვნებაში. ქვეყანაში მიმდინარე რთული სოციალ-პოლიტიკური მოვლენების მიმართ სხვადასხვა თაობათა და სოციალური ფენების წარმომადგენელთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. საზოგადოების გარკვეული ნაწილი აღიარებს ახალ ცხოვრებას და მოუწოდებს მთელ საზოგადოებას ჩაებან ახალი ცხოვრების ფერხულში, ისწავლონ ვაჭრობა, აღებ-მიცემობა. ნაწილი საზოგადოებისა კი ისევ ძველი ცხოვრების განაგრძობდა ცხოვრებას.

მხატვრულ ლიტერატურაში, სადაც საკმაოდ რეალისტური სიზუსტითაა გადმოცემული ამ ეპოქის მაჯისცემა, იგრძნობა შეგნება ახალი ცხოვრების შემოსვლის საჭიროებისა, მაგრამ აქვე თავიდან ჩანს ერთგვარი მედიდური თუ დამცინავი დამოკიდებულება აღებ-მიცემობის განვითარებისადმი, თუ ახალი წოდების - ბურჟუაზიის წარმომადგენლებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივია, ამ დამოკიდებულების ფესვები ღრმადაა გადგმული ქართულ მენტალიტეტში; ეს აიხსნება ერის სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების ისტორიული როლისა და მისი განვითარების თავისებურებებით.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩნდება პირობები ქვეყნის სწრაფი ბურჟუაზიული განვითარების, ახალი კლასების და ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის, თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილი, რომელიც ვერ ახერხებდა ახალ ცხოვრებასთან შეგუებას და ისევ ძველი ფეოდალური ტრადიციების ერთგული რჩებოდა, გამოსავალს ეძებდა მამულების დაგირავებაში, რომელნიც ბოლოს უცხო ტომის წარმომადგენლებს უვარდებოდათ ხელში. ეს იყო ეროვნული ტრაგედია, რომელშიც ობიექტური მიზეზების გარდა, არსებობდა სუბიექტური მიზეზებიც.

მას შემდეგ რაც თერგდალეულები ერთმანეთს გაემიჯნენ იდეათა შეუთანხმებლობის და შეხედულებათა სხვადასხვაობის გამო, ილიას გარშემო თავმოყრილი თანამოაზრენი საქართველოს განვითარების პერსპექტივას ხედავდნენ ტრადიციული მემამულური მეურნეობის გაუმჯობესებასა და კაპიტალიზმთან შერწყმაში. ისინი ქადაგებდნენ წოდებათა შერიგებას და მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ნიადაგზე ეროვნული აღორძინების იდეებს. ეს იდეები აისახა იმდროინდელ პრესაშიც - ძირითად გაზეთში "ივერია"-ში და "კრებულში".

"მეორე დასელები" და მათი მიმდევრები კი შეუპოვრად იცავდნენ ქართველ ვაჭართა და მრეწველთა ინტერესებს, ვინც მათი აზრით, ერის ხელმძღვანელი ძალა უნდა გამხდარიყო. ნიკო ნიკოლაძესა და მის თანამოაზრეთ სურდათ, რომ მთავარ დამხმარედ ეროვნული ბურჟუაზიისათვის ბანკი გამოეყენებინათ. სწორედ ბანკის საშუალებით გულისხმობდა ნ.ნიკოლაძე ბურჟუაზიული აგრარული რეფორმის განხორციელებას. ნ.ნიკოლაძე და მისი თანადასელები დიდ პროპაგანდას ეწეოდნენ, რათა ახლად ფეხადგმულ ქართველ ბურჟუაზიას შეედგინა ამხანაგობები და შეერთებული ძალით შესდგომოდნენ ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას და რაც მთავარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინავე საზოგადოებას შეეცვალა ვაჭრობაზე საუკუნეობით შემუშავებული შეხედულებანი, ესწავლა ევროპული ყაიდის ვაჭრობა, შეეთვისებინა ევროპული პროფესიონალიზმი. პერიოდული გამოცემებიდან მეორედასელთა იდეები თავდაპირველად ძირითადად აისახა: გაზეთ "დროებაში" და "კრებულში" მაგრამ, როგორც "მეორედასელთა" სხვა ზოგადი მოსაზრებანი ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების საკითხებზე, კერძოდ, ქართული ბურჟუაზიის გაძლიერების თაობაზე, მათი იმედები ბანკის თაობაზე ძირითადად განუხორციელებელი დარჩა. ქვეყანა იმ კანონებით ვითარდებოდა, რომელსაც საქართველოს ახალი ცხოვრება უკარნახებდა.

90-იან წლებში დაარსებული გაზეთი "კვალი" განსაკუთრებით ყურადღებით აკვირდება ბურჟუაზიული წესების დამკვიდრებას საქართველოში და ესარჩლება ბურჟუაზიას, უწევს მას პოპულარიზაციას, არ მალავს ევროპული ცხოვრებისადმი სიმპათიას და საქართველოს ხვალინდელ დღეს გაევროპიელებაში ხედავს. გაზეთი სწორად აფასებდა ბურჟუაზიული საზოგადოებისა და ბურჟუაზიის პროგრესულ როლს ერის ცხოვრებაში. ამ მხრივ საყურადღებოა ნოე ჟორდანიას, ვლ.დარჩიაშვილის, ალ.წულუკიძის პუბლიკაციები. "კვალი" სავსებით სწორად ავითარებდა იმ აზრს, რომ თუ არ წარმოიშვა ქართული ბურჟუაზიის ძლიერი კლასი, თუ არ შეიზღუდა უცხო ტომის კაპიტალისტთა პარპაში, ისე საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესი წარმოუდგენელი იყო.

მართალია, ძირითადად "მეორედასელთა" მოსაზრებანი ეროვნული ბურჟუაზიის ძალებით ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების საკითხებზე განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ როგორც ითქვა, ქვეყანა ვითარდებოდა იმ კანონების შესაბამისად, რომელსაც მას კარნახობდა მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში ჩაბმა. ამ დრომ წარმოშვა სწორედ ისეთი კაპიტალისტები, როგორიც იყვნენ: ზუბალაშვილები,ლსარაჯიშვილი, ა.ხოშტარია და ჭიათურის მრეწველთა მთელი თაობა (გამყრელიძეები, ჩუბინიძეები, მოსეშვილები და სხვები). მათ მოღვაწეობამ XIX საუკუნის მეორე ნახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსა და XX ს. დასაწყისში საქართველოში უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. XX ს. 20-იანი წლებიდან საქართველოს ბურჟუაზიული განვითარების გზა შეწყდა, ბოლშევიკურ - ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების წყალობით, რაც 70 წელს გაგრძელდა.

ამჟამად საქართველო კვლავ დაუბრუნდა საბაზრო ეკონომიკურ ცხოვრებას XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX ს. დასაწყისის გაკვეთილები და მოწინავე მოღვაწეთა ნააზრევი უთუოდ ანგარიშგასაწევია და გასათვალისწინებელი ჩვენი ქვეყნის ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

ლიტერატურის სია

1. ვ.აბაშმაძე - ქართული ინტელექტუალური ფენომენი, თბილისი, 1992 წ.
2. ზ.ავალიშვილი - საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, თბილისი, 1990 წ.
3. ვ.ბახტაძე - ქართველ სამოციანელთა საზოგადოებრივ-ეკონომიურ შეხედულებათა ისტორიიდან, თბილისი, 1954 წ.
4. Г.К.Бакрадзе - Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке. Тбилиси, 1958 г.
5. პ.გუგუშვილი - საქართველოს და ა/კ-ის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., წიგნი I, თბილისი 1965 წ.
6. ვ.გურული, მ.ვაჩნაძე - ნაციონალ-სოციალიზმი საქართველოში, თბილისი, 1998 წ.
7. დ.გოგოლაძე - სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხები; თბილისი, 1966 წ.
8. მ.გაფრინდაშვილი - ქართული განმანათლებლობა; თბილისი - 1966 წ.
9. მ.გაფრინდაშვილი - ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები - თბილისი, 1988 წ.
10. მ.გაფრინდაშვილი - ეროვნული და კლასობრივი ილია ჭავჭავაძის განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ მსოფლმხედველობაში, თბილისი, 1987 წ.
11. ლ.გორგილაძე - ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბილისი - 1961 წ.
12. ვ.გოგუაძე - ერი გულადი, პურადი; თბილისი, 1978 წ.
13. ლ.გუდიაშვილი - მოგონებები, თბილისი, 1980 წ.
14. რ.გაბაშვილი - რაც მახსოვს. ქართული ემიგრანტული მწერლობა; ტ.3, თბილისი, 1990 წ.

15. ვ.გურული - ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, გაზეთი "კვალი" - 1898-1904 წწ. ჟურნალი "პოლიტიკა", თბილისი, 1994 წ. № 4-5

16. მ.დუმბაძე - დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში თბილისი - 1957 წ.

17. გ.ზაქარიაძე - ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკურ შეხედულებათა შესახებ თბილისი - 1970 წ.;

18. ა.იოსელიანი - ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები (ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან) თბილისი, 1951 წ.,

19. რ.კაკულია - ეკონომიური აზრის განვითარების ისტორიისათვის, რევოლუციამდელ საქართველოში. თბილისი 1971 წ.

20. ა.კიკვიძე - XIX საუკუნის ქართული ისტორიული აზროვნება წიგნში "მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის" ნაკვ.2, თბილისი 1965 წ.

21. ა.კიკვიძე - გაზეთი "კვალი" 1893-1904 წწ., თბილისი, 1969 წ.

22. მ.კვიტაშვილი - მოგონებები "ლიტერატურული საქართველო",თბილისი, 1990 წ.

23. ფ.მახარაძე - საქართველო XIX საუკუნეში, თბილისი 1933 წ.

24. გრ.მარგიანი - სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში, თბილისი 1968 წ.

25. გ.მაზნიაშვილი - მოგონებები. ბათუმი 1990 წ.

26. რ.მეტრეველი - საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბილისი 1982 წ.

27. ე.ორჯონიკიძე - ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელ საქართველოში. თბილისი 1974 წ.;

28. ნ.როდონაია - თბილისის მრეწველობა XIX ს. II ნახევარში. თბილისი 1961 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. პ.რატიანი - ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებანი, თბილისი, 1965 წ.

30. პ.რატიანი - ალექსანდრე წულუკიძე - როგორც მოაზროვნე, თბილისი, 1976 წ.

31. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.V, თბილისი 1970 წ.

32. ა.სურგულაძე - ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, თბილისი - 1973 წ.

33. ა.სურგულაძე, პ.სურგულაძე - საქართველოს ისტორია, თბილისი, 1991 წ.

34. ნ.ტყეშელაშვილი - ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან. თბილისი, 1958 წ.

35. გ.ქიქოძე - მოგონებები. თბილისი - 1985 წ.

36. Ш.Чхетиа. - Тбилиси в XIX столетии. Тбилиси, 1954 г.

37. Л.Ф.Чиковани. - Нико Николадзе и демократическая печать Грузии 70-80-х годов XIX века. Тбилиси, 1989 г.

38. მ.ცაგარეიშვილი - ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობისა და მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში. "საისტორიო მოამბე", 1959 წ. № 9

39. ე.ხოშტარია - მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში. წიგნი I, II, თბილისი 1966 წ.

40. Э.В.Хоштария. - Очерки социально-экономической истории Грузии. Тбилиси, 1974 г.

წყაროები:

1. Ст.Гулишамбаров. -Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии. Тифлис, 1887 г.

2. Указатель действующих в империи акционерных предприятий и торговых домов. Под общ.ред.В.А.Дмитриева-Мамонтова, т.I-П, С.-Петербург, 1905 г.

3. ი.ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ.5, თბილისი, 1958 წ.

4. ი.ჭავჭავაძე, თხზ. სრ.კრებული, ტ.4, თბილისი, 1958 წ.

5. ი.ჭავჭავაძე, თხზ. სრ.კრებული, ტ.7,

6. ნ.ნიკოლაძე - რჩეული ნაწერები, ტ.II, თბილისი, 1962 წ.

7. ნ.ნიკოლაძე - შინაური მიმოხილვა, ჟურნ."მოამბე", № VIII, 1894 წ.

8. ნ.ნიკოლაძე - თხზულებები, ტ.6, თბილისი, 1962 წ.

9. ნოე ჟორდანია - თხზულებანი, ტ.I; თბილისი, 1920 წ.

10. ალ.წულუკიძე - თხზულებანი, თბილისი - 1967 წ.

11. ა.ჯორჯაძე - წერილები, თბილისი, 1989 წ.

12. გაზეთი "კვალი", 1894 წ. №14

13. "კვალი", 1897 წ. № 19, № 46

14. "კვალი", 1898 წ. № 3, № 12, № 14

15. "ივერია", 1885 წ. № 73

16. "ივერია", 1895 წ. № 68

17. "ივერია", 1898 წ. № 11;

18. გაზეთი "დროება", 1867, № 9

19. "დროება", 1870 წ., № 18

20. "დროება", 1871 წ. № 58

21. "დროება", 1872 წ. № 10, № 24, 32

22. "დროება", 1874 წ., № 18

23. "დროება", 1875 წ., № 24

24. "დროება", 1878 წ., № 16

25. "დროება", 1880 წ., № 154

26. "დროება", 1884 წ. № 66, № 190

27. "მოამბე", 1894 წ. № 8;

28. "მოამბე", საალიტერატურო შენიშვნები, 1894 წ. № 10;

29. "ნოვოე ობოზრენიე", 1887 წ. № 138;